# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 24 სექტემბერი 2005 №219 (2542) ფასი 50 თეთრი


# დიდი და პატარა ნაკრებები დიდი და პატარა ცვლილებებით

## ნოდარ ახალკაცმა, უცხოელი მწვრთნელის ფული არ გვაქვსო

ქართველი ქომაგი მარტშივე შეეგუა იმ აზრს, რომ ეროვნულ ნაკრებს ამ შესარჩევ ციკლში, ჰა-ჰა, მეხუთე ადგილზე ზემოთ ხელი არ მიუწვდებოდა. და მაინც, დანიასთან 1:6 მარცხმა უამრავ კითხვას კიდევ ბევრი მიუმატა. ნაკრების თავკაცი გაიოზ დარსაძე დანიიდანვე ესტონეთში გაფრინდა 19-წლამდელთა ევროშესარჩევ მატჩებზე, რის გამოც გუშინლა გვესაუბრა კოპენჰაგენური სირცხვილის მიზეზებზე. იმავდროულად დარსაძემ 8 ოქტომბერს ყაზახეთთან და 12 ოქტომბერს საბერძნეთთან სათამაშოდ შერჩეული 21-კაციანი სანაკრებო შემადგენლობა დაასახელა.

პირველ რიგში თვალში მოსახვედრი: დარსაძემ გამოიძახა „ალკმაარის“ ბომბარდირი შოთა არველაძე, რომელმაც ჰოლანდიის ჩემპიონატში 5 თამაშში 9 გოლი შეაგდო.

ახალგაზრდულიდან ეროვნულში დაწინაურდნენ „ზესტაფონის“ მცველი გიორგი ხიდეშელი, „ტორპედოს“ მეკარე ნუკრი რევიშვილი და „ამერის“ ფორვარდი რატი წინამძღვრიშვილი. ეროვნულში ბრუნდება ჟირესისეული ნაკრების უცვლელი ფიგურა კახა მჟავანაძეც. სამაგიეროდ, დარსაძემ აღარ გამოიძახა ზესტაფონელი კახა ჩხეტიანი, დინამოელი კახა ალადაშვილი არათუ ეროვნულის, ახალგაზრდული ნაკრების სიაშიც არაა, ფრაიბურგელი ალექსანდრე იაშვილის არყოფნის მიზეზი კი ისედაც კარგად იცით.

და პრესკონფერენციაც — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და გაიოზ დარსაძე ნაკრების ბაზაზე ჟურნალისტებს საკმაოდ ვრცლად ესაუბრნენ...

*მეორე გვერდი*



### საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობა

**მეკარეები:** ზვიად სტურუა (დინამო), გიორგი ლომაია (ხიმკი, რუსეთი), ნუკრი რევიშვილი (ტორპედო)
**მცველები:** კახა კალაძე (მილანი, იტალია), ზურაბ ხიზანიშვილი (ბლექბერნი, ინგლისი), კახაბერ მჟავანაძე (ანჟი, რუსეთი), ზურაბ მენთეშაშვილი (სკონტო, ლატვია), ლაშა სალუქვაძე (რუბინი, რუსეთი), გიორგი ხიდეშელი (ზესტაფონი)
**ნახევარმცველები:** მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი, რუსეთი), ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია), ლევან ცქიტიშვილი (ვოლფსბურგი, გერმანია), გიორგი გახოკიძე (ტვენტე, ჰოლანდია), ჯაბა კანკავა (ალანია, რუსეთი), გოგიტა გოგუა (ხიმკი, რუსეთი), გიორგი განუგრავა (ზესტაფონი)
**თავდამსხმელები:** დავით მუჯირი (შტურმი, ავსტრია), გიორგი დემეტრაძე (ალანია, რუსეთი), შოთა არველაძე (ალკმაარი, ჰოლანდია), მიხეილ აშვეთია (როსტოვი, რუსეთი), რატი წინამძღვრიშვილი (ამერი)

### საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობა

**მეკარეები:** ირაკლი თოთლაძე (ბათუმი), რევაზ თევდორაძე (თბილისი)
**მცველები:** გიორგი ელბაქიძე (ამერი), ანზორ კალაძე (ტორპედო, რუსეთი), დავით მჭედლიშვილი (ამერი), ზაალ ელიავა (სკონტო, ლატვია), გულვერდ თომაშვილი (დინამო), ვალტერ ხორგუაშვილი (შერიფი, მოლდოვა), ზურაბ გვაძაბია (ამერი)
**ნახევარმცველები:** გოჩა ხოჯავა (როსტოვი, რუსეთი), ირაკლი ჩირიკაშვილი (დინამო), კახა მახარაძე (დინამო), ბექა ჟღენტი (ტორპედო, რუსეთი), მირზა ბჟალავა (ამერი), გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე (დინამო)
**თავდამსხმელები:** სანდრო იაშვილი (დინამო), ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), გოგი ფიფია (ზესტაფონი)

# ნედვედმა ჩეხეთი დატოვა

ჩეხმა ვარსკვლავმა პაველ ნედვედმა საბოლოოდ გადაწყვიტა სანაკრებო კარიერის დასრულება. ვეტერანი ნახევარმცველის თქმით, ახლა მისთვის „იუვენტუსი“ და ჩემპიონთა ლიგის მოგებაა მთავარი. „ჩემს ასაკში ძნელია, ყველა ქორწილში იცეკვო. 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე სიამოვნებით ვითამაშებდი, მაგრამ გადაწყვეტილება საბოლოოა, სანაკრებო კარიერას ვასრულებ“ — თქვა ნედვედმა.

# დიდი დონის ჩამობრძანება



საქართველოს დღევანდელი სტუმარი დონ პორტერი და სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ლორი ჰარიგანი

დღეს სოფტბოლი საქართველოში ისეთი პოპულარობით არ სარგებლობს, როგორც დასავლეთ ნახევარსფეროში, მაგრამ სპორტის ამ სახეობას ჩვენშიც ჰყავს ბლომად თაყვანისმცემელი და დღითი დღე სულ მეტ მიმდევარს იძენს. სოფტბოლით დაინტერესებულთათვის ამ შაბათს განსაკუთრებული დღეა — თბილისში სოფტბოლის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი დონ პორტერი გენერალურ მდივან ენდრიუ ლოხნერთან ერთად ჩამოდის

# დიდი და პატარა ნაკრებები დიდი და პატარა ცვლილებებით

— ჯერ დანიასთან მატჩზე ვთქვათ. წაგება წაგებად, მაგრამ 1:6 მეტისმეტი იყო...

*დარსაძე:* უფრო ღირსეულად თამაში შეიძლებოდა. ძალი დაგვასვა ზურაბ ხიზანიშვილის გაძევებამ, თუმცა მსაჯი ამ მომენტში ობიექტური იყო. დასკვნა გამოვიტანეთ, რომ ნაკრებს კიდევ ბევრი მუშაობა სჭირდება, უფრო მეტი რეზერვია აუცილებელი.

**— ნაკრების წამყვანმა ფეხბურთელებმა რა თქვეს ამ მატჩის შემდეგ?**

*დარსაძე:* სამსაათიანი საუბარი გვქონდა მათთან. ეს ბიჭები პატრიოტები არიან — ვხედავდი კალაძის, ცქიტიშვილის, კობიაშვილის სახეებს; ვხედავდი, როგორ ამხნევებდა დემეტრაძე ნაკრების ახალბედა, 17 წლის ფეხბურთელს გიორგი განუგრავას. ყველაფერი ეს იმას ნიშნავს, რომ ნაკრებში ჯანსაღი ატმოსფეროა.

*ახალკაცი:* უსაფუძვლოა იმაზე ლაპარაკი, თითქოს ზოგმა ფეხბურთელმა დანიასთან მატჩი „ჩაუშვა". გთხოვთ, ამაზე საუბარი აღარ იყოს. ეს ხომ იგივეა, კაცს სამშობლოს ღალატი დააბრალო. წამყვანი ლეგიონერები საშინლად უკმაყოფილონი იყვნენ თავიანთი თამაშით. არადა, საწყის ათ წუთში პოზიციურად კარგად ვთამაშობდით, 0:1-ზე ხიზანიშვილი გააძევეს და მერე თავი იჩინა იმან, რომ დანია ფორმის პიკშია. ათი კაცით ბიჭებმა შესაძლებლობები სრულად ვეღარ გამოავლინეს, დანიას კი ყველაფერი გამოსდიოდა. მეორე და მესამე გოლები ინდივიდუალური შეცდომების გამო გავუშვით, 1:3-ზე კი ხუთი მეტრიდან ვერ გავიტანეთ ბურთი. მოკლედ, თამაშის მიმდინარეობამ მოიტანა ასეთი მარცხი. სამაგიეროდ, პოზიტიური მომენტი იყო 17 წლის განუგრავას გამოჩენა — ვაგებდით და გადარჩენის შანსი არ გვქონდა, მაგრამ გიორგის დებიუტანტობისა არაფერი ეტყობოდა.

**— ხომ არ სჯობდა, კახა კალაძე მარცხენა მცველად დაგეყენებინათ? იგი დაცვის ცენტრში უამრავ შეცდომას უშვებდა განვლილ სამ მატჩში...**

*დარსაძე:* ჩვენ ვიცოდით, როგორი სქემით და რა ფეხბურთელებით ითამაშებდა დანიის ნახევარდაცვა და თავდასხმა, ამიტომაც კალაძე ცენტრში უფრო გამოსადეგი იქნებოდა. კახას შეცდომები ჰქონდა, მაგრამ შემადგენლობას დაბალანსება სჭირდება, დაბალანსებას კი — დრო. ამიტომაც დავდივართ 19-წლამდელთა ნაკრების თამაშებზე, იდეალურ ვარიანტს და რეზერვს ვეძებთ.

*ახალკაცი:* არ გვაქვს დიდი არჩევანი. დაცვის ცენტრში ასათიანი დავწიეთ, მაგრამ... მეორე ასათიანი ნახევარდაცვაშიც რომ გვყოლოდა, მაშინ სხვა საქმეა.



გაიოზ დარსაძე და ნოდარ ახალკაცი

**— ალექსანდრე იაშვილი არ გამოიძახეთ, ხოლო გოგუასა და კანკავას სათამაშო პრაქტიკა აკლიათ...**

*დარსაძე:* სათადარიგო სკამზე ჯდომა ნებისმიერ ევროპულ კლუბში ჩვეულებრივი მოვლენაა. კრესპო, ვიერი და ოუენიც კი ხშირად ყოფილან ასეთ დღეში, მაგრამ მაინც არ კარგავენ ფორმას. სულაც არ გვინდა, ჩვენი ბიჭები დაბალხარისხოვან კლუბებში თამაშობდნენ, მაგრამ მიგრაციის პროცესი შეუჩერებელია. რაც შეეხება იაშვილს, ამჯერად მისი არგამოძახება ვარჩიეთ.

*ახალკაცი:* იაშვილის გადაწყვეტილებას, ნაკრებიდან წასვლის თაობაზე, ვერ დავეთანხმები. ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა, უკრაინასთან და დანიასთან ერთი თავდამსხმელით თამაში: რა თქმა უნდა, ამ ერთ ადგილს ის ფეხბურთელი უფრო იმსახურებდა, რომელმაც ყაზახეთში ორი გოლი გაიტანა. მაგრამ დემეტრაძე რომ დაშავებულიყო უკრაინასთან, მაშინ ხომ იაშვილსაც ეძლეოდა დანიასთან თამაშის შანსი?! სხვათა შორის, იაშვილის ნათქვამით, ძირითადის ღირსი ვარო, ფეხბურთელები, უფრო კი თავდამსხმელები, უკმაყოფილონი დარჩნენ.

**— შოთა არველაძე ამჯერად გამოიძახეთ, მაგრამ ჩამოვა იგი ნაკრებში? რაიმე პრობლემა ხომ არაა?**

*დარსაძე:* ნაკრებში რომ ფეხბურთელს ეძახიან, მას არ ეკითხებიან, ჩამოხვალ თუ არაო. შოთა დიდი ფეხბურთელია, მაგრამ წესებს ისიც უნდა დაემორჩილოს. იგივე კარტის თამაშის აკრძალვა, დროის ფაქტორი... მაგალითად, ყაზახეთში ვცდილობდით, ღამის 11 საათზე დაგვეძინებინა ყველა ფეხბურთელი. იტალიისთვის 11 საათი სხვა დროა, გერმანიისთვის სხვა, რუსეთისთვის კიდევ სხვა — რომელი ავირჩიო? ამიტომ წესებს ყველა უნდა ასრულებდეს. არ დამავიწყდება კალაძე — როგორც ლიდერმა თავდადება, ნაკრებისადმი მიდგომა, პატრიოტიზმი დაგვანახვა. იგივეს ვიტყვი სხვა წამყვან ფეხბურთელებზეც.

*ახალკაცი:* არ მახსოვს, შოთა არველაძეს ეთქვას, პრობლემები მაქვს და ნაკრებში ვერ ჩამოვალო. თუ ტრავმა გაქვს, გასაგებია, მაგრამ სამშობლოს სახელით თამაში როგორ უნდა იუარო?! საბედნიეროდ, ფეხბურთელებისგან კარგ მიდგომას ვხედავ.

**— სანაკრებო სიაში არ ჩანს ნომინალური მარჯვენა ნახევარმცველი. რა არის მიზეზი?**

*დარსაძე:* როგორ მდგომარეობაშიც უნდა იყოს ნაკრები, ჩვენ შემტევი და აგრესიული ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ. ამის საფუძველი და მნიშვნელოვანი კომპონენტია პრესინგი. ნაკრები არაა საცდელი პოლიგონი, მაგრამ პრესინგის სწავლას დრო სჭირდება, მოუმზადებლად ამის გაკეთება შეუძლებელია. ელემენტარული ამბავია, პრესინგის ერთმა ფეხბურთელმაც რომ არასწორად იმოქმედოს, უკვე ჩაშლილია მექანიზმი, რადგან სინქრონიზაცია ირღვევა. ამ კომპონენტს ადრეული ასაკიდან სწავლობენ. მაგალითად, ახლანდელი 19-წლამდელთა ნაკრები პრესინგს უკვე შეჩვეულია, გამართულად თამაშობს. პრესინგისთვის დისციპლინაა აუცილებელი.

*ახალკაცი:* გადავწყვიტეთ, იდენტური ტაქტიკით ვათამაშოთ ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებები. პრიორიტეტი შეტევაა, თუმცა გუნდმა დაცვითი თამაშიც უნდა იცოდეს. პრესინგს მონდომება, ცოდნა სჭირდება და მომავალი თამაშებისთვის ეს უნდა შევძლოთ. პატარა ასაკის ნაკრებები თავიდანვე უნდა ეუფლებოდნენ ამას და მერე აღარ დასჭირდებათ სწავლა — საუბარია ტაქტიკურ ანბანზე. და კიდევ, ხშირად ისმის, ნაკრებში 1988 წელს დაბადებულებზე კეთდება აქცენტიო, მაგრამ თავადაც ხედავთ, ახალგაზრდულში შუალედური ასაკის, 20-21 წლის ბიჭებიც არიან.

*დარსაძე:* კალაძე, კობიაშვილი და სხვა ლიდერები რამდენ ხანს შემორჩებიან მინდორს? შევსება ხომ გვჭირდება?! თქვენ ნახავთ, ამ 19-წლამდელებიდან იქნებ „მილანში" და „შალკეშიც" მოხვდეს რამდენიმე.

**— ყაზახეთის ნაკრებს ერთი თვის წინ ეთამაშეთ, საბერძნეთთან მატჩი კი მარტში იყო. ახალი ინფორმაციები გაქვთ მეტოქეზე?**

*დარსაძე:* გვაქვს გარკვეული ინფორმაცია. საბერძნეთი ჩვენამდე დანიას სტუმრად ხვდება, ჩვენ კი შინ და, ალბათ, განსხვავებულ სქემებს აირჩევს.

*ახალკაცი:* არ მინდა, ისეთი სურათი შეიქმნას, თითქოს მხოლოდ მომავლის გუნდზე ვართ ორიენტირებულნი და დღესდღეობით შედეგი არ გვაინტერესებს. შედეგზეც ვიზრუნებთ.

**— პრესინგი ახსენეთ და, ამას კარგი ფიზმომზადება სჭირდება. ქართული კლუბებიდან ასე კარგად მომზადებული ბიჭები მოდიან ნაკრებში?**

— *დარსაძე:* საქმეც ესაა... კლუბში რომც არ ავარჯიშებდნენ, ფეხბურთელები თავადაც უნდა მუშაობდნენ კონდიციებზე. ეს პრობლემა აუცილებლად უნდა გადაიჭრას. რატომ ხდება, რომ 15 წლამდე ბავშვზე ვამბობთ, ნიჭიერიაო, მერე კი ის იკარგება? საქმე ისაა, რომ ისინი ეტაპობრივად ვერ ვითარდებიან. არავინ თქვას, საქართველოს ტალანტები არ ჰყავსო — ჰყავს და თანაც ბევრი.

*ამის შემდეგ ნოდარ ახალკაცს „ალანიაში" მოთამაშე ქართველების ბედზე დავეკითხეთ, თუმცა მან სასიკეთო ვერაფერი გვითხრა, მე ვერაფერს შევცვლი — ისური კლუბი ამბობს, ქართველებს ვულით არ ვარჯიშობენ, მწვრთნელს არ უჯერებენ და იმიტომაც დავტოვეთ უთამაშებლადო...*

— ოფიციალური პასუხი ესაა, მაგრამ მე ამ პრობლემის უფრო ღრმა ფესვებს ვხედავ: ფეხბურთელებს ზარ-ზეიმით ვაცილებთ „ალანიაში", თითქოს ეს კლუბი უნდა გახდეს მათთვის პლაცდარმი. ქართველები რომ „ალანიასთან" 5-წლიან კონტრაქტს აფორმებენ, მე როგორ დავიხსნა ისინი ამ ჭაობიდან?! თავად ამ ბიჭებმა უნდა იგრძნონ, რომ „ალანიას" გარდა სხვა, უფრო მაღალი დონის კლუბები არსებობენ და ვლადიკავკაზში თუ არ წახვალ, არ ნიშნავს, რომ კარიერა დაქცეული გაქვს. მაგალითად, ხიზანიშვილი თავის დროზე „კრივბასმა" დაიწუნა, მაგრამ რა წააგო ზურამ?!

*როგორც იცით, ტრანსფერზე დაყენებული ალანიელების შეძენა თბილისის „დინამოს" სურს, თუმცა ახალკაცმა სხვა რამ გვითხრა და თანაც „დინამო"-ფედერაციის დაპირისპირებას ერთხელაც შეეხო...*

— კლუბმა ფედერაციისგან ტრანსფერზე ნებართვის ასაღებად 2000 დოლარი უნდა შეიტანოს, თუმცა, როგორც ჩანს, ზოგიერთ კლუბს ამ თანხის გადახდაც არ შეუძლია და ამიტომაც ალანიელების შემთხვევაში გადასახადი მოვხსენი. „დინამოს" მესვეურებთან დებატებს არ ვაპირებ, დაუსაბუთებელი ფრაზების წამოსროლისთვის კი ყველას გაეცემა პასუხი. ახლახან „კოლხეთის" ერთ-ერთმა მესვეურმა გვითხრა, ფეხბურთელი ძალია მოგვპარა „ზესტაფონმაო". „კოლხეთის" კონტრაქტი არ ჰქონდა ამ მოთამაშესთან გაფორმებული, თორემ თავის დროზე „ამერის" ფეხბურთელებზეც იყო მოთხოვნა, მაგრამ ამ კლუბმა კონტრაქტები გვანახა და ლაპარაკიც მორჩა. და კიდევ, თუ ვინმეს ჰგონია, რომ რომელიმე ფეხბურთელს ან კლუბს ვლობირებ, მაშინ ეს ეჭვი „დინამოზე" თუ გაუჩნდებათ: ახალგაზრდულ ნაკრებში ყველაზე მეტი, ხუთი მოთამაშე სწორედ „დინამოდან" გვყავს გამოძახებული.

*დასასრულ, ბატონმა ნოდარმა ეროვნული ნაკრები უცხოელი მწვრთნელის დანიშვნა-არდანიშვნაზეც თქვა — ჩვენი სახსრები ძლიერ უცხოელ სპეციალისტს ვერ სწვდება, ამას წლიური 500 ათასიდან 1 მილიონამდე ევრო სჭირდება, ჩვენ კი ვალებში ვართო...*

— ძველმა ფედერაციამ ჟირესი რომ მოიყვანა, არ იცოდა, საიდან უნდა გადაეხადა მისთვის ფული. დღეს ჟირესის პრემიალურებიც გასასტუმრებელი გვაქვს, რომელიც ფრანგმა ხუთი ქულის და მეექვსე ადგილზე გასვლისთვის უნდა მიიღოს. ასეა საქმე — ორი წელი ვალების გადახდას უნდა მოვუნდეთ.

**ილია ნანობაშვილი**

### ჰოლანდია

ერედივიზიონი. VI ტური
ჰერენვენი 2:1 ნაიმეგენი
II დივიზიონი. IX ტური
ვეენდამი 1:1 დენ ბოსხი
დორდრეხტი 1:0 ექსელსიორი
ჰაარლემი 1:1 სიტარდი
მაასტრიხტი 2:0 ვენლო
ალმერე 0:1 ჰელმონდი
ოსი 1:3 ემენი

### ირლანდია

პრემიერლიგა. XXVI ტური
ჰარპსი 0:3 შელბურნი

### შვეიცარია

ჩელენჯლიგა
X ტური
ბადენი 1:0 ლოკარნო
ლუცერნი 1:0 ბელინცონა

### ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. VII ტური
ბრნო 1:2 ტეპლიცე

### ინგლისი

ჩემპიონატი. X ტური
ლუტონი 2:2 უენსდი

### გერმანია

II ბუნდესლიგა. VII ტური
ფრაიბურგი 3:2 უნტერჰახინგი
მიუნხენი 1:0 ბრაუნშვაიგი
ოფენბახი 0:0 ბოხუმი

### ავსტრია

II დივიზიონი. XIII ტური
კუფშტაინი 2:2 აუსტრია (მ)
კერნტენი 2:0 ლეობენი
კაპფენბერგი 2:1 შვაინშტადტი
გრატკორნი 0:1 აუსტრია (ლ)
ალტახი 2:1 ლინცერი

### იტალია

სერია C1/A
V ტური
პრო სესტო 1:0 პრო პატრია

### პორტუგალია

სუპერლიგა
V ტური
პაკუშ ფერეირა - ბენფიკა *გვიან დამთავრდა*

### თურქეთი

სუპერლიგა
VII ტური
ტრაბზონი 0:2 მანისა

### საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
IX ტური
კლერმონი 2:2 ლე ავრი
გენგამი 0:1 ბასტია
ლავალი 1:1 შატორუ
ლორიანი 1:2 გრენობლი
რეიმსი 0:1 დიჟონი
ამიენი 1:0 კრეტეი

### პოლონეთი

I ლიგა. VIII ტური
ლეგია 1:0 პოლონია

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

გენერალური სპონსორი

## საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა
პირველი წრე

7 ტური ანონსი

# რა იქნება ბორჯომი დინამოსთვის: გაზების დაგროვება თუ მომატება?



ჩემპიონატის ლიდერი ბოლნისის „სიონი“ ახალგაზრდულ „თბილისთან“ უეჭველ მოგებას გეგმავს

**მეშვიდე** ტური სამ დღეზეა გადაჭიმული და ყველაზე საინტერესო თამაში დღესაა. „დინამო“ — „ბორჯომი“ მხოლოდ ტურის ცენტრალური მატჩი როდია — შეხედეთ ცხრილს და დაინახავთ, რომ თბილისის „დინამოს“ მისთვის უჩვეულო ადგილი უკავია...

„დინამოს“ არ ეყოლება დისკვალიფიცირებული კახა ალადაშვილი, ტრავმირებულები — გია მეგრელაძე და შოთა ბაბუნაშვილი, ადრე დაშავებულები — ირაკლი ზოიძე, სერგო ორბელაძე, გია ნერგაძე და შოთა კაშია... ასევე — დავით ოდიკაძე და გიორგი ნავალოვსკი.

მიუხედავად ამისა, ფავორიტი მაინც „დინამო“ უნდა იყოს, დინამოელებს ამას მეექვსე ადგილიც აიძულებს.

„ბორჯომი“ ზედიზედ ხუთი ტურია იგებს, პირველ ტურში „ბათუმთან“ მარცხს სამქულიანი თამაშები მიაყოლა. რა იქნება მეექვსე ჯერზე? მისტიკისა და „დინამოს“ გარდა ეს, რა თქმა უნდა, ბორჯომელებზეცაა დამოკიდებული. „ბორჯომი“ შემთხვევით სულაც არ არის მეორე ადგილზე — სათანადო ფეხბურთელები ჰყავს და დღეს ეროვნულ სტადიონზე მწველი თამაში უნდა გაჩაღდეს.

კვირას კი მთავარი მატჩი ბათუმშია. ზღვისპირელთა ახალ მთავარ მწვრთნელ ოთარ გაბელიას დებიუტი წინა ტურში ჰქონდა და გორში „დილასთან“ 0:2 დამარცხდა. მოკლედ, ახალი მწვრთნელის ხელში ხვალ „ბათუმი“ პირველ საშინაო მატჩს გამართავს და შეუპოვრობა ნამდვილად არ დააკლდება. აჭარელთა სტუმარი თბილისის „ამერია“, რომელსაც ჩემპიონატში ზედიზედ სამი მატჩია, არ წაუგია. ამერელებს ბოლო დროს შეტევითი პოტენციალიც გაეზარდათ — გამოჯანმრთელებულები, დავით სევასტოპულო და დიმიტრი ტატანაშვილი გიორგი ჩიხრაძის გუნდის იერიშებს სიმძაფრეს მატებენ.

შავი ზღვის სანაპირო ზოლს ოდნავ ზევით ავუყვეთ და ფოთს მივადგებით, სადაც კოლხექი ალბათ კოლოებივით შეესევიან გორის „დილას“. ჩვენი ვარაუდით, თანაბარი თამაში იქნება, კოლოზე არანაკლები კბენა „დილასაც“ შეუძლია.

კვლავ უფულოდაა სოხუმის „დინამო“, მაგრამ მისი მეტოქე „ლოკომოტივი“ ფრთხილად უნდა იყოს — „სოხუმის“ გამოცდილ ფეხბურთელებთან გამკლავება იოლი საქმე არაა. „ლოკომოტივი“ მიმდინარე ჩემპიონატში დაუმარცხებელია და ძნელად სავარაუდოა, რომ წაუგებელი სერია გოჩა ჟორჟოლიანის გუნდმა შეუწყვიტოს, მით უმეტეს, ამ წყვილში სტუმარ-მასპინძელი შეიცვალა და მატჩი ვაკეში გაიმართება.

თელავის კახეთმა წინა ტურში „სიონთან“ 1:4 წააგო და მთავარი მწვრთნელიც გამოუცვალეს — ოთარ კორღალიძის სამწყსო ჯემალ მახარაშვილმა ჩაიბარა, ვინც ბოლოს თბილისის „დინამო 2“-ში მუშაობდა. თელაველთა ხვალინდელმა მეტოქემ, ქუთაისის „ტორპედომ“ წინა ტურში მოიპოვა პირველი საამსეზონო გამარჯვება და კახეთში კარგი განწყობით ჩავა. თელავში დღესდღეობით ყველაზე დიდია მაყურებელთა დასწრება — ჰოდა, იქ ხვალაც ნამდვილ საფეხბურთო აჟიოტაჟს ველით.

ღირსშესანიშნავი ამბავის მოლოდინშია ზესტაფონი: თურქეთიდან ჩამოტანილ, ახალდაგებულ ხასხასა მინდორზე პირველად ითამაშებს „ზესტაფონი“ — მიმდინარე სეზონში ეს მისი პირველი მატჩი იქნება მშობლიურ ქალაქში და თბილისის „სპარტაკს“ დიდი შანსი არ უნდა ჰქონდეს. მაგრამ, შეგახსენებთ, რომ „სპარტაკის“ კარს აკაკი დევაძე იცავს და თამაში თუ წაუვიდა...

არც გორში უნდა იყოს მთლად პატარა ამბავი — საინტერესოა, წინა ტურში „დინამოს“ მძლეველი „ვიტ ჯორჯია“ სხვა გუნდებთან რისი მაქნისია.

...მეშვიდე ტური ავლაბარში ჩამთავრდება, სადაც ცხრილის ორი პოლუსი იბრძოლებს. თბილისელებმა სიონელთა შემტევი დუეტის, ჯაბა დვალისა და კოკა მიკუჩაძის შეჩერება თუ შეძლეს, ეგებ ქულასაც გამორჩნენ.

**დავით თავართქილაძე**

თბილისი. 24 სექტემბერი. 16 საათი. ეროვნული

### დინამო — ბორჯომი

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. ჯვარიძე, ზ. მენთეშაშვილი; ლ. სილაგავა (ყველა თბილისი); ინსპექტორი: ნ. კაკულია

ბათუმი. 25 სექტემბერი. 16 საათი. დინამო

### ბათუმი — ამერი

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); გ. ცირდავა (გულრიფში), ზ. ჯვარიძე (თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); ინსპექტორი: ს. კვარაცხელია

ფოთი. 25 სექტემბერი. 16 საათი. ფაზისი

### კოლხეთი — დილა

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); გ. დოგრაშვილი (ქუთაისი), ზ. ფიფია (თბილისი); დ. სანაია (სოხუმი); ინსპექტორი: უ. ფურცელაძე

თბილისი. 25 სექტემბერი. 16 საათი. მიხეილ მესხი

### ლოკომოტივი — სოხუმი

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (სამივე ქუთაისი); მ. მაისურაძე (თბილისი); ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

თელავი. 25 სექტემბერი. 16 საათი. გივი ჩოხელი

### კახეთი — ტორპედო

მსაჯები: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ურუშაძე (თბილისი), ხ. გაგნიძე (გორი); ა. მეშკოვი (თბილისი); ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

ზესტაფონი. 25 სექტემბერი. 16 საათი. ცენტრალური

### ზესტაფონი — სპარტაკი

მსაჯები: გ. ვადაჭკორია (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), დ. ხარიტონაშვილი (თბილისი); ა. ორდინიძე (ონი); ინსპექტორი: ა. მილჩენკო

გორი. 25 სექტემბერი. 16 საათი. ქართლი

### ცხინვალი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ვ. ელისაბედაშვილი (თბილისი); ინსპექტორი: ვ. ქორიძე

თბილისი. 26 სექტემბერი. 16 საათი. ოლიმპი

### თბილისი — სიონი

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ა. სამხარაძე (სოხუმი), ნ. რუსიშვილი (ქუთაისი); გ. ასკაროღლი (ქარელი); ინსპექტორი: ვ. ბარქაია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 6 | 5 | 1 | 0 | 12:3 | 16 |
| ბორჯომი | 6 | 5 | 0 | 1 | 12:3 | 15 |
| ლოკომოტივი | 6 | 4 | 2 | 0 | 9:2 | 14 |
| ამერი | 6 | 4 | 1 | 1 | 6:4 | 13 |
| ვიტ ჯორჯია | 5 | 3 | 1 | 1 | 6:4 | 10 |
| დინამო | 6 | 3 | 1 | 2 | 6:4 | 10 |
| ზესტაფონი | 5 | 3 | 0 | 2 | 4:3 | 9 |
| დილა | 6 | 3 | 0 | 3 | 6:5 | 9 |
| კოლხეთი | 6 | 3 | 0 | 3 | 3:5 | 9 |
| ბათუმი | 6 | 2 | 1 | 3 | 2:4 | 7 |
| ცხინვალი | 6 | 2 | 0 | 4 | 4:5 | 6 |
| კახეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 5:10 | 6 |
| ტორპედო | 6 | 1 | 1 | 4 | 4:7 | 4 |
| სპარტაკი | 6 | 1 | 1 | 4 | 1:4 | 4 |
| სოხუმი | 6 | 1 | 1 | 4 | 7:13 | 4 |
| თბილისი | 6 | 0 | 0 | 6 | 1:12 | 0 |

**დისკვალიფიცირებულნი**
ძობიაშვილი (ვიტ ჯორჯია)
ქლიზბარაშვილი (სპარტაკი)
ალადაშვილი (დინამო)
ჩიქვილაძე (სიონი)
სიხარულიძე (კახეთი)
დარჩიძე (ბათუმი)
მესხი (ბორჯომი)
ბოტოიძე (თბილისი)

## თქვენი ინიციატივით
## ალექსანდრე იაშვილთან
### «ფრაიბურგი» გერმანია

*ხომ გაინტერესებთ, რა ხდება დღეს ნაკრებში და რას ფიქრობს გუნდიდან წასული ალექსანდრე იაშვილი? ჰოდა, მცირე შესვენების შემდეგ ჩვენი რუბრიკა ისევ „ფორმაშია“: გერმანული „ფრაიბურგის“ კაპიტანი უკვე ელის თქვენთვის საინტერესო კითხვებს, რომლებიც 30 სექტემბრამდე უნდა მოგვაწოდოთ.*
*ასე რომ, იაქტიურეთ...*

მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: **Starmail@Caucasus.net**



# კახეთში როთველი იანვარში დაგეგმეს

## ოთარის ნაცვლად ჯემალი

უმაღლესი ლიგის დებიუტანტ თელავის „კახეთს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს — ჯემალ მახარაშვილი, ვისაც ამ კლუბში ადრეც უმუშავია. „კახეთის“ ყოფილ თავკაც ოთარ კორღალაძეს კი ხელმძღვანელებმა ჩემპიონატის წინა ტურში, ბოლნისის „სიონთან“ 1:4 მარცხი არ აპატიეს...



ბადრი კეთილაძის ფოტო

ამ სტადიონის ბინადარ თელავის „კახეთს“ ახალი თავკაცი ჰყავს

— „კახეთის“ პრეზიდენტი გოჩა მამაცაშვილი სამშაბათს დამიკავშირდა და გუნდის ჩაბარება შემომთავაზა. ვიფიქრე და ხუთშაბათიდან უკვე საქმეს შევუდექი — გვითხრა გუშინ ჯემალ მახარაშვილმა, რომელიც ბოლოს თბილისის „დინამო 2“-ის მწვრთნელი იყო.

**— „კახეთი“ თქვენთვის უცხო გუნდი არ არის...**

— დიახ, თელავში ადრეც ვმუშაობდი და ვფიქრობ, არ გამიჭირდება. აქაურობას მეტ-ნაკლებად კარგად ვიცნობ.

**— რა იქნება პირველი საქმე, რასაც „კახეთის“ ახალი მწვრთნელი გააკეთებს?**

— საკეთებელი ბევრია და ძნელი იქნება გუნდის ორ-სამ დღეში ჩემებურად მომზადება. თუმც გეტყვით, რომ „კახეთს“ ძველი მწვრთნელის ხელი ეტყობა, ოთარ კორღალიძეს გუნდთან საკმაოდ ბევრი უმუშავია, რისთვისაც მისი მადლობელი ვარ.

**— იქნებ მაინც დაგვიკონკრეტოთ, რითი აპირებთ საქმის დაწყებას?**

— „ტორპედოსთან“ მატჩი კარზეა მომდგარი და რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება ახლავე რომ გავაკეთო, შესაძლოა, სრული ქაოსი და გაურკვევლობა გამოვიწვიო. ჯერ ყველა ფეხბურთელის შესაძლებლობაში ბოლომდე უნდა დავრწმუნდე, ცვლილებებიც ამის შესაბამისი იქნება.

**— წლეულს „კახეთი“ ალბათ მაღალი მიზნებისთვის ვერ იბრძოლებს...**

— ჩვენი მიზანი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა, თუმც იანვრიდან შესაძლოა გუნდი მნიშვნელოვნად გაძლიერდეს და, თუ ჩამორჩენა დიდი არ იქნება, ზედა ადგილებისთვისაც ვიბრძოლებთ.

**— იანვარში რას ელით?**

— კლუბის ხელმძღვანელობას რამდენიმე ისეთი პროექტი აქვს, რომ ახალი წლიდან არა მარტო „კახეთს“, მთლიანად ამ რაიონში ფეხბურთის განვითარებას წაადგება.

**ბობა ინასარიძე**

# ტორპედოს განმარტება

## ფედერაციის მიმართ პრეტენზია არ გვაქვს

**ორიოდ** დღის წინ „სარბიელმა“ ქართული კლუბების მინი-გამოკითხვა ჩაატარა იმის გასარკვევად, დაინტერესებულია თუ არა ფეხბურთის ფედერაცია სხვა კლუბებზე მეტად „ზესტაფონის“ წარმატებით. ეს ნაბიჯი თბილისის „დინამოს“ მწვავე განცხადებამ გადაგვადგმევინა და გამოჩნდა, რომ ყველაზე მწვავე და დინამოელთა მხარდამჭერი სიტყვები ქუთაისის „ტორპედოს“ პრეზიდენტმა გრიგოლ ხურციძემ წარმოთქვა.

თუმცა გუშინ შევიტყვეთ, რომ ქუთათურთა პოზიცია მთლად ურყევი არ ყოფილა, ანუ „ტორპედოს“ ხელმძღვანელის განმარტება ასეთია: „რაც იმ დღეს გითხარით, ის სიტყვები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას არ ეკუთვნის. პირიქით, პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცის და გენერალურ მდივან გრიგოლ ცაავას მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. მათ დღევანდელი „ტორპედოს“ მიმართ დიდი წვლილი მიუძღვით და ჩემგან უმადურობა იქნება, ეს დავივიწყო. „ტორპედო“ ხომ, ფაქტობრივად, დაშლილი იყო და დიდი ძალისხმევით აღვადგინეთ, რაშიც ახალკაცი და ცაავა ძალიან დაგვეხმარნენ. ასე რომ, მათზე აუგი ნამდვილად არ გვეთქმის. ჩემი განცხადებები კი საქართველოს ნაკრების მწვრთნელ გაიოზ დარსაძეს ეკუთვნოდა, რომელზედაც განაწყენებულები ვართ. მოკლედ, „ტორპედოს“ პოზიცია ასეთია: ჩვენ არაფერი გვაქვს საპრეტენზიო ფედერაციის მიმართ, უბრალოდ, უკმაყოფილონი ვართ გაიოზ დარსაძით. ეს არის და ეს“.

**ლუკა თალაკვაძე**

*დღეს უკრაინის ჩემპიონატის მორიგი ტური იწყება, თუმც იქაური სპორტული მედია წინა ტურში მომხდარ ამბებს დღემდე არჩევს. ბევრს ახლაც უკვირს, როგორ შეძლო ხარკოვის „მეტალისტმა“ კიევში, უკრაინული ფეხბურთის ფლაგმან „დინამოსთან“ 2:2-ის გაჩარხვა.*

*მოკლედ გეტყვით: „დინამო“ ორჯერ უგებდა „მეტალისტს“, მაგრამ კიეველებს ჯერ რუსლან იაროშმა გაუქვითა, 87-ე წუთზე კი ქართველმა ლაშა ჯაკობიამ გამოსტაცა ქულა ხელიდან.*

*გუშინწინ ხარკოვის „სტილრადიომ“ იაროში და ჯაკობია სტუდიაში მიიწვია. ჩვენც ლაშას ნაუბარს შემოგთავაზებთ მცირედი შემოკლებით...*



ლაშა ჯაკობიამ (მარცხნივ) კიეველ მცველებს ბევრი თავსატეხი გაუჩინა

# ლაშა ჯაკობია: ასეთი მწვრთნელის ხელში საქართველო შორს ვერ წავა

**— ლაშა, გახსოვს გოლი როგორ გაიტანე?**

— რა დამავიწყებს, კიევის „დინამოს“ ხომ ყოველდღე ვერ გაუტან.

**— და მაინც?**

— საჯარიმოს სიახლოვეს პასი კუზნეცოვმა მომაწოდა და უმალ კარისკენ გავიწიე. ერთბაშად ოთხი მცველი აღიმართა ჩემს წინ. გადაწყვეტილება წამებში მივიღე, მათ მოტყუებას აზრი არ ექნებოდა და შორიდანვე კარში ძლიერად დარტყმა ვარჩიე, ბურთი როდოლფოს მოხვდა და ასხლეტილი ისევ ჩემთან მოგორდა, მეორედ რომ მოვიქნიე ფეხი, საბედნიეროდ, მიზანშიც მოვარტყი. ვფიქრობ, ლამაზი გოლიც გამომივიდა.

**— პირველი გოლისას კი პასი რატომღაც იაროშს მიაწოდე, გატანა ხომ შენც შეგეძლო. თანაც, შენზე ამბობენ, ინდივიდუალისტია და პასებსაც იშვიათად იძლევაო...**

— ეგრე ნამდვილად არაა. ყოველთვის ვცდილობ, თანაგუნდელს ბურთი მივაწოდო, თუ ვხედავ, რომ ის უკეთეს პოზიციაშია.

**— ამბობენ, ჯაკობიას მაგარი იუმორის გრძნობა აქვს, ავტობუსში მის ხუმრობებზე მთელი გუნდი გულიანად ხარხარებსო...**

— მერე ეგ ცუდია?! ბიჭები ერთმანეთში საკმაოდ მეგობრულად ვართ და ხშირად ვხუმრობთ.

**— ოდესმე რეჟიმი თუ დაგირღვევია?**

— არა. მე. პროფესიონალი ვარ. სპორტული რეჟიმის დარღვევას რაც მოჰყვება, ყველამ ვიცით. ასე რომ...

**— საქართველოს ნაკრების ახალ მწვრთნელს ჯერ არ მიუწვევიხარ. ეგებ გვითხრა, რა ხდება, მწვრთნელთან უბრად ხარ?**

— იყო დრო, გაიოზ დარსაძე ჩემი აგენტი გახლდათ. მერე მას რაღაც არ მოეწონა და ჩვენი გზებიც გაიყარა. რა უნდა ვთქვა? ცუდია, როცა ნაკრების მწვრთნელი ეროვნულ გუნდზე მაღლა პირად ინტერესებს აყენებს. საქართველოს ნაკრებს, ფეხბურთელებს, გულშემატკივრებს მთელი სულით და გულით ვუსურვებ წარმატებებს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ასეთი მწვრთნელის ხელში საქართველო შორს ვერ წავა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია.

# რაც დაგვხვდა, კიდევ კარგად ვართ

## ევროშესარჩევს ქალებიც შეესევიან

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების ბაზის შემხედვარე, ბევრს უთქვამს — რა გიკვირთ, ნაკრები რომ ვერ თამაშობს, რაც ბაზაა, ისაა გუნდიცო. განსაკუთრებით მთავარი მინდორია ცუდ მდგომარეობაში — გაზონი უვარგისია და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა გუშინ ბაზის დათვალიერებისას განგვიმარტა, ახლა კიდევ არა უშავს მინდორს, ჩემ გაპრეზიდენტებამდე უნდა გენახათ, ბალახი მუხლებამდე იყოო.

სტანდარტული მოედნის გვერდით, ფიფას პროგრამა „გოლის“ მეშვეობით ხელოვნურსაფარიანი მინდორი უნდა გაკეთდეს. ახალკაცმა თქვა, ოთხი ასაკობრივი ნაკრებისთვის ეს ძალიან ცოტაა, მაგრამ ძველმა ფედერაციამ ასეთი სურათი დაგვახვედრა, მესამე და მეოთხე მოედნის გაკეთებისთვის ფართობი აღარ გვყოფნისო.

სფფ-ის პრეზიდენტი შენობაშიც შეგვიძღვა და აუცილებელ პირველად სამუშაოებზე გველაპარაკა: „ჩემამდე ულამაზო ფერის ავეჯი და სასადილო იყო, ახლა კი ეს შეცვლილია. დამეთანხმებით, აუცილებელი პირობაა, ნაკრების ყველა ფეხბურთელმა ერთად ისადილოს და ამას მივაღწიეთ. ცხადია, თავად მოთამაშეების სურვილიც ასეთი იყო. ეს ხომ გუნდურ სულისკვეთებას ამაღლებს. წესით, ფედერაციის პრეზიდენტი ამგვარ საკითხებზე არ უნდა მუშაობდეს, მაგრამ ასეთი სიტუაცია დაგვხვდა წინა ფედერაციისგან.

და კიდევ, ბაზის სტანდარტულ მინდორზე საქართველოს 19-წლამდელ ქალთა ნაკრები ვარჯიშობდა, რომელსაც ერთხანს რუსეთის კლუბებში მოთამაშე მაია ჯაფარიძე წვრთნის. 19-წლამდელი გოგონები სექტემბრის ბოლოს ბოსნიაში მიემგზავრებიან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე სათამაშოდ, სადაც მასპინძელთა გარდა რუსეთისა და ისლანდიის ნაკრებებს შეხვდებიან.

ამ ოთხგუნდა ჯგუფის ფავორიტი კი რუსეთია — ისინი ევროპის მოქმედი ჩემპიონები არიან.

**ილია ნანობაშვილი**


## განცხადება

„ს.კ. ბარსელონა“ (ესპანეთი) ტალანტების მოძიების პროგრამის ფარგლებში

„აბრეშუმის გზის კორპორაცია“ ატარებს ახალგაზრდა ფეხბურთელების შერჩევას, დაბადებულნი 1988, 89/90, 91/92, 93/94, 95/96, 97/98, 99/2000 წლის ჩათვლით.

რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია 26 სექტემბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით.

მსურველებს გთხოვთ, მობრძანდეთ მ. მესხის სახელობის სტადიონზე, ჭავჭავაძის 74-ში 11:00 საათიდან 16:00 საათამდე, ცენტრალური ლოჟის მე-2 სართულზე.

გთხოვთ, თან იქონიოთ მშობლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი და ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი. დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 23 04 58, მობ.: 899 55 98 55.

# რუსთა შემოსევა ნისლიან ალბიონზე

**რუსი ოლიგარქები ინგლისური პრემიერლიგის დაპყრობას აპირებენ. მას შემდეგ, რაც რომან აბრამოვიჩმა ლონდონური „ჩელსი“ „აითვისა“, ეტყობა, ბირმინგემის „ასტონ ვილას“ ჯერიც დადგა. ალბიონური მედიის ცნობით პოსტსაბჭოთა სივრციდან გამოვარდნილ უცნობ კონსორციუმს ხსენებული კლუბის ყიდვა მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი და რუს ბიზნესმენებს „ასტონ ვილას“ ამჟამინდელ მფლობელთათვის უკვე შეუთავაზებიათ სოლიდური თანხა**



რომან აბრამოვიჩი



მიხაილ ჩერნოი



დმიტრი პიტერმანი

**თავიდან** ბირმინგემელთა ხელმძღვანელობამ რუსებთან რაიმე ურთიერთობა კატეგორიულად უარყო, თუმც ორიოდ დღის წინ „მიررორთან“ საუბარში კლუბის ერთ-ერთი თავკაცი გატყდა და „ასტონ ვილას“ ოლიგარქიულ აუქციონზე გამოტანა დაადასტურა. ბოლო 37 წელია, ბირმინგემულ გუნდს დაგ ელისი პატრონობს, თუმც იგი 81 წლისაა და პრესასთანაც ბევრჯერ უთქვამს, „ასტონ ვილას“ საქმეებში ჩარევის თავი აღარ მაქვსო. ალბიონელთაგან უკანასკნელი, ვინც გუნდის ყიდვა მოინდომა, რეი რენსონი იყო, „ბირმინგემისა“ და „მანჩესტერ სიტის“ ძველი უკანახაზელი და სადღეისოდ წარმატებული ბიზნესმენი. შარშანწინ რენსონმა ელისის შტაბს 30 მილიონი გირვანქა შესთავაზა, ერთი წლის შემდეგ კი თანხა გააორმაგა, თუმცა ორივე შემთხვევაში უარი მიიღო. თქვენი შემოთავაზება კლუბის ნამდვილ ღირებულებასთან შედარებით მცირეა და ამიტომაც მოლაპარაკების შეწყვეტის გარდა სხვა გამოსავალი არ დაგვრჩენიაო — განუცხადეს მაშინ რეი რენსონს „ასტონ ვილას“ წარმომადგენლებმა.

და მაშინ, როცა მისტერ ელისმა გულის მძიმე ოპერაცია გადაიტანა და სარეაბილიტაციო პერიოდს გადის, ინგლისურ მედიაში რუსული კონსორციუმის შესახებ ალაპარაკდნენ. გაზეთებმა აბრამოვიჩის მორიგი გამოჩენა საქვეყნოდ დააქუხეს და ლონდონის ბირჟაზეც „ასტონ ვილას“ აქციების ფასი ერთ დღეში 27 პროცენტით გაიზარდა. არაოფიციალური ინფორმაციით, კლუბის სათავეში რუსთა მოსვლის შემთხვევაში გუნდის მწვრთნელი დევიდ ოლირი ახალი ტრანსფერებისთვის 75 მლიონ ფუნტს მიიღებს... ალბათ, ახსნა არ სჭირდება იმას, რომ ასეთი ფინანსებით „ასტონ ვილა“ „ჩელსის“ მსგავსი გიგანტი გახდება. „დეილი ტელეგრაფის“ მონაცემებით, ASTON VILLA PLC COMPANY-ს ფასი დღეს დაახლოებით 53,8 მილიონი გირვანქა ანუ 64,6 მილიონი დოლარია. ახლა საკითხავი ისაა, ამხელა თანხას და პლუს დამატებითი ინვესტიციებისთვის 135 მილიონ დოლარს რომელი ფულუხვი ექსსაბჭოელი გამოვა. საბაზროდ გამეტებული კლუბის ფანები კი ამასობაში დროს არ კარგავენ და თავიანთ ინტერნეტსაიტებზე „ასტონ ვილას“ სავარაუდო მომავალ მფლობელთა სიას აქვეყნებენ. ამ სიისთვის კარგი სახელი მოუძებნიათ — THE RUSSIAN VILLAINS, რაც „რუს ვიგინდარებს“ ნიშნავს.

ბირმინგემელ ქომაგთა მიერ მოხსენიებულ ოლიგარქებიდან ნაწილი შეგვიძლია იმთავითვე გამოვრიცხოთ. ციხეში მყოფ ხოდორკოვსკის აბა, ინგლისურ კლუბებთან საკეკლუცოდ სად სცალია, ვიქტორ ვეკსელბერგი და მიხაილ ფრიდმანი კი სპორტული კაპიტალდაბანდებისადმი სიყვარულს არასოდეს ამჟღავნებდნენ. მიხაილ პროხოროვს, ოლეგ დერიპასკასა და ლეონიდ ფედუნს საკუთარი გუნდები ჰყავთ რუსეთის ჩემპიონატში და ნაკლებად მოსალოდნელია, ახლა მათ ყურადღება ბრიტანეთზე გადაიტანონ. RUSSIAN VILLAINS-ებიდან ერთადერთი, ვისაც რეალურად მყიდველი შეიძლება ეწოდოს, დავიდ დავიდოვიჩია, მილიონერი და „სიბნეფტის“ ყოფილი ვიცე-ლესი აქციონერი, რომელსაც რომან აბრამოვიჩთან MILHOUSE CAPITAL-ში მეწილეობა აკავშირებს.

ამას გარდა, ინგლისში მავანთა განცხადებით, „ასტონ ვილას“ შეძენის მსურველი შეიძლება კომპანია MSI-ც იყოს (როგორც ამბობენ, ამჟამად ბრაზილიური „კორინთიანსის“ მფლობელი MSI ისევ რომან აბრამოვიჩს უკავშირდება). ხსენებული კომპანიას ნისლიან ალბიონზე დამკვიდრება ადრეც უცდია. ამბობენ, ბადრი პატარკაციშვილს, MSI-ს პრეზიდენტ კია ჯურაბჩიანის საქმიან პარტნიორს, მცირე ხნის წინ ინგლისური „ვესტ ჰემის“ შეძენა სურდაო. არ გამორიცხავენ აგრეთვე ყოვლისშემძლე „ნაფტა მასკვას“ აქტიურობასაც. „ნაფტას“ რუსები წლინახევრის წინ იტალიური „რომას“ ყიდვაზე გარიგების ბოლო ეტაპზე შეყოყმანდნენ, შემდეგ კი მოსკოვურ „სატურნში“ ფული არცთუ ისე მომგებიანად დააბანდეს. ქვემოთ ყველამ იმ „უცხოური“ საფეხბურთო კლუბის ვინაობას გთავაზობთ, რომლებშიც პოსტსაბჭოთა ოლიგარქების ინვესტიციები გაუმეტებიათ. რასაკვირველია, ბიზნესმენთა ვინაობასაც აქვე შეგიძლიათ გაეცნოთ.

**ლადო ხომერიკი**

„ჩელსი“ (ინგლისი) — რომან აბრამოვიჩი
„მონაკო“ (საფრანგეთი) — ალექსი ფედორიჩევი
„ლევსკი“ (ბულგარეთი) — მიხაილ ჩერნოი
„ჰართსი“ (შოტლანდია) — ვლადიმირ რომანოვი
„ბეითარი“ (ისრაელი) — არკადი გაიდამაკი
„ალავესი“ (ესპანეთი) — დმიტრი პიტერმანი
„კორინთიანსი“ (ბრაზილია) — ბადრი პატარკაციშვილი

# ყასიდი დაპირებები



დიდიე დეშანი

**ეს, რა** მიმზიდველი ადამიანი ყოფილა „მონაკოს“ გადამდგარი თავკაცი დიდიე დეშანი. მისი ამბავი ფაქტობრივად სერიალად იქცა, სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები და საagentოები ყოველდღე წერენ ამ თითქოსდა უკვე მოძველებული გადადგომის შესახებ და ვილაც ყოველდღე ესარჩლება საფრანგეთის ნაკრების ყოფილ ვარსკვლავს. ეს გვაფიქრებინებს, რომ საკუთრივ დეშანს აქვს გამორჩეული თვისებები, თორემ ერთი და ორი ცნობილი მწვრთნელი გადამდგარა?

„ახლა ვხვდები, რომ შევცდი, „მონაკოსთან“ კონტრაქტი აღარ უნდა გამეხანგრძლივებინა, — განუმარტა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა მასთან სასაუბროდ მისულ მორიგ ჟურნალისტს, — პროფესიული დონე უკვე დამტკიცებული მქონდა და მრავალ ადგილას მიწვევდნენ სამუშაოდ. სამწუხაროდ მე „მონაკოსადმი“ ერთგულება ამოვიჩემე. არადა, გარკვეული გარანტიები მოცემული ჰქონდათ, რაღაცებს დაპირებულნიც იყვნენ, მაგრამ სამწუხაროდ იერარქიაში ბევრი რამ შეიცვალა და საბოლოოდ გაირკვა, რომ გარანტიები არავის ახსოვდა“.

შემდეგ დეშანმა დასძინა: „მე გადადგომა არ მიყვარს, დამარცხებად მიმაჩნია და ვერ ვეგუები, მაგრამ არის ბრძოლები, რომელიც უნდა მოიგო და არის ბრძოლები, რომლებსაც უნდა გაეცალო. მივხვდი, რომ „მონაკოში“ ენერგიის ამაოდ ხარჯვის მეტს ვერაფერს მივიღებდი. აქ ჩემთვის პრობლემის გადაწყვეტა არ არსებობდა. მე ვერაფერს შევცვლიდი და ამიტომაც ვთქვი: საკმარისია!“

შეგახსენებთ, რომ დიდიე დეშანმა „მონაკოში“ მუშაობა დაიწყო 2001 წელს, მას მერე, რაც თანამდებობა კლოდ პიუელმა დატოვა. 2003 წელს დეშანის ხელმძღვანელობით „მონაკო“ საფრანგეთის ჩემპიონი გახდა, 2004-ში კი ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა.

**პაპუნა ძიძია**



პეტრ ჩეხის კარის დალაშქვრა 10 ათასად შეფასდა

# გაუტანე, ჩელსის და გამდიდრდი

**გაზეთმა** „სანმა“ ახალი კონკურსი გამოაცხადა.

ინგლისურ ტაბლოიდთა ლიდერი 10 ათას გირვანქას გადასცემს იმ ფეხბურთელს რომელიც პირველი გაუტანს გოლს „ჩელსის“.

ამით „სანი“ პრემიერლიგაში სახალისო ინტრიგის შეგდებას აპირებს.

მაისიდან მოყოლებული, 713 სათამაშო წუთის განმავლობაში ჟოზე მაურინიუს გუნდს გოლი არ გაუშვია.

ამ საქმეში „სანის“ სპონსორი მსოფლიოს უდიდესი სანაძლევო კანტორა „ბეთფეა“ ყოფილა და ეს ყველას: ფეხბურთელებს, მენეჯერებს და ფანებსაც მოსწონებიათ.

თუმცა, „სანი“, „ჩელსის“ ფეხბურთელებს აფრთხილებს, რომ ავტოგოლები საპრიზო საქმეში არ ჩაითვლება.

რიგში პირველი „ასტონ ვილაა“ და თუ ბირმინგემელები ლონდონელებს ვერ გაუტანენ, საპრიზო ფონდი 2 ათასით გაიზრდება. შემდეგ „ლივერპული“ მოდის და თუ ვერც მერსისაიდლებმა იმარჯვეს, კიდევ ორიათასი დაემატება. და ასე ყოველ ტურში. ანუ, პრემიერლიგის ბოლო ტურისთვის თანხა 72 ათასს მიუკაკუნებს.

თუმცა, მანამდე ვინმე აუცილებლად ივაჟკაცებს.

**ირაკლი გამყრელიძე**

## გერმანია

**მეორე ბუნდესლიგა**
**VI ტური**
**ზიგენი 1:1 ჰანზა**
1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოხუმი | 6 | 4 | 2 | 0 | 13:5 | 14 |
| კოტბუსი | 6 | 4 | 1 | 1 | 15:8 | 13 |
| ბრაუნშვაიგი | 6 | 4 | 1 | 1 | 13:6 | 13 |
| ალემანია | 6 | 4 | 0 | 2 | 16:11 | 12 |
| მიუნხენი | 6 | 3 | 1 | 2 | 14:9 | 10 |
| ზიგენი | 6 | 3 | 1 | 2 | 11:7 | 10 |
| დინამო | 6 | 3 | 1 | 2 | 10:7 | 10 |
| ფრაიბურგი | 6 | 3 | 1 | 2 | 6:5 | 10 |
| პადერბორნი | 6 | 3 | 0 | 3 | 9:8 | 9 |
| აუე | 6 | 2 | 3 | 1 | 6:5 | 9 |
| ოფენბახი | 6 | 3 | 0 | 3 | 9:14 | 9 |
| კარლსრუე | 6 | 2 | 2 | 2 | 4:3 | 8 |
| ფიურტი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:12 | 7 |
| ბურგჰაუზენი | 6 | 1 | 3 | 2 | 5:6 | 6 |
| უნტერჰახინგი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:9 | 5 |
| ჰანზა | 6 | 1 | 1 | 4 | 7:11 | 4 |
| ალენი | 6 | 0 | 1 | 5 | 6:15 | 1 |
| ზაარბრიუკენი | 6 | 0 | 1 | 5 | 1:19 | 1 |

## შვეიცარია

**სუპერლიგა. IX ტური**
**ბაზელი 1:1 იანგ ბოიზი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 9 | 5 | 3 | 1 | 21:13 | 18 |
| ციურიხი | 9 | 5 | 2 | 2 | 22:13 | 17 |
| გრასჰოპერი | 9 | 5 | 2 | 2 | 19:12 | 17 |
| თუნი | 9 | 5 | 2 | 2 | 16:10 | 17 |
| იანგ ბოისი | 9 | 4 | 3 | 2 | 13:9 | 15 |
| სენტ გალენი | 9 | 4 | 2 | 3 | 18:14 | 14 |
| აარაუ | 9 | 2 | 3 | 4 | 8:16 | 9 |
| შაფჰაუზენი | 9 | 2 | 3 | 4 | 7:16 | 9 |
| ქსამაქსი | 9 | 1 | 1 | 7 | 8:18 | 4 |
| ივერდონი | 9 | 1 | 1 | 7 | 7:18 | 4 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

# იტალია

პაკუნა კედია

## ძმა ძმაზე ბურთს აღმართავს

| V ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| რეჯინა | : | უდინეზე |
| პარმა | : | იუვენტუსი |
| **ხვალ** | | |
| კალიარი | : | რომა |
| ემპოლი | : | ლეჩე |
| ინტერი | : | ფიორენტინა |
| ლაციო | : | პალერმო |
| ლივორნო | : | ასკოლი |
| სამპდორია | : | კიევო |
| სიენა | : | მესინა |
| ტრევიზო | : | მილანი |

| საძლეისო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 4 | 4 | 0 | 0 | 8:1 | 12 |
| ფიორენტინა | 4 | 3 | 1 | 0 | 11:6 | 10 |
| პალერმო | 4 | 3 | 1 | 0 | 7:4 | 10 |
| ინტერი | 4 | 3 | 0 | 1 | 9:3 | 9 |
| სამპდორია | 4 | 3 | 0 | 1 | 8:5 | 9 |
| ლივორნო | 4 | 2 | 2 | 0 | 3:1 | 8 |
| რომა | 4 | 2 | 1 | 1 | 7:2 | 7 |
| მილანი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:4 | 7 |
| ლაციო | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| კიევო | 4 | 2 | 0 | 2 | 4:3 | 6 |
| უდინეზე | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | 6 |
| სიენა | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| პარმა | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | 4 |
| ასკოლი | 4 | 0 | 3 | 1 | 3:4 | 3 |
| მესინა | 4 | 0 | 3 | 1 | 3:4 | 3 |
| ემპოლი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:7 | 3 |
| კალიარი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:7 | 2 |
| ლეჩე | 4 | 0 | 1 | 3 | 2:8 | 1 |
| რეჯინა | 4 | 0 | 0 | 4 | 3:10 | 0 |
| ტრევიზო | 4 | 0 | 0 | 4 | 1:9 | 0 |

**ზაფხულზე** ალბერტო ჯილარდინოსა და კრისტიან ვიერის „მილანში" გადასვლამ აჟიოტაჟი გამოიწვია, ატყდა ერთი ამბავი ანდრეი შევჩენკოს, ალბათ, პოზიციას შეუცვლიან და შესაძლოა შეავიწროვონ კიდეცო, მაგრამ შუა კვირაში გამართულმა ტურმა, კერძოდ კი „სან სიროზე" „ლაციოსთან" თამაშმა ყველა ეჭვიანს თვალნათლივ დაანახა, რომ შევჩენკო იყო, არის და იქნება შავ-წითელთა გუნდის მთავარი ფორვარდი. მოკლედ, ოთხშაბათის ტურის საუკეთესო ფეხბურთელად ანდრეი შევჩენკო დაასახელეს. მიზეზი: „მილანი" წინა ტურებში ოდნავ შემცბარი გუნდის შთაბეჭდილებას სტოვებდა, ჩასაფრებული კრიტიკოსებიც ხელიდან შანსს არ უშვებდნენ და თავიანთ მოვალეობას პირნათლად ასრულებდნენ, უკრაინელმა კი მდგომარეობიდან გამოსვლის მთელი სიმძიმე იტვირთა და შავ-წითლებს ძველი ღონე და პეწი „ლაციოსთან" შეხვედრის პირველსავე მეოთხედშივე დაუბრუნა.

მეხუთე ტურში კი შევჩენკო ანუ „მილანი" ტრევიზოში თამაშობს. სავარაუდო შემადგენლობაში შევჩენკოს გარდა თავდასხმაში წერია ჯილარდინო და კაკა, რომელიც სიღრმიდან ითამაშებს. და კიდევ, რაც ჩვენთვის არის ყველაზე საინტერესო: სავარაუდო შემადგენლობაში ჩვეულებრივ წერია კახა კალაძეც.

ოთხშაბათის საუკეთესო გოლად აღიარეს პალერმოელი კრისტიან ტერლიცის გოლი „რეჯინას" კარში. ბურთი ისე გავიდა, კარგ თავდამსხმელს შეშურდებოდა, არადა ტერლიცი, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ოთხი გოლი შეაგდო, მცველია. მან რეჯო კალაბრიელთა მოგერიებული ბურთი საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო და ყოველგვარი ეჭვისა და ყოყმანის გარეშე ისე დაჰკრა, თქვენი მოწონებული.

„პალერმო" მეხუთე ტურში რომის ოლიმპიურ სტადიონზე ზემოხსენებული „მილანისგან" დამარცხებულ „ლაციოს" სტუმრობს.

რაც შეეხება ჩემპიონ „იუვენტუსს", იგი ოთხი თამაშიდან ოთხი მოგებით დღეს საღამოს პარმაშია. რით არის ეს მატჩი საინტერესო გარდა იმისა, რომ „ბებერ ქალბატონს" მეხუთე მოგება უნდა და საინტერესოა მოახერხებს თუ არა ამას? ჟურნალისტთა და ქომაგთათვის ეს იქნება ძმები კანავაროების დაპირისპირება, ფაბიო პაოლოს წინააღმდეგ. პარმის პუბლიკისთავის ცნობილ, მათ ყოფილ მოთამაშეთაგან „იუვეს" შემადგენლობაში არ იქნებიან მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი და მცველი ლილიან ტურამი. მოსალოდნელია, რომ ტურინელთა გუნდში არ იქნებიან ალესანდრო დელ პიერო და ადრიან მუტუ. ალბათ, ფაბიო კაპელო თავდასხმაში დავიდ ტრეზეგესა და ზლატან იბრაჰიმოვიჩს ათამაშებს.

„ინტერი" კი ხვალ საღამოს „სან სიროს" დაიკავებს. შავ-ლურჯებს საკმაოდ რთული ამოცანა აქვთ გადასაწყვეტი — „ფიორენტინას" უნდა მოუგონ. ოდესღაც „ლაციოს" დღეს კი „ინტერის" მოთამაშეები, ხუან ვერონი, დეიან სტანკოვიჩი და ჯუზეპე ფავალი თავიანთ რომაელობისდროინდელ თანაგუნდელებს, ჯუზეპე პანკაროსა და სტეფანო ფიორეს დაუპირისპირდებიან.



ანდრეი შევჩენკო საუკეთესო მილანელი თავდამსხმელია

### წინა ტურის სიმბოლური ნაკრები 3-3-1-3

ბოჟინოვი — ფიორენტინა
ბონაცოლი — სამპდორია
შევჩენკო — მილანი
კაკა — მილანი
ამბროზინი — მილანი
ემერსონი — იუვენტუსი
სანტანა — პალერმო
სამუელი — ინტერი
ტერლიცი — პალერმო
რ. კოვაჩი — იუვენტუსი
ამელია — ლივორნო

გუნდი: მილანი

მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი (ფიორენტინა)

# ესპანეთი

ლადო ხომერიკი

## ვალენსიას ფრეები მობეზრდა

| V ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ვალენსია | : | სოსიედადი |
| ბეტისი | : | ბარსელონა |
| სარაგოსა | : | დეპორტივო |
| ესპანიოლი | : | ვილიარეალი |
| ატლეტიკო | : | ხეტაფე |
| **ხვალ** | | |
| მალიორკა | : | მალაგა |
| ოსასუნა | : | კადისი |
| ალავესი | : | რეალი |
| სელტა | : | სევილია |
| ბილბაო | : | რასინგი |

**ერთი და იმავე** გუნდის მიერ სამჯერ ზედიზედ 2:2-ზე შესრულებული „კანტატა" ესპანურ პრიმერაში არცთუ ისე ხშირია, თუმც კიკე ფლორესის „ვალენსიას" შემთხვევაში ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით. „სარაგოსა", „დეპორტივო", „ბარსელონა" — სამივესთან „ვალენსიამ" მიჯრით სამი ტურის განმავლობაში ერთანაირი ანგარიშით ფრე გაახერხა. დღეს კი კიკეს შეგირდობა საკუთარ „მესტალიაზე" „ატლეტიკოსთან" უშელავათო ჯახში გამარჯვებულ „სოსიედადს" მასპინძლობს. „ღამურებმა" წინა შეხვედრაში „ბარსასთან" კარგად იბურთავეს და რომ არა მეკარე კანისარესის შეცდომა, ეგებ „კამპ ნოუდან" სამი ქულითაც წამოსულიყვნენ. ზღვისპირელ ბასკებთან შერკინებას ფლორესის გუნდი მშვენიერ ხასიათზე ელოდება, მით უმეტეს, რომ სანქციამოხდილი ბარახაც დუმატებიათ. „რაც დრო გადის, მით უფრო აუმჯობესებენ ბიჭები თამაშის ხარისხს. „სოსიედადთან" ჩვენი მიზანი მოგება იქნება" — თქვა დამხდურთა მწვრთნელმა, რომელსაც, ეტყობა, ფრეები ყელში ამოუვიდა... ხოსე ამორურტუს „სოსიედადმა" 21 სექტემბერს მადრიდულ „ატლეტიკოს" ჯოჯოხეთი მოუწყო, 0:2-ზე ჩავარდნილი თამაში 3:2-ად უქცია და ცხრილის შუაგულში მყუდროდ მოეწყო. „ვალენსიასთან" ბასკთა ვიზიტი დაჯარიმებული ბარკერის გარეშე ჩაივლის.

ფრანკ რაიკაარდის „ბარსელონა" შაბათს სევილიურ „ბეტისს" სტუმრობს. „ბარსამ" მეორე ტურში „ატლეტიკოსთან" წააგო, მერე „ვალენსიასთან" ფრეს დასჯერდა და კატალონიელთა ლიდერის, რონალდინიოს არცთუ საუკეთესო თამაში რაიკაარდის ბანაკის შეშფოთებას იწვევს. „ბეტისთან" ალბათ ტრავმირებული მარკესი და ვან ბრონჰორსტი ვერ ითამაშებენ. მასპინძელ სევილიელებს „დეპორთან" მატჩში ზედმეტი აქტიურობისთვის მწვრთნელი სერა ფერერი გაუძევეს და შესაბამისად „ბეტისის" თავკაცი არც „რუის დე ლოპერაზე" იქნება. კარლოს ბიანკის „ატლეტიკოს" თანაქალაქელ „ხეტაფესთან" შინაურ ომში სანქციამოხდილი პაბლო დაუბრუნდება,მეორეადგილოსანმა „ხეტაფემ" კი გასულ ჯახში „მალიორკასთან" კაი ბურთაობა უჩვენა და ფარ-ხმლის დაყრას ალბათ არც ბიანკის მიჯნებთან აპირებს. „რეალის" სავარაუდო დანაკლისი ალავესთან ჯახში ივან ელგერა გახლავთ. ვიტორელ ბასკებს გალაქტიკოსებთან ომში კი პოლი, ედუ ალონსო, ნავარო და კარერასი ვერ დაეხმარებიან.



კიკე სანჩეს ფლორესი

| საძლეისო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სელტა | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 9 |
| ხეტაფე | 4 | 2 | 2 | 0 | 8:5 | 8 |
| დეპორტივო | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 8 |
| სარაგოსა | 4 | 1 | 3 | 0 | 5:3 | 6 |
| რეალი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:6 | 6 |
| ვალენსია | 4 | 1 | 3 | 0 | 7:6 | 6 |
| რასინგი | 4 | 2 | 0 | 2 | 2:2 | 6 |
| ოსასუნა | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | 6 |
| ესპანიოლი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | 6 |
| სოსიედადი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:11 | 6 |
| ბარსელონა | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| კადისი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| ბეტისი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 5 |
| სევილია | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 5 |
| ბილბაო | 4 | 1 | 1 | 2 | 6:6 | 4 |
| მალიორკა | 4 | 1 | 1 | 2 | 6:6 | 4 |
| ატლეტიკო | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| მალაგა | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| ალავესი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:6 | 2 |
| ვილიარეალი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:6 | 2 |

### წინა ტურის სიმბოლური ნაკრები 3-4-3

ბაიანო — სელტა
კოვაჩევიჩი — სოსიედადი
რაული — რეალი
სილვესტინი — ჰამბურგი
არანზურუ — სოსიედადი
დეკო — ბარსელონა
სავიო — სარაგოსა
ენრიკე — სელტა
ანდრადე — დეპორტივო
ნავარო — მალიორკა
მოია — მალიორკა

გუნდი: ვოლფსბურგი

მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი (სელტა)

# ინგლისი

კოკი კანდელაკი

| VII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბირმინგემი | : | ლივერპული |
| ბოლტონი | : | პორტსმუთი |
| ჩელსი | : | ასტონ ვილა |
| ევერტონი | : | უიგანი |
| მანჩესტერი | : | ბლექბერნი |
| ნიუკასლი | : | სიტი |
| ვესტ ბრომვიჩი | : | ჩარლტონი |
| ვესტ ჰემი | : | არსენალი |
| **ხვალ** | | |
| მიდლსბრო | : | სანდერლენდი |
| **ზეგ** | | |
| ტოტენჰემი | : | ფულემი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 6 | 6 | 0 | 0 | 12:0 | 18 |
| ჩარლტონი | 5 | 4 | 0 | 1 | 8:3 | 12 |
| მანჩესტერი | 5 | 3 | 2 | 0 | 6:1 | 11 |
| ბოლტონი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:4 | 11 |
| სიტი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:5 | 11 |
| ვესტ ჰემი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:4 | 10 |
| არსენალი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:4 | 9 |
| ტოტენჰემი | 6 | 2 | 3 | 1 | 5:3 | 9 |
| მიდლსბრო | 6 | 2 | 2 | 2 | 6:7 | 8 |
| უიგანი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:4 | 7 |
| ლივერპული | 4 | 1 | 3 | 0 | 1:0 | 6 |
| ასტონ ვილა | 6 | 1 | 3 | 2 | 5:9 | 6 |
| პორტსმუთი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:8 | 5 |
| ნიუკასლი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:7 | 5 |
| ფულემი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:9 | 5 |
| ბირმინგემი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:9 | 5 |
| ვესტ ბრომვიჩი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:11 | 5 |
| ბლექბერნი | 6 | 1 | 2 | 3 | 3:8 | 5 |
| ევერტონი | 5 | 1 | 0 | 4 | 1:6 | 3 |
| სანდერლენდი | 6 | 0 | 1 | 5 | 3:10 | 1 |

## მეთოფეები ჩაქუჩების წინააღმდეგ

**ტურის** ცენტრალურ მატჩად „აპტონ პარკზე" გასამართი ლონდონური დერბი უნდა მივიჩნიოთ, სადაც ერთმანეთის პირისპირ ოდინდელი მეტოქეები „ვესტ ჰემი" და „არსენალი" წარსდგებიან.

მასპინძლები მშვენიერ ფორმაში არიან და „მეთოფეებს" 4 ქულითაც უსწრებენ. მათ ამ მატჩშიც წარმატების ეიმედებათ. „ჩაქუჩები" სწორედ „არსენალიდან" ნათხოვარ ჯერემი ალიდაირს ვერ დაეხმარნენ, რომელსაც ტრავმა აქვს და შესაძლოა, ოპერაციაც დასჭირდეს. სტუმრები კი „აპტონ პარკზე" მათი ლიდერის ტიერი ანრის გარეშე ჩავიდნენ და ეცდებიან, ამ სეზონში გასვლაზე პირველი ქულები მოიპოვონ.

„ჩელსი" მოძლიერებულ „ასტონ ვილას" მიიღებს. ბირმინგემელებს თავდასხმაში სერიოზული პრობლემები შეექმნათ. კევინ ფილიპსი ტრავმირებულია, ხოლო მილან ბაროშის თამაში ძალიან საეჭვო გახლავთ. სამაგიეროდ, ლონდონელებს ორი მცველი ჰყავთ დაშავებული. მოასწრებს თუ არა ასიერ დელ ორნო მომჯობინებას, ჯერ უცნობია, ხოლო უეინ ბრიჯი ნამდვილად ვერ იბურთავებს. თუმც ჟოზე მაურინიუს მათი შემცვლელები მრავლად ჰყავს. სათუოა ეიდურ გუდიონსენის თამაშიც, ისლანდიელს მცირე ტრავმა აწუხებს.

„მანჩესტერ იუნაიტედი" „ბლექბერნს" მასპინძლობს. „წითელ ეშმაკებს" გარი ნევილი არ ეყოლებათ, რომელიც ტრავმის ბოლომდე მოსაშუშებლად ოპერაციას იკეთებს და 6 კვირა დაისვენებს. „ბლექბერნს" კი დისკვალიფიკაციამოხდილი ენდი ტოდი და ახლად მომჯობინებული მორტენ პედერსენი უბრუნდება. სტუმართა თავკაცი მარკ ჰიუზი ალბათ პოლ დიკოვს და ბრეტ ემერტონს დაასვენებს, ხოლო ზურაბ ხიზანიშვილს მარჯვენა მცველად ათამაშებს.

ტრავმებით გატანჯული „ბირმინგემი" „ლივერპულს" მაზი იზეტის, სტეფან კლემენსის, დავიდ დანის, ირჟი იაროშიკის, მეჰდი ნაფტისა და დისკვალიფიცირებული ნიკი ბატის გარეშე დაუხვდება. მერსისაიდელებს ფერნანდო მორიენტესი და მოჰამედ სისოკო არ ეყოლებათ. რაფაელ ბენიტესის გუნდს მიმდინარე პრემიერლიგაში გასვლაზე ჯერ არ მოუგია და ნავსის გატეხვას სწორედ ახლა აპირებს.

ოთხეულში შემძვრალმა „ბოლტონმა" შესაძლოა, ჯეი ჯეი ოკოჩა, რიკარდო ვახტი, აბდულაი ფეიე, რადჰი ჯაიდი და ფაბრის ფერნანდესი მოისაკლისოს. ყველა ამ მოთამაშეს „რიბოკის" ექიმები დასტრიალებენ თავს. ფეხმოტეხილი ივან კამპო კი, ცხადია, არ იქნება.

„რიბოკს" ალან პერინის „პორტსმუთი" სტუმრობს, ოღონდ ლომანა ლუალუას გარეშე. შავკანიან ფორვარდს მცირე ტრავმა აქვს და თანაც გაცივებულია. ლინვო პრიმუსი და ალიუ სისე ჯერ ჭრილობას არ არიან, ხოლო ზვონიმირ ვუკიჩი ტრავმირებულია.

საინტერესო მატჩი შედგება „სენტ ჯეიმს პარკზე", სადაც „ნიუკასლი" ემრეს, ალბერტო ლუკეს, კირონ დაიერისა და ნოლბერტო სოლანოს გარეშე მიიღებს „მანჩესტერ სიტის". მანკუნიანელებმა კი შესაძლოა, ენდი კოული და ჯოი ბარტონი ვერ დაიხმარონ.

„ევერტონს" „უიგანთან" შეხვედრაში ჯეიმს ბიტი და მისი თითქმის სეხნია კაგანი არ ეყოლება. დანკან ფერგიუსონის თამაში კი სათუოა.

ბოლოს კიდევ ერთ ლონდონურ დერბიზე ვთქვათ. „უაით ჰარი ლეინზე" ერთმანეთს „ტოტენჰემი" და „ფულემი" შეეყრებიან. მასპინძლებს სამმატჩიანი დისკვალიფიკაციის მერე აჰმედ ჰოსამი მიდო უბრუნდება. მარტინ იოლს ეიმედება, რომ ედგარ დავიდსი მატჩამდე მომჯობინებას მოასწრებს. ენტონი გარდნერი მაიკლ დოუსონი და მაიკლ კარიკი ნამდვილად არ იქნებიან.




# გერმანია

ვაჟა ხუციშვილი

## ვინ მოხსნის ჯეკპოტს?

### ბუნდესლიგაში ლუდის სუნი ტრიალებს

| VII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ვერდერი | : | ლევერკუზენი |
| არმინია | : | გლადბახი |
| მაინცი | : | დორტმუნდი |
| ვოლფსბურგი | : | აინტრახტი |
| შალკე | : | ჰანოვერი |
| დუისბურგი | : | ნიურნბერგი |
| ჰამბურგი | : | ბაიერნი |
| **ხვალ** | | |
| შტუტგარტი | : | ლაუტერნი |
| კიოლნი | : | ჰერტა |

**10 ათას** ლიტრ მუქთა ლუდს ჩაიბუყბუყებენ „ჰამბურგის" ფანები, თუ მათი გუნდი „ბაიერნის" თერთმეტმატჩიან უძლეველ სვლას შეწყვეტს. ჯილდოს დამწესებელი ლუდმხარშავი ფირმის პრესმდივანმა დიტმარ ჰენლემ თქვა, „ბაიერნის" საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, ჩვენ მხოლოდ ინტრიგას ვქომაგობთო.

მიუნხენელებმა დღეს თუ არ წააგეს, მელუდეები მომდევნო ტურისთვის 10 ათასს კიდევ ათასს დაუმატებენ და ასე გაგრძელდება მანამდე, სანამ „ბაიერნი" არ დამარცხდება.

„ბილდის" აზრით, ფელიქს მაგათის გუნდი რაც შეიძლება, მალე უნდა დააჩოქონ თორემ ჩემპიონატი მოსაწყენი გახდება.

მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონმა თომას ბერთოლდმა განაცხადა: „ბაიერნს" ბუნდესლიგაში ღირსეული მეტოქე არ ჰყავს. ათი ტურის შემდეგ 30 ქულა რომ მოაგროვონ, ფეხბურთის სანახავად აღარავინ მივა, რადგან ჩემპიონი ნაადრევად გახდება ცნობილი".

შტეფან ეფენბერგი: „ჩახედეთ ცხრილს და თვითონ მიხვდებით — „ბაიერნს" ვერავინ გაუტოლდება. იმასაც კი ვფიქრობ, რომ მთელ სეზონს წაუგებლად ჩაამთავრებენ და 16 ქულაზე მეტი სხვაობით გაასწრებენ მეორეადგილოსანს".

შეძლებს კი „ჰამბურგი" „ბაიერნის" ძლევას, რომლისთვისაც ბოლო თოთხმეტ მატჩში არ მოუგია? ჰამბურგელთა მწვრთნელი თომას დოლი: „არ ვართ ჩემპიონატის ფავორიტები. პირველ ადგილზე „ბაიერნია" და ამას იმსახურებს, თუმც დღევანდელი მატჩი ჩვენთვის დიდი გამოწვევაა".

ფელიქს მაგათი: „მიხაელ ბალაკი გამოჯანმრთელდა და „ჰამბურგთან" ითამაშებს. ის გუნდისთვის შეუცვლელია. „აინტრახტთან" ხომ დაუმარცხებელი არავინაა, მაგრამ ყოველი მომდევნო მოგებული მატჩის შემდეგ თავდაჯერებულობა გვემატება".

წინა ტურში „ჰამბურგთან" საშინაო მარცხის გამო „შტუტგარტის" თავკაცი ჯოვანი ტრაპატონი ისევ შეაჯანჯღარეს — თქვენი გუნდი 90 წუთი დაცვაში რატომ დგასო. იტალიელმა უპასუხა: „ფორვარდები დაშავებულნი არიან, მხოლოდ მცველები დამრჩა და რა ჩემი ბრალია? კარიერაში 21 ჯილდო არ მექნებოდა მოგებული, მარტო მცველებით რომ მეთამაშა".

„კაიზერსლაუტერნთან" „შტუტგარტს" სავარაუდოდ კაკაუ დაუბრუნდება, რომელიც იონ დალ ტომასონთან ერთად შეუტევს „ლაუტერნს" და ტრაპატონისაც საწუწუნო ალბათ აღარ ექნება. სტუმრებს დისკვალიფიცირებული ჩირიაკო სფორცა დააკლდებათ.

„შალკეს" წყალწაღებულმა მწვრთნელმა რალფ რანგნიკმა კიდევ ერთი ლექცია მოისმინა კლუბის პატრონისგან, რადგან „ნიურნბერგს" ვერ მოუგო. რანგნიკს რუდი არაუერის პრეტენზიების მოსმენა მოსწყინდა და ფეხბურთელებს მისდგა. „ეს ბიჭები შარშანაც თამაშობდნენ, თან ძალიან კარგად. ახლაც იგივე შემადგენლობაა და არ მესმის, რა დაემართათ".

„შალკე" „ჰანოვერს" მასპინძლობს და ეს მატჩიც რომ ვერ მოიგოს, „ხუმარებს" ლიმილი მოენატრებათ. ებე სანდი ტრავმირებულია, ბაირამოვიჩი კი — დისკვალიფიცირებული. რანგნიკი კურანი-ლარსენის დუეტს გაამწესებს.

ლევერკუზენის „ბაიერს" რუდი ფიოლერის მწვრთნელობა მოუხდა. გუნდმა მიჯრით ორი შეხვედრა მოიგო ჯერ „დუისბურგთან", მერე — „კიოლნთან". ლევერკუზენელების დღევანდელი მეტოქე „ვერდერია" და საეჭვოა, რომ ფიოლერის შეგირდებმა ბრემენშიც გაილაღონ. „ბაიერს" დასჯილი ბერნდ შნაიდერი დააკლდება, „ვერდერს" კი შესაძლოა, ფრანკ ბაუმანი ვერ დაეხმაროს.

დუისბურგში ჯერაც მატჩმოუგებელი გუნდები დაეჯახებიან. „ზებრები" მათსავით მაჩანჩალა „ნიურნბერგს" უმასპინძლებენ, რომელსაც კვლავ არ ეყოლება ტრავმირებული მეგოლე მარეკ მინტალი.

„არმინია" „ბორუსიას" დაუხვდება. სტუმრებს ჰელვეგი, ბოგელუნდი, სონკო, ციგე და ბიომე ჰყავთ დაშავებული.

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 6 | 6 | 0 | 0 | 15:3 | 18 |
| ჰამბურგი | 6 | 4 | 2 | 0 | 12:4 | 14 |
| ვერდერი | 6 | 4 | 1 | 1 | 17:8 | 13 |
| ჰერტა | 6 | 3 | 2 | 1 | 10:7 | 11 |
| ლევერკუზენი | 6 | 3 | 1 | 2 | 13:11 | 10 |
| შალკე | 6 | 2 | 4 | 0 | 7:5 | 10 |
| კიოლნი | 6 | 3 | 0 | 3 | 10:10 | 9 |
| ვოლფსბურგი | 6 | 2 | 3 | 1 | 10:10 | 9 |
| დორტმუნდი | 6 | 2 | 2 | 2 | 10:9 | 8 |
| გლადბახი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:9 | 8 |
| ლაუტერნი | 6 | 2 | 1 | 3 | 10:14 | 7 |
| შტუტგარტი | 6 | 1 | 3 | 2 | 8:9 | 6 |
| ჰანოვერი | 6 | 1 | 3 | 2 | 8:9 | 6 |
| არმინია | 6 | 1 | 2 | 3 | 5:10 | 5 |
| აინტრახტი | 6 | 1 | 1 | 4 | 3:10 | 4 |
| ნიურნბერგი | 6 | 0 | 3 | 3 | 4:9 | 3 |
| მაინცი | 6 | 1 | 0 | 5 | 4:10 | 3 |
| დუისბურგი | 6 | 0 | 2 | 4 | 9:15 | 2 |



# თარსი ვუდი და რაულის რეალური ფიესტა



რაულმა ბეჰედს ჰყოცა და „რეალს“ მოაგებინა

## ესპანეთი

**პრიმერადივიზიონი. IV ტური**

**რეალი 3:1 ბილბაო**

0:1 ვუდგეიტი (24ს.კ.), 1:1 რობინიო (52), 2:1, 3:1 რაული (64, 68)

**რეალი:** კასილიასი, მ. სალგადო, რობერტო კარლოსი, ვუდგეიტი, პავონი, პ. გარსია, გრავესენი (გუტი 46), ბექემი, რაული (დე ლა რედი 87), რონალდო (ბრავო 68), რობინიო

**მწვრთნელი:** ვანდერლეი ლუშემბურგო

**ბილბაო:** არანსუბია, კასასი, ესპოზიტო, ლაკრუსი, პრიეტო (მურილიო 86), ორბაისი, ტიკო, იესტე (ლორენტე 68), გურპეგი (ირაოლა 72), გუტიერესი, ეჩევერია

**მწვრთნელი:** ხოსე ლუის მენდილიბარი

**გაფრთხილება:** ვუდგეიტი, სალგადო, ლაკურსი, ვუდგეიტი, გურპეგი, ტიკო, ორბაისი, პრიეტო

**გაძევება:** ვუდგეიტი (66)

**მსაჯი:** უნდიანო მალენკო

75 000 მაყურებელი

**რაულმა** და გუტიმ, ორმა ძველმა მადრიდელმა, 22 სექტემბერს „ბილბაოსთან“ „რეალის“ დამრიგებელ ვანდერლეი ლუშემბურგოსა და საერთოდ სამეფო გუნდის პრესტიჟი გადაარჩინეს. გალაქტიკოსთა კაპიტანმა ეს თავისი გოლებით, ხოლო მარადჟამს სათადარიგოში ჩარჩენილმა გუტიერესმა შესანიშნავი ბურთაობით შეძლეს. ამგვარად, ლუშემბურგოს ესპანეთის სატახტოდან გადაბარგება ვინძლო კარგა ხნით გადაიდო.

ჯონათან ვუდგეიტის „რეალური“ დებიუტი კი ფრიად უსიამოვნო გამოდგა. მან ჯერ ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა, მერე ორი ყვითელიც „აიკიდა“ და გაოგნებულმა დატოვა „სანტიაგო ბერნაბეუ“.

„თავს ისე ვგრძნობ, თითქოს საშინელ სიზმარში ვიყო. ახლა არაფრის თქმა არ შემიძლია, მაგრამ რახან ცხოვრებაში ამაზე მძიმე წუთებიც მქონდა, რამენაირად „რეალში“ უიღბლო დებიუტსაც გადავიტან“ — უთხრა ალბიონელმა ფეხბურთელმა მატჩის მერე მასთან საინტერვიუდ მივარდნილ ესპანურ მედიას...

რაც შეეხება უშუალოდ თამაშს, „ბერნაბეუზე“ თავიდან ბასკები გაბატონდნენ. „სამეფო გუნდმა“ პირველ ტაიმში სახიფათოდ მარტო ერთხელ შეუტია — მეექვსე წუთზე რობინიომ რაულის გადაცემის მერე ბურთი არანსუბიას კარის ძელს დააჭედა. „ბილბაომ“ კი, როგორც მოგახსენეთ, ბეჩავი „ვუდის“ დახმარებით შეაგდო. 24-ე წუთზე ეჩევერიას ძლიერად დარტყმულს, ვუდგეიტმა თავი უხერხულად დაუხვედრა და დაზაფრული ტრიბუნების თვალწინ ანგარიში ბასკთა სასარგებლოდ გახსნა. შესვენების მერე უნიათოდ მოთამაშე გრავესენს გუტი ცვლის და ...

52-ეზე რობინიომ ესპანეთში თავისი პირველი თავური გაიტანა, 64-ეზე რაულმა გუტის დაწყებული კომბინაცია გოლად გარდაქმნა და ოთხი წუთის შემდეგ მანვე ბექემის ჩამოწოდებულ კუთხურს არანსუბიას კარში მიუჩინა ადგილი. „ეს ჯერ რა არის, ბევრ ამაზე უკეთეს გამარჯვებასაც ნახავთ. მგონი, ხმები მადრიდიდან ჩემი წასვლის შესახებ გადაჭარბებული უნდა იყოს“ — ზარ-ზეიმით განუცხადა „რეალის“ თავკაცმა ლუშემბურგომ ესპანურ მედიას.

**ლადო ხომერიკი**

# სამპდორიას ბონაცოლის დატოვება უნდა

**გენუელთა** წარმომადგენლები უკვე დაუკავშირდნენ „რეჯინას“ ემილიანო ბონაცოლის შეძენასთან დაკავშირებით. ეს უკანასკნელი „სამპდორიაშია“ განათხოვრებული.

ახალგაზრდა ფეხბურთელი გენუაში ზაფხულში გაანათხოვრეს, მაგრამ ვალტერ ნოველინო უკვე მის საბოლოოდ შეძენაზე ალაპარაკდა.

ბონაცოლიმ ტრავმირებული ფაბიო ბაცანის ადგილი დაიკავა და ოთხ მატჩში ოთხში ვოლიც გაიტანა.

„ვგრძნობ, რომ საუკეთესო ფორმაში შევდივარ. თავიდან ცოტა გამიჭირდა სიტუაციასთან შეგუება, თუმცა ვფიქრობ, საკმაოდ მალე მოვაგვარე ეს პრობლემაც. ამავდროულად შეტევაშიც მეტი ხელშემწყობი მყავს, ვიდრე „პარმაში“. „სამპა“ შეტევაზეა ორიენტირებული და გოლის გატანის მეტი შესაძლებლობაც მეძლევა. მინდა, ხაზი გავუსვა, რომ ჩემი გოლები თანაგუნდელების დამსახურებაა“ — განაცხადა თავად ფეხბურთელმა.

ბონაცოლის ამჟამინდელი თამაშით თუ ვიმსჯელებთ, მისი ნაკრებში გამოძახება გარდაუვალია. თავად ემილიანოს აზრით, ეროვნული მაისურის მორგება ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნებაა, მაგრამ ეჭვი ეპარება, რადგან „სკუადრა აძურაში“ ბევრი ძალიან ძლიერი თავდამსხმელია.

24 წლის ბონაცოლის უკვე აქვს იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშის გამოცდილება, სადაც მან 17 თამაშში შვიდი გოლი გაიტანა.

**ზურა გოცირიძე**

# პუიოლი სამუდამოდ



**კარლეს პუიოლმა** გუშინ „ბარსელონასთან“ კონტრაქტი განაახლა. ამიერიდან „კამპ ნოუს“ გუნდის კაპიტანი კატალონიურ გრანდში 2010 წლის 30 ივნისამდე იბურთავებს. „როცა „ბარსასთან“ ჩემი ახალი საკონტრაქტო ვადა დამთავრდება, 32 წლის ვიქნები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სავარაუდოდ მთელ საფეხბურთო კარიერას ერთ გუნდში გავატარებ. რასაკვირველია, წინასწარ არავინ იცის, რა მოხდება, თუმცა „ბარსელონაში“ ბედნიერად ვგრძნობ თავს და სხვა გუნდში გადასვლას არ ვაპირებ“ — განუცხადა ფრანკ რაიკარდის შეგირდმა კატალონიური „სპორტის“ ჟურნალისტებს. პუიოლი ძირითად გუნდში 7 სეზონის წინ მივიდა და დღემდე „ბარსას“ ძირითადში 248 ოფიციალური შეხვედრა ჩაატარა. კარლესთან კონტრაქტის გაწყვეტა 150 მილიონი ევრო ეღირება, რაც ძველი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ 180 მილიონიზე ნაკლებია, ოღონდ ვინძლო პუიოლის მსურველ უცხოურ კლუბებს არც 150 მილიონის გადახდა ესიამოვნოთ... თავად ფეხბურთელი წლიურად 3,5 მილიონ ევროს მიიღებს.

**ლადო ხომერიკი**

# სოლსკიაერი კვლავ დაშავდა

**„მანჩესტერ იუნაიტედის“** თავდამსხმელი ოლე გუნარ სოლსკიერი ეგრეც ვერ დაუბრუნდა ვარჯიშს. თითქოსდა კარინგეტონის ბაზაზე უკვე ყოველდღიურად უნდა ევლო, მაგრამ ახალმა ტრავმამ კიდევ ერთი, თვენახევრიანი უქმობა გადაწყვიტა.

ბოლო ორი წელიწადია, რაც 32 წლის ფეხბურთელს ტრავმები სტანჯავს და მას ხეირიანად არც უთამაშია. მუხლის მძიმე ტრავმამ სოლსკიაერს გული ვერ გაუტეხა: „გუნება გამიფუჭდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ძველი ტრავმა არაფერ შუაშია. ახლა რამდენიმე კვირა დამჭირდება და 1 ნოემბერს ვარჯიშს დავიწყებ“.

ადრე კი სერ ალექს ფერგიუსონმა თქვა, მეეჭვება სოლშა ფეხბურთს დაუბრუნდესო.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ტიაგოს პირველი ფრანგული

## საფრანგეთი

**I დივიზიონი. VIII ტური**

**ლიონი 1:1 ლანსი**

0:1 კულიბალი (5), 1:1 ტიაგო (38)

**შვიდწლიან** ლიონურ კარიერაში გრეგორი კუპეს „სტად ჟერლანზე“ ლანსელებისგან მხოლოდ ორი გოლი გაეშვა და გუშინწინ მესამეც მიუმატეს. სტუმართა ვეება მცველმა ადამა კულიბალიმ მასპინძელ კრისს ნახტომში აჯობა და თავით გაუტანა კუპეს.

„ლიონის“ პორტუგალიელმა ლეგიონერმა ტიეგო მენდესმა ტაიმის მიწურულს გაათანაბრა. მისი დარტყმული ბურთი მეტოქეს ფეხზე მოხვდა და დაბნეული შარლ იტანჯეს კარში შევარდა.

„ბედნიერი ვარ, რომ „ლიონისთვის“ პირველი გოლი გავიტანე — თქვა პორტუგალიელმა — სამწუხაროდ, მხოლოდ ქულა გვერგო. ამ მატჩმა პრემიერლიგა გამახსენა, ორივე გუნდი ლაღად თამაშობდა და უნდა ვაღიარო, რომ „ლანსმა“ გაგვაწვალა“.

„ლიონის“ მწვრთნელმა ჟერარ ულიემ განაცხადა: „ლანსელები ფიზიკურად ძლიერები არიან და მეტად სწრაფად მოძრაობდნენ. მათ კონტრშეტევები ძალიან სახიფათო იყო, თუმც ჩვენ ბევრი საგოლე მომენტი გვქონდა და ვფიქრობ, გამარჯვებას ვიმსახურებდით“.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 8 | 5 | 3 | 0 | 11:5 | 18 |
| პსჟ | 8 | 5 | 1 | 2 | 12:8 | 16 |
| ლე მანი | 8 | 4 | 2 | 2 | 10:4 | 14 |
| ლანსი | 8 | 3 | 4 | 1 | 14:6 | 13 |
| სტ. ეტიენი | 8 | 3 | 4 | 1 | 7:3 | 13 |
| ბორდო | 8 | 3 | 4 | 1 | 8:5 | 13 |
| ოსერი | 8 | 4 | 1 | 3 | 8:13 | 13 |
| ლილი | 8 | 3 | 3 | 2 | 12:7 | 12 |
| ნანტი | 8 | 3 | 2 | 3 | 8:5 | 11 |
| აიაჩო | 8 | 2 | 5 | 1 | 7:6 | 11 |
| ნიცა | 8 | 3 | 2 | 3 | 8:10 | 11 |
| მონაკო | 8 | 3 | 1 | 4 | 6:9 | 10 |
| რენი | 8 | 3 | 1 | 4 | 10:19 | 10 |
| ტრუა | 8 | 2 | 3 | 3 | 7:8 | 9 |
| სოშო | 8 | 2 | 2 | 4 | 4:6 | 8 |
| მარსელი | 8 | 2 | 2 | 4 | 7:11 | 8 |
| ტულუზი | 8 | 2 | 2 | 4 | 3:9 | 8 |
| ნანსი | 8 | 2 | 1 | 5 | 10:7 | 7 |
| სტრასბური | 8 | 0 | 5 | 3 | 2:5 | 5 |
| მეცი | 8 | 0 | 4 | 4 | 3:11 | 4 |

# იუვე იაკინტას უარყოფს

**ტურინელთა** განცხადებით, მათ იაკინტას ტრანსფერთან დაკავშირებით „უდინეზეს“ წარმომადგენლებთან არავითარი საუბარი არ ჰქონიათ. მეტიც, სასაუბროც არაფერი აქვთ.

როგორც გაუწყეთ, უდინელთა საუკეთესო ფეხბურთელად მიჩნეული ვიჩენცო იაკინტა „იუვენტუსთან“ თამაშის წინ ჰაერში გამოკიდებული აღმოჩნდა. ის განაცხადში არ შეუყვანიათ, თუმცა არც ტრანსფერზე დაუყენებიათ. ეგებ ეს უბრალოდ დამთხვევა იყოს, მაგრამ ის, რომ უდინელთა მეგოლე მაინცდამაინც ტურინელებთან ჯახის წინ ამოაგდეს შემადგენლობიდან, შემდეგ მატჩში კი შეიძლება კვლავ ითამაშოს, გარკვეულ ეჭვებს ბადებს „ბებერი ქალბატონის“ იაკინტათი დაინტერესების შესახებ.

„სიმართლე გითხრათ, გამიხარდა, როცა გავიგე, რომ იგი ჩვენს წინააღმდეგ არ ითამაშებდა. ვერ გეტყვით, რაშია საქმე, ამიტომაც კომენტარისგან თავს შევიკავებ. ერთი კი დანამდვილებით შემიძლია, ვთქვა — იაკინტას შეძენას არ ვაპირებთ. თავდამსხმელების პრობლემა არ გვაქვს“ — განაცხადა ლუჩანო მოჯიმ.

„უდინეზემ“ იტალიის ნაკრების მოთამაშეს კონტრაქტი მას შემდეგ შეუჩერა, რაც ვიჩენცომ ხელფასის გაზრდის მოთხოვნით ზედმეტად იაქტიურა.

ანალოგიური სიტუაცია გუნდში გასულ სეზონში შეიქმნა, რაც საბოლოოდ დავიდ პისაროს „ინტერში“ გაყიდვით დასრულდა.

„შევდივარ მის მდგომარეობაში. ძირითადად ჯოხი ფეხბურთზე ტყდება ხოლმე. ვიმედოვნებ, პრობლემებს მალე მოაგვარებს. ის ძალიან საინტერესო მოთამაშეა და გამოადგება როგორც ნებისმიერ კლუბს, ისე მის ეროვნულ ნაკრებს“ — განაცხადა SKY ITALIA-სთან ინტერვიუში ჩილელმა.

**ზურა გოცირიძე**

# ბომბარდირი მცველი



კრისტიან ტერლიცი

**პალერმოს** მცველი კრისტიან ტერლიცი მას შემდეგ მოექცა საფეხბურთო საზოგადოების ყურადღების ცენტრში, რაც სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში ოთხი გოლი გაიტანა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მარჩელო ლიპისაც არ გამორჩენია „მაფიოზთა“ სტოპერი. თვითონ ტერლიზი ამის შესახებ ფრთხილად საუბრობს:

„ამაზე ლაპარაკი ნაადრევად მიმაჩნია. ახლა მთლიანად „პალერმოში“ თამაშზე ვარ გადართული. ჩვენ შესანიშნავი გუნდი გვყავს. მიუხედავად ლუკა ტონის წასვლისა, არ შევსუსტებულვართ. ჩინებული ფეხბურთელები დავიმატეთ — სტეფან მაკინვა, ანდრეა კარაჩოლი“.

სიცილიურმა კლუბმა სეზონი საუცხოოდ დაიწყო. თავად ტერლიზიმ კი ოთხ მატჩში ოთხი გოლი რომ გაიტანა, სავსებით ბუნებრივად მიაჩნია.

„ეს უბრალოდ ფეხბურთია. ნორმალურია, როცა მცველი კუთხურებზე მეტოქის საჯარიმოში ჩადის. უკანახაზელების მიერ გოლების გატანა დღეს აღარავის უკვირს, თუმც გოლების გატანა, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა. „პარმას“, „ინტერსა“ და „სიენას“ კარის დალაშქვრის შემდეგ ნამდვილად მეგონა, რომ ჩემი „გოლობანა“ დასრულდა, მაგრამ ოთხშაბათს „რეჯინასთან“ კვლავ გამიმართლა. როცა ბურთი მივიღე, არაფერზე არ ვფიქრობდი. უბრალოდ, კარის მიმართულებით დავარტყი“.

ახლა კი ტერლიზი, რომელსაც ამ სეზონამდე კარიერაში სამი გოლი ჰქონდა გატანილი, წლეულს მეხუთის გასატანად ემზადება.

**ზურა გოცირიძე**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 15:45 | 2 | ბირმინგემი-ლივერპული | 3.30 | 3.20 | 2.10 | 1.62 | 1.28 | 1.26 |
| 18:00 | 3 | ვესტ ბრომვიჩი-ჩარლტონი | 2.70 | 3.10 | 2.50 | 1.44 | 1.29 | 1.38 |
| 18:00 | 4 | ევერტონი-უიგანი | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 18:00 | 5 | მანჩესტერი-ბლეკბერნი | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |
| 18:00 | 6 | ვესტ ჰემი-არსენალი | 5.10 | 3.40 | 1.65 | 2.03 | 1.24 | 1.11 |
| 18:00 | 7 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1.20 | 5.20 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.62 |
| 18:00 | 8 | ნიუკასლი-სიტი | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 20:15 | 9 | ბოლტონი-პორტსმუთი | 1.75 | 3.30 | 4.60 | 1.14 | 1.26 | 1.92 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 10 | მიდლსბრო-სანდერლენდი | 1.55 | 3.40 | 6.00 | 1.06 | 1.23 | 2.17 |
| | | **26 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 11 | ტოტენჰემი-ფულჰემი | 1.55 | 3.50 | 5.90 | 1.07 | 1.22 | 2.19 |

**ინგლისი. ჩემპიონატი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 13 | მილუოლი-კარდიფი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 14 | ნორვიჩი-რედინგი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 18:00 | 15 | შეფილდი-ლუტონი | 1.65 | 3.40 | 4.70 | 1.11 | 1.22 | 1.97 |
| 18:00 | 16 | საუთჰემპტონი-პლიმუთი | 1.55 | 3.40 | 5.60 | 1.06 | 1.21 | 2.11 |
| 18:00 | 17 | სტოუკი-ვულვერჰემპტონი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 18:00 | 18 | ბარნლი-ბრაიტონი | 1.95 | 3.30 | 3.40 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| 18:00 | 19 | ქოვენტრი-ჰალი | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 18:00 | 20 | კრისტალ პალასი-პრესტონი | 1.85 | 3.20 | 3.85 | 1.17 | 1.24 | 1.74 |
| 18:00 | 21 | ქრიუ-უოტფორდი | 2.60 | 3.30 | 2.40 | 1.45 | 1.24 | 1.38 |
| 18:00 | 22 | ლიდსი-იფსვიჩი | 1.90 | 3.30 | 3.60 | 1.20 | 1.24 | 1.72 |
| 18:00 | 23 | ლესტერი-ქპრ | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |

**ინგლისი. I ლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 25 | ოლდჰემი-ბორნმუთი | 1.95 | 3.30 | 3.20 | 1.22 | 1.21 | 1.62 |
| 18:00 | 26 | როტერჰემი-სუონსი | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 18:00 | 27 | სკანთორპი-ჰადერსფილდი | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 18:00 | 28 | სვინდონი-ნოტინგემი | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 18:00 | 29 | საუთენდი-ბრედფორდი | 2.35 | 3.30 | 2.70 | 1.37 | 1.25 | 1.48 |
| 18:00 | 30 | ტრანმერი-ჯილინგემი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 18:00 | 31 | უოლსოლი-პორტ ვეილი | 2.15 | 3.30 | 2.85 | 1.30 | 1.22 | 1.52 |
| 18:00 | 32 | ბარნსლი-დონკასტერი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 18:00 | 33 | ბლეკპული-ლეიტონი | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 18:00 | 34 | ბრენტფორდი-ბრისტოლი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 18:00 | 35 | ჩესტერფილდი-ჰარტლეპული | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 36 | კოლჩესტერი-მილტონ კეინსი | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |

**ინგლისი. II ლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 37 | როჩდეილი-დარლინგტონი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 18:00 | 38 | კარლაილი-ლეიტონი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 18:00 | 39 | მენსფილდი-უიკომბი | 2.90 | 3.20 | 2.15 | 1.52 | 1.23 | 1.28 |
| 18:00 | 40 | ნორთჰემპტონი-ჩელტენჰემი | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| 18:00 | 41 | ნოტსი-რაშდენი | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| 18:00 | 42 | ოქსფორდი-ბერი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 18:00 | 43 | პიტერბორო-შრუსბერი | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 18:00 | 44 | სტოკპორტი-ჩესტერი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 18:00 | 45 | ტორკი-ლინკოლნი | 2.45 | 3.10 | 2.50 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| 18:00 | 46 | რექსემი-მაკლსფილდი | 1.65 | 3.40 | 4.40 | 1.11 | 1.20 | 1.91 |
| 18:00 | 47 | ბარნეტი-როჩდეილი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 48 | ბოსტონი-გრიმსბი | 2.55 | 3.10 | 2.45 | 1.39 | 1.24 | 1.36 |

**ინგლისი. კონფერენსი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 60 | ტემუორთი-უოკინგი | 2.35 | 3.20 | 2.55 | 1.35 | 1.22 | 1.41 |
| 18:00 | 61 | ჰალიფაქსი-ჰერეფორდი | 2.55 | 3.10 | 2.40 | 1.39 | 1.23 | 1.35 |
| 18:00 | 62 | მორკემბი-სტივენიჯი | 2.20 | 3.30 | 2.75 | 1.32 | 1.22 | 1.50 |
| 18:00 | 63 | სკარბორო-ფორესტ გრინი | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 18:00 | 64 | გრეივზენდი-კიდერმინსტერი | 2.10 | 3.30 | 2.95 | 1.28 | 1.22 | 1.55 |
| 18:00 | 65 | ალდერშოტი-იორკი | 2.50 | 3.20 | 2.45 | 1.40 | 1.23 | 1.38 |
| 18:00 | 66 | აკრინგტონი-ალტრინჩემი | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 18:00 | 67 | კემბრიჯი-საუთპორტი | 1.90 | 3.30 | 3.60 | 1.20 | 1.24 | 1.72 |
| 18:00 | 68 | ქროული-გეიზი | 2.90 | 3.30 | 2.10 | 1.54 | 1.21 | 1.28 |
| 18:00 | 69 | დაგ. ენდ რედბ-ერინგტონი | 2.10 | 3.30 | 3.00 | 1.28 | 1.23 | 1.57 |
| 18:00 | 70 | ექსეტერი-ბარნეტი | 1.40 | 3.80 | 7.50 | 1.02 | 1.17 | 2.52 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 71 | აბერდინი-ლივინგსტონი | 1.40 | 3.90 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.50 |
| 18:00 | 72 | სელტიკი-ინვერნესი | 1.15 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.00 |
| 18:00 | 73 | დანფერმლაინი-დანდი იუნ. | 2.60 | 3.10 | 2.45 | 1.41 | 1.26 | 1.36 |
| 18:00 | 74 | კილმარნოკი-ფოლკერკი | 1.55 | 3.60 | 5.30 | 1.08 | 1.19 | 2.14 |
| 18:00 | 75 | მაზერველი-ჰიბერნიანი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 15:30 | 76 | ჰარტსი-რეინჯერსი | 2.80 | 3.20 | 2.20 | 1.49 | 1.23 | 1.30 |

**შოტლანდია. I დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 77 | ბრეჩინი-სტრანრარი | 2.20 | 3.30 | 2.65 | 1.32 | 1.20 | 1.46 |
| 18:00 | 78 | დანდი-როსი | 1.90 | 3.50 | 3.20 | 1.23 | 1.19 | 1.67 |
| 18:00 | 79 | კლაიდი-სტ.ჯონსტონი | 2.60 | 3.30 | 2.30 | 1.45 | 1.22 | 1.35 |
| 18:00 | 80 | ქუინი-ჰამილტონი | 3.00 | 3.50 | 1.95 | 1.61 | 1.18 | 1.25 |
| 18:00 | 81 | ეირდრი-სტ.მირენი | 2.75 | 3.40 | 2.15 | 1.52 | 1.20 | 1.31 |

**შოტლანდია. II დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 82 | ალოა-გრეტნა | 4.30 | 3.70 | 1.60 | 1.98 | 1.16 | 1.11 |
| 18:00 | 83 | ეარი-მორტონი | 2.90 | 3.50 | 2.00 | 1.58 | 1.18 | 1.27 |
| 18:00 | 84 | დამბარტონი-სტირლინგი | 2.10 | 3.40 | 2.80 | 1.29 | 1.20 | 1.53 |
| 18:00 | 85 | პარტიკი-ფორფარი | 1.90 | 3.50 | 3.30 | 1.23 | 1.20 | 1.69 |
| 18:00 | 86 | პიტერჰედი-რეითი | 2.45 | 3.40 | 2.35 | 1.42 | 1.19 | 1.38 |

**შოტლანდია. III დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 87 | ალბიონი-ბერვიკი | 3.80 | 3.50 | 1.70 | 1.82 | 1.17 | 1.14 |
| 18:00 | 88 | არბროთი-კოუდენბითი | 2.30 | 3.40 | 2.55 | 1.37 | 1.20 | 1.45 |
| 18:00 | 89 | ისტ ფაიფი-ქუინს პარკი | 2.25 | 3.40 | 2.55 | 1.35 | 1.19 | 1.45 |
| 18:00 | 90 | ისტ სტირლინგი-ელგინი | 2.40 | 3.40 | 2.45 | 1.40 | 1.21 | 1.42 |
| 18:00 | 91 | მონტროზი-სტენჰაუსმუირი | 3.10 | 3.50 | 1.90 | 1.64 | 1.17 | 1.23 |

**გერმანია. I ბუნდესლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:30 | 101 | მაინცი-დორტმუნდი | 3.00 | 3.10 | 2.30 | 1.52 | 1.30 | 1.32 |
| 17:30 | 102 | ჰამბურგი-ბაიერნი | 3.20 | 3.30 | 2.10 | 1.62 | 1.26 | 1.28 |
| 17:30 | 103 | შალკე-ჰანოვერი | 1.50 | 3.60 | 6.30 | 1.05 | 1.21 | 2.29 |
| 17:30 | 104 | ვერდერი-ლევერკუზენი | 1.80 | 3.30 | 4.20 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| 17:30 | 105 | ვოლფსბურგი-აინტრახტი | 1.65 | 3.50 | 5.00 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| 17:30 | 106 | დუისბურგი-ნიურნბერგი | 2.15 | 3.30 | 3.10 | 1.30 | 1.26 | 1.59 |
| 17:30 | 107 | არმინია-მიონხენგლადბახი | 2.35 | 3.30 | 2.75 | 1.37 | 1.26 | 1.50 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:30 | 108 | შტუტგარტი-ლაუტერნი | 1.70 | 3.40 | 4.65 | 1.13 | 1.24 | 1.96 |
| 19:30 | 109 | კიოლნი-ჰერტა | 2.75 | 3.20 | 2.40 | 1.47 | 1.28 | 1.37 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 122 | ფიურტი-ზიგენი | 1.85 | 3.20 | 3.65 | 1.17 | 1.22 | 1.70 |
| 17:00 | 123 | კობლენცი-აუე | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 17:00 | 124 | დინამო-პადერბორნი | 1.70 | 3.40 | 4.00 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| 17:00 | 125 | ზაარბრიუკენი-კარლსრუე | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 17:00 | 126 | ალენი-ბურგჰაუზენი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| | | **26 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:15 | 127 | ჰანსა-ალემანია | 2.25 | 3.30 | 2.70 | 1.33 | 1.22 | 1.48 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 16:00 | 137 | მიუნსტერი-ჰამბურგი(მ) | 2.40 | 3.30 | 2.45 | 1.38 | 1.21 | 1.40 |
| 16:00 | 138 | ოსნაბრიუკი-ლიუბეკი | 4.20 | 3.50 | 1.60 | 1.90 | 1.15 | 1.09 |
| 16:00 | 139 | ობერჰაუზენი-ვუპერტალი | 1.65 | 3.60 | 4.00 | 1.13 | 1.16 | 1.89 |
| 16:00 | 140 | კილი-ესენი | 2.20 | 3.30 | 2.70 | 1.32 | 1.21 | 1.48 |
| 16:00 | 141 | ლევერკუზენი(მ)-ერფურტი | 2.30 | 3.40 | 2.50 | 1.37 | 1.19 | 1.44 |
| 16:00 | 142 | ქემნიცი-სტ.პაული | 3.10 | 3.30 | 1.95 | 1.59 | 1.19 | 1.22 |
| 16:00 | 143 | ჯენა-კიოლნი(მ) | 1.65 | 3.60 | 3.90 | 1.13 | 1.15 | 1.87 |
| 16:00 | 144 | ვუპერტალი-ემდენი | 1.90 | 3.50 | 3.10 | 1.23 | 1.17 | 1.64 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 16:00 | 145 | ჰერტა(მ)-ვერდერი(მ) | 1.70 | 3.50 | 3.70 | 1.14 | 1.16 | 1.79 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 16:30 | 155 | ბაიროიტი-აალენი | 2.10 | 3.40 | 2.75 | 1.29 | 1.19 | 1.52 |
| 16:30 | 156 | ელვერსბერგი-კიკერსი | 2.05 | 3.30 | 3.00 | 1.26 | 1.21 | 1.57 |
| 16:30 | 157 | ჰომბურგი-ვეენი | 2.60 | 3.40 | 2.15 | 1.47 | 1.17 | 1.31 |
| 16:30 | 158 | აუგსბურგი-ფულენდორფი | 1.35 | 4.00 | 6.50 | 1.00 | 1.11 | 2.47 |
| 16:30 | 159 | კარლსრუე(მ)-ლაუტერნი(მ) | 2.10 | 3.40 | 2.75 | 1.29 | 1.19 | 1.52 |
| 16:30 | 160 | კობლენცი-ბაიერნი(მ) | 2.15 | 3.30 | 2.75 | 1.30 | 1.20 | 1.50 |
| 16:30 | 162 | შტუტგარტი(მ)-ტრიერი | 1.80 | 3.40 | 3.50 | 1.17 | 1.18 | 1.72 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 161 | მიუნხენი1860(მ)-რეგენსბურგი | 2.05 | 3.40 | 2.80 | 1.27 | 1.18 | 1.53 |
| 20:00 | 163 | დარმშტადტი-ჰოფენჰაიმი | 2.15 | 3.30 | 2.75 | 1.30 | 1.20 | 1.50 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:30 | 169 | რაპიდი-ტიროლი | 1.45 | 3.70 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.42 |
| 20:30 | 171 | გრაცერი-ავსტრია | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 20:30 | 172 | მატერსბურგი-ზალცბურგი | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 20:30 | 173 | ადმირა-შტურმი | 2.40 | 3.10 | 2.70 | 1.35 | 1.27 | 1.44 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:30 | 170 | რიდი-პაშინგი | 2.55 | 3.20 | 2.50 | 1.41 | 1.26 | 1.40 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:30 | 192 | აარაუ-თუნი | 2.85 | 3.30 | 2.20 | 1.52 | 1.24 | 1.32 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 189 | იანგ ბოისი-ქსამაქსი | 1.45 | 3.80 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| 18:00 | 190 | იევერდონი-გრასჰოპერი | 4.30 | 3.40 | 1.70 | 1.89 | 1.21 | 1.13 |
| 18:00 | 191 | ციურიხი-სტ.გალენი | 1.65 | 3.50 | 4.70 | 1.12 | 1.22 | 2.00 |
| 18:00 | 193 | შაფჰაუზენი-ბაზელი | 4.70 | 3.50 | 1.65 | 2.00 | 1.22 | 1.12 |

**შვეიცარია. ჩელენჯლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:30 | 196 | შო დე ფონი-კონკორდია | 1.70 | 3.40 | 4.00 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| 19:30 | 197 | ლოზანა-იუვენტუსი | 1.60 | 3.40 | 4.80 | 1.08 | 1.20 | 1.99 |
| 19:30 | 198 | ვინტერთური-კრიენსი | 1.80 | 3.30 | 3.60 | 1.16 | 1.20 | 1.72 |
| 21:30 | 200 | მეირინი-ვოლენი | 2.55 | 3.10 | 2.35 | 1.39 | 1.22 | 1.33 |
| 21:30 | 201 | სიონი-ბოლმი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 202 | ვადუცი-კიასო | 1.80 | 3.20 | 3.70 | 1.15 | 1.21 | 1.71 |
| 18:00 | 203 | ლუგანო-ვილი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |

**იტალია. სერია A**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 214 | რეჯინა-უდინეზე | 3.40 | 3.10 | 2.10 | 1.62 | 1.29 | 1.25 |
| 22:30 | 215 | პარმა-იუვენტუსი | 6.00 | 3.30 | 1.60 | 2.12 | 1.26 | 1.07 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 216 | სამპდორია-კიევო | 1.65 | 3.30 | 5.30 | 1.10 | 1.25 | 2.03 |
| 17:00 | 217 | სიენა-მესინა | 2.15 | 3.00 | 3.40 | 1.25 | 1.31 | 1.59 |
| 17:00 | 218 | ტრევიზო-მილანი | 9.00 | 4.00 | 1.35 | 2.76 | 1.17 | 1.03 |
| 17:00 | 219 | ლაციო-ასკოლი | 1.65 | 3.00 | 6.00 | 1.06 | 1.29 | 2.30 |
| 17:00 | 220 | კალიარი-რომა | 3.80 | 3.10 | 1.95 | 1.70 | 1.28 | 1.19 |
| 17:00 | 221 | ლეჩე-პალერმო | 2.60 | 2.90 | 2.75 | 1.37 | 1.33 | 1.41 |
| 17:00 | 222 | ემპოლი-ლივორნო | 1.95 | 3.10 | 3.90 | 1.19 | 1.29 | 1.72 |
| 22:30 | 223 | ინტერი-ფიორენტინა | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.18 |

**იტალია. სერია B**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 235 | ტორინო-ვიჩენცა | 1.55 | 3.30 | 6.00 | 1.05 | 1.23 | 2.12 |
| 18:00 | 236 | ტრიესტინა-კატანძარო | 1.80 | 2.90 | 4.70 | 1.11 | 1.30 | 1.79 |
| 18:00 | 237 | ვერონა-ბრეშა | 2.40 | 2.70 | 3.00 | 1.27 | 1.33 | 1.42 |
| 18:00 | 238 | კროტონე-კატანია | 2.60 | 2.70 | 2.80 | 1.32 | 1.34 | 1.37 |
| 18:00 | 239 | მანტოვა-რიმინი | 1.75 | 2.90 | 4.60 | 1.09 | 1.26 | 1.77 |
| 18:00 | 240 | მოდენა-პესკარა | 1.50 | 3.30 | 6.50 | 1.03 | 1.22 | 2.18 |
| 18:00 | 241 | ჩეზენა-აველინო | 1.75 | 2.90 | 4.90 | 1.09 | 1.28 | 1.82 |
| 18:00 | 242 | არეცო-კრემონეზე | 1.70 | 2.90 | 5.50 | 1.07 | 1.29 | 1.89 |
| 18:00 | 243 | ატალანტა-ტერნანა | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| | | **26 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 244 | ბარი-ბოლონია | 2.45 | 2.70 | 2.90 | 1.28 | 1.32 | 1.39 |
| 22:45 | 245 | პიაჩენცა-ალბინოლეფე | 1.80 | 2.90 | 4.60 | 1.11 | 1.29 | 1.77 |

**იტალია. სერია C1/A**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 250 | ნოვარა-პადოვა | 2.70 | 2.70 | 2.65 | 1.35 | 1.33 | 1.33 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 247 | ტერამო-რეჯიანა | 2.10 | 2.60 | 3.65 | 1.16 | 1.33 | 1.51 |
| 17:00 | 249 | სამბენედეტეზე-სან მარინო | 1.80 | 2.70 | 4.80 | 1.08 | 1.30 | 1.72 |
| 17:00 | 251 | ნოჩერინა-უშია | 3.20 | 2.70 | 2.20 | 1.46 | 1.30 | 1.21 |
| 17:00 | 252 | პავია-ლუმეცანე | 1.75 | 2.90 | 4.80 | 1.09 | 1.28 | 1.80 |
| 17:00 | 253 | პიციგეტონე-ფერმანა | 1.65 | 3.00 | 5.80 | 1.06 | 1.28 | 1.97 |
| 17:00 | 255 | სალერნიტანა-მონცა | 2.20 | 2.70 | 3.20 | 1.21 | 1.30 | 1.46 |
| | | **26 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 248 | სპეცია-კრემონეზე | 1.95 | 2.70 | 3.90 | 1.13 | 1.29 | 1.59 |

**იტალია. სერია C1/B**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 256 | ფოჯა-პიზა | 2.20 | 2.70 | 3.30 | 1.21 | 1.32 | 1.48 |
| 17:00 | 257 | ფროზინონე-მანფრედონია | 1.85 | 2.80 | 4.50 | 1.11 | 1.31 | 1.72 |
| 17:00 | 258 | სტაბია-ანდრია | 1.50 | 3.30 | 6.00 | 1.03 | 1.20 | 2.12 |
| 17:00 | 259 | ლანჩანო-პერუჯა | 2.70 | 2.70 | 2.60 | 1.35 | 1.32 | 1.32 |
| 17:00 | 260 | ლუკეზე-ტორესი | 2.00 | 2.70 | 3.80 | 1.14 | 1.31 | 1.57 |
| 17:00 | 261 | მარტინა-გროსეტო | 2.30 | 2.70 | 3.10 | 1.24 | 1.32 | 1.44 |
| 17:00 | 262 | მასესე-გუბიო | 1.80 | 2.70 | 4.80 | 1.08 | 1.30 | 1.72 |
| 17:00 | 263 | პისტოიეზე-ნაპოლი | 4.50 | 2.80 | 1.80 | 1.72 | 1.28 | 1.09 |
| 17:00 | 264 | სანჯოვანეზე-ჩეზენა | 1.55 | 3.00 | 6.50 | 1.02 | 1.25 | 2.05 |

**ესპანეთი. I დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 275 | სარაგოსა-დეპორტივო | 2.40 | 3.20 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 22:00 | 276 | ვალენსია-სოსიედადი | 1.55 | 3.60 | 6.00 | 1.08 | 1.23 | 2.25 |
| 23:45 | 279 | ბეტისი-ბარსელონა | 3.20 | 3.20 | 2.15 | 1.60 | 1.28 | 1.28 |
| 22:00 | 281 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 2.25 | 3.30 | 2.85 | 1.33 | 1.25 | 1.52 |
| 22:00 | 284 | ოსასუნა-ხეტაფე | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 277 | მალიორკა-მალაგა | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| 19:00 | 278 | ოსასუნა-ბეტისი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 23:00 | 280 | სელტა-სევილია | 2.25 | 3.30 | 2.90 | 1.33 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 282 | ალავესი-რეალი | 5.00 | 3.50 | 1.60 | 2.05 | 1.21 | 1.09 |
| 21:00 | 283 | ბილბაო-რასინგი | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |

**ესპანეთი. II დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:30 | 286 | ეიბარი-ქსერესი | 2.45 | 2.90 | 2.75 | 1.32 | 1.29 | 1.41 |
| 20:30 | 287 | ფეროლი-ელჩე | 2.40 | 2.90 | 2.80 | 1.31 | 1.29 | 1.42 |
| 22:00 | 289 | პონფერადინა-ნუმანსია | 2.75 | 2.90 | 2.45 | 1.41 | 1.29 | 1.32 |
| 20:30 | 291 | ლეიდა-ხერესი | 2.10 | 2.90 | 3.20 | 1.21 | 1.26 | 1.52 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 285 | ხიხონი-კასტელიონი | 1.70 | 3.20 | 4.50 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| 19:00 | 288 | ხიმნასტიკი-რეალი(ბ) | 1.80 | 3.10 | 4.10 | 1.13 | 1.25 | 1.76 |
| 14:00 | 290 | ლევანტე-ალბასეტე | 1.80 | 3.10 | 4.20 | 1.13 | 1.25 | 1.78 |
| 21:00 | 292 | ლორკა-ელჩე | 2.40 | 2.90 | 2.85 | 1.31 | 1.30 | 1.43 |
| 20:00 | 293 | ციუდადი-მურსია | 2.15 | 2.90 | 3.30 | 1.23 | 1.30 | 1.54 |
| 21:00 | 294 | ტენერიფე-ალმერია | 1.95 | 2.90 | 3.70 | 1.16 | 1.27 | 1.62 |
| 19:00 | 295 | პოლიდეპორტივო-მალაგა ბ | 1.80 | 3.20 | 4.10 | 1.15 | 1.25 | 1.79 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 306 | მარსელი-მეცი | 1.60 | 3.30 | 5.50 | 1.07 | 1.23 | 2.06 |
| 19:15 | 307 | მონაკო-ნიცა | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 22:00 | 308 | ნანტი-ტრუა | 2.20 | 2.90 | 3.30 | 1.25 | 1.32 | 1.54 |
| 22:00 | 309 | ისტრი-სოშო | 1.85 | 3.10 | 4.10 | 1.15 | 1.27 | 1.76 |
| 22:00 | 310 | ბორდო-აიაჩიო | 1.70 | 3.20 | 4.90 | 1.11 | 1.26 | 1.93 |
| 22:00 | 311 | ლე მანი-ბასტია | 2.85 | 2.90 | 2.45 | 1.43 | 1.31 | 1.32 |
| 22:00 | 312 | სტრასბური-ტულუზა | 2.05 | 2.90 | 3.70 | 1.20 | 1.31 | 1.62 |
| 22:00 | 313 | ლიონი-სენტ-ეტიენი | 1.90 | 3.00 | 4.00 | 1.16 | 1.28 | 1.71 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 314 | ლანსი-რენი | 1.75 | 3.20 | 4.30 | 1.13 | 1.24 | 1.83 |
| 20:00 | 315 | ნანსი-ლილი | 3.10 | 3.00 | 2.20 | 1.52 | 1.28 | 1.26 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 323 | სედანი-გინგამი | 1.75 | 2.90 | 5.00 | 1.09 | 1.29 | 1.83 |
| 21:00 | 324 | გრენობლი-ბრესტი | 2.00 | 2.80 | 3.90 | 1.16 | 1.32 | 1.62 |
| 21:00 | 325 | ამიენი-კანი | 1.90 | 2.90 | 4.20 | 1.14 | 1.30 | 1.71 |
| | | **26 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 326 | სეტი-მონპელიე | 2.45 | 2.80 | 2.90 | 1.30 | 1.32 | 1.42 |

**ბელგია. I დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 336 | ბრიუგე-ლოკერენი | 1.30 | 4.30 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.85 |
| 22:00 | 337 | ბრიუსელი-ჟერმინალი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 22:00 | 338 | გენკი-სერკლი | 1.40 | 3.90 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.50 |
| 22:00 | 339 | სტ.ტრუდენი-ვესტერლო | 2.25 | 3.30 | 2.70 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| 22:00 | 340 | მუსკრონი-ლიერსი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 22:00 | 341 | ბეერსხოტი-შარლერუა | 2.25 | 3.30 | 2.70 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 342 | რუსელარე-გენტი | 2.65 | 3.30 | 2.30 | 1.46 | 1.23 | 1.35 |
| 20:00 | 343 | ბევერენი-სტანდარდი | 4.30 | 3.60 | 1.65 | 1.95 | 1.19 | 1.13 |
| 22:00 | 344 | ლირსი-ანდერლეხტი | 5.00 | 3.60 | 1.60 | 2.09 | 1.21 | 1.10 |

**ბელგია. II დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 345 | მონსი-ლომელი | 1.75 | 3.30 | 4.00 | 1.14 | 1.21 | 1.80 |
| 22:00 | 346 | ოსტენდე-ჰარელბეკე | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 22:00 | 347 | ტუბიზი-მეხელენი | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 22:00 | 348 | ვირტონი-ეუპენი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 22:00 | 349 | გეელი-ვაასლანდი | 2.05 | 3.20 | 3.00 | 1.24 | 1.21 | 1.54 |
| 20:00 | 350 | რონსე-კორტრეიკი | 2.20 | 3.20 | 2.70 | 1.30 | 1.21 | 1.46 |
| 22:00 | 352 | ტურნჰაუტი-დეინზე | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 351 | სტ.-ნიკლასი-ანტვერპენი | 2.65 | 3.20 | 2.20 | 1.44 | 1.20 | 1.30 |
| 17:00 | 353 | დენდერი-ანტვერპენი | 2.40 | 3.20 | 2.50 | 1.37 | 1.22 | 1.40 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:30 | 356 | ტვენტე-დენ ჰააგი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 22:00 | 357 | ვილემ-უტრეხტი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 22:00 | 358 | ვიტესე-გრონინგენი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 22:15 | 359 | აიაქსი-როდა | 1.30 | 4.50 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.94 |
| 21:30 | 363 | პსვ-რკ ვაალვეიკი | 1.10 | 7.00 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 4.77 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 14:30 | 360 | ტვენტე-ჰეერენვენი | 4.00 | 3.30 | 1.80 | 1.80 | 1.24 | 1.16 |
| 16:30 | 361 | ხერაკლესი-ფეიენოორდი | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 16:30 | 362 | ბრედა-ალკმაარი | 3.60 | 3.30 | 1.85 | 1.72 | 1.22 | 1.18 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 16:30 | 371 | ვოლენდამი-ოსი | 1.40 | 4.00 | 6.40 | 1.03 | 1.14 | 2.46 |
| 16:30 | 372 | ზვოლე-კამბური | 1.55 | 3.60 | 5.20 | 1.08 | 1.19 | 2.12 |
| 16:30 | 373 | გო აჰედი-ალკმაარი | 1.90 | 3.40 | 3.30 | 1.21 | 1.20 | 1.67 |
| | | **26 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 365 | გრააფსხაპი-ტელსტარი | 1.55 | 3.50 | 5.20 | 1.07 | 1.19 | 2.09 |

**პორტუგალია. სუპერლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 377 | გიმარაეში-მარიტიმუ | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 23:45 | 381 | პორტუ-ბელენენსეში | 1.30 | 4.50 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.94 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 374 | ამადორა-ბრაგა | 3.10 | 3.20 | 2.10 | 1.57 | 1.25 | 1.26 |
| 19:00 | 376 | ჟილ ვისენტე-ფერეირა | 1.80 | 3.20 | 4.20 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| 19:00 | 378 | ლეირია-ნასიონალი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 19:00 | 379 | ნავალი-რიუ ავე | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 23:30 | 382 | სპორტინგი-სეტუბალი | 1.30 | 4.50 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.94 |
| | | **26 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:30 | 375 | ბოავიშტა-აკადემიკა | 1.60 | 3.40 | 4.90 | 1.08 | 1.20 | 2.00 |

**პორტუგალია. I დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 385 | გონდომარი-მორეირენსე | 2.15 | 3.20 | 2.80 | 1.28 | 1.21 | 1.49 |
| 19:00 | 386 | ბარეირენსე-შავეში | 2.10 | 3.30 | 2.85 | 1.28 | 1.20 | 1.52 |
| 19:00 | 387 | კოვილია-ოვარენსე | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 19:00 | 388 | ესტორილი-ოლიანენსე | 1.70 | 3.40 | 4.00 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| 19:00 | 389 | ლეიშოესი-ვარზიმი | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 19:00 | 390 | მაია-სანტა კლარა | 2.15 | 3.20 | 2.85 | 1.28 | 1.22 | 1.50 |
| 19:00 | 391 | მარკუ-ბეირა მარი | 2.80 | 3.20 | 2.20 | 1.49 | 1.23 | 1.30 |
| 19:00 | 392 | ვიზელა-ფელგეირენსე | 1.85 | 3.20 | 3.65 | 1.17 | 1.22 | 1.70 |
| 19:00 | 393 | ავეში-პორტიმონენსე | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |

**საბერძნეთი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 398 | ოლიმპიაკოსი-ერგოტელისი | 1.15 | 6.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.21 |
| 21:00 | 399 | პანათინაიკოსი-პანიონიოსი | 1.20 | 5.40 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.50 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 395 | იონიკოსი-კალითეა | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 16:30 | 396 | ოლიმპია-აეკი | 3.20 | 3.10 | 2.05 | 1.57 | 1.24 | 1.23 |
| 18:00 | 397 | ოფი-ირაკლისი | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 20:15 | 400 | პაოკი-ქავალა | 1.50 | 3.50 | 5.80 | 1.04 | 1.19 | 2.18 |
| 18:00 | 401 | ქსანთი-ლევადიაკოსი | 1.40 | 3.70 | 7.50 | 1.01 | 1.17 | 2.47 |
| | | **26 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 394 | კალამარია-ატრომიტოსი | 2.50 | 3.00 | 2.55 | 1.36 | 1.26 | 1.37 |

**თურქეთი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 403 | დენიზლი-გაზიანტეპი | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 21:00 | 406 | ფენერბაჩე-კაისერი | 1.20 | 5.30 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.46 |
| 21:00 | 407 | გენჩლერბირლიგი-მალატია | 1.95 | 3.30 | 3.50 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:30 | 402 | ანკარა-ბეშიქთაში | 4.00 | 3.30 | 1.80 | 1.80 | 1.24 | 1.16 |
| 20:00 | 404 | დიარბაქირი-ანკარაგუჯუ | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 21:00 | 405 | ერზურუმი-სივასსპორი | 1.90 | 3.30 | 3.70 | 1.20 | 1.25 | 1.74 |
| 21:00 | 408 | რიზე-კონია | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 21:00 | 409 | სამსუნი-გალათასარაი | 5.50 | 3.70 | 1.50 | 2.21 | 1.17 | 1.06 |

**რუსეთი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 15:00 | 411 | კრილია-სატურნი | 2.05 | 3.00 | 3.30 | 1.21 | 1.26 | 1.57 |
| 15:00 | 412 | ლოკომოტივი-ტორპედო | 1.45 | 3.60 | 6.00 | 1.03 | 1.16 | 2.25 |
| 15:00 | 413 | ტომსკი-მოსკოვი | 2.80 | 2.70 | 2.60 | 1.37 | 1.34 | 1.32 |
| 15:00 | 414 | ზენიტი-შინიკი | 1.40 | 3.90 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.50 |
| 14:00 | 415 | ცსკა-სპარტაკი | 2.45 | 3.00 | 2.75 | 1.34 | 1.29 | 1.43 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 15:00 | 416 | დინამო-როსტოვი | 1.65 | 3.80 | 4.00 | 1.15 | 1.16 | 1.94 |
| 15:00 | 417 | ალანია-ამკარი | 1.85 | 3.20 | 3.95 | 1.17 | 1.25 | 1.76 |
| 15:00 | 418 | ტერეკი-რუბინი | 2.60 | 2.90 | 2.70 | 1.37 | 1.32 | 1.39 |

**უკრაინა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 16:00 | 419 | ჩერნომორეცი-დნეპრი | 2.10 | 3.10 | 3.00 | 1.25 | 1.23 | 1.52 |
| 16:00 | 420 | დინამო-ვოლინი | 1.15 | 6.50 | 11.00 | 1.00 | 1.04 | 4.08 |
| 16:00 | 421 | ილიჩევეცი-ტავრია | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 16:00 | 422 | მეტალისტი-არსენალი | 1.90 | 3.00 | 3.65 | 1.16 | 1.24 | 1.64 |
| 16:00 | 423 | მეტალურგი(დ)-ხარკოვი | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 16:00 | 424 | სტალი-მეტალურგი(ზ) | 2.10 | 2.90 | 3.40 | 1.21 | 1.29 | 1.56 |
| 16:00 | 425 | ვორსკლა-კრივბასი | 2.10 | 2.90 | 3.40 | 1.21 | 1.29 | 1.56 |
| 16:00 | 426 | ზაკარპატია-შახტარი | 10.00 | 5.40 | 1.20 | 3.50 | 1.07 | 1.00 |

**პოლონეთი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 430 | გროძისკი-კრაკოვია | 1.60 | 3.30 | 5.00 | 1.07 | 1.21 | 1.98 |
| 20:00 | 431 | ლეხია-პოგონი | 2.15 | 3.10 | 2.90 | 1.26 | 1.23 | 1.49 |
| 20:00 | 432 | არკა-კორონა | 2.20 | 3.00 | 3.00 | 1.26 | 1.26 | 1.50 |
| 20:00 | 433 | ბელხატოვი-ოდრა | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 20:00 | 434 | გურნიკი-პოლონია | 2.10 | 3.10 | 3.00 | 1.25 | 1.23 | 1.52 |
| 22:00 | 435 | ვისლა-ლეხი | 1.40 | 3.70 | 7.20 | 1.01 | 1.17 | 2.44 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 436 | ამიკა-ზაგლემბე | 1.70 | 3.20 | 4.40 | 1.11 | 1.22 | 1.85 |

**ჩეხეთი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 437 | ლიბერეცი-ბლშანი | 1.35 | 4.20 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.69 |
| 20:00 | 438 | სპარტა-ბანიკი | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| 20:00 | 439 | ზლინი-პლზენი | 1.85 | 3.30 | 3.65 | 1.18 | 1.22 | 1.73 |
| 16:20 | 443 | პრჟიბრამი-სლავია | 2.50 | 2.90 | 2.65 | 1.34 | 1.28 | 1.38 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:30 | 440 | ოლომოუცი-სლოვაცკო | 2.50 | 2.90 | 2.65 | 1.34 | 1.28 | 1.38 |
| 19:00 | 441 | ბოლესლავი-იაბლონეცი | [illegible] | 3.00 | [illegible] | [illegible] | 1.26 | 1.52 |
| | | **26 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:40 | 442 | მოსტი-ბრნო | 2.30 | 2.90 | 2.95 | 1.28 | 1.29 | 1.46 |

**სლოვაკეთი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 450 | ტრენჩინი-ლუჩენეცი | 1.80 | 3.20 | 3.90 | 1.15 | 1.23 | 1.75 |
| 18:00 | 451 | ბ.ბისტრიცა-ინტერი | 1.60 | 3.40 | 4.65 | 1.08 | 1.19 | 1.96 |
| 18:00 | 452 | რუჟომბეროკი-ტრნავა | 2.50 | 3.00 | 2.55 | 1.36 | 1.26 | 1.37 |
| 21:30 | 453 | ჟილინა-კოშიცე | 1.35 | 4.20 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.69 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 12:30 | 454 | პეტრჟალკა-ნიტრა | 1.45 | 3.60 | 6.50 | 1.03 | 1.18 | 2.31 |

**ხორვატია**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 455 | ციბალია-მეჟიმურიე | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 18:00 | 456 | ინტერი-ჰაიდუკი | 3.80 | 3.30 | 1.80 | 1.76 | 1.22 | 1.16 |
| 18:00 | 457 | პულა-ოსიეკი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 21:00 | 458 | რიეკა-ზაგრები | 1.45 | 3.60 | 5.80 | 1.03 | 1.15 | 2.22 |
| 20:00 | 459 | დინამო-კამენი | 1.30 | 4.40 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.83 |
| 20:00 | 460 | ვარტექსი-სლავენი | 1.75 | 3.30 | 4.00 | 1.14 | 1.21 | 1.80 |

**დანია. სუპერლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 487 | ოდენსე-ბრონდბი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 486 | მიდტიულანდი-სილკებორგი | 1.60 | 3.50 | 5.30 | 1.09 | 1.22 | 2.10 |
| 19:00 | 488 | კოპენჰაგენი-ესბიერგი | 1.45 | 3.80 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| 17:00 | 489 | ორჰუსი-ნორშელანდი | 2.25 | 3.30 | 2.80 | 1.33 | 1.24 | 1.51 |
| 17:00 | 490 | სონდერიუსკე-ჰორსენსი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 17:00 | 491 | ვიბორგი-ოლბორგი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |

**დანია. I დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 493 | ბრაბრანდი-ჰერფოლგე | 3.20 | 3.80 | 1.90 | 1.73 | 1.19 | 1.26 |
| 17:00 | 494 | ხოლბეკი-ლინგბიუ | 3.40 | 4.00 | 1.75 | 1.83 | 1.15 | 1.21 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 15:00 | 495 | ფრემი-ფრედერიცია | 1.75 | 3.80 | 3.75 | 1.19 | 1.19 | 1.88 |
| 15:00 | 496 | ფრემადი-კოგე | 2.20 | 3.60 | 2.70 | 1.36 | 1.21 | 1.54 |
| 15:00 | 497 | ოლსტრუპი-ჰელსინგორი | 2.15 | 3.60 | 2.80 | 1.34 | 1.21 | 1.57 |
| 17:00 | 498 | რანდერსი-ნესტვედი | 1.50 | 4.10 | 5.20 | 1.09 | 1.16 | 2.29 |
| 17:00 | 499 | კოგე-ვეილე | 2.30 | 3.60 | 2.50 | 1.40 | 1.19 | 1.47 |
| 17:00 | 500 | აკადემიკი-ბრონშოი | 1.65 | 4.00 | 3.80 | 1.16 | 1.15 | 1.94 |

**ნორვეგია. ტიპელიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 502 | ლილესტრომი-ტრომსო | 1.65 | 3.50 | 4.80 | 1.12 | 1.22 | 2.02 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 503 | ლინი-ბრანი | 2.20 | 3.40 | 2.85 | 1.33 | 1.24 | 1.55 |
| 20:00 | 504 | როზენბორგი-ოდ გრენლანდი | 1.80 | 3.50 | 3.80 | 1.18 | 1.22 | 1.82 |
| 21:00 | 505 | ბოდო გლიმტი-მოლდე | 2.25 | 3.40 | 2.70 | 1.35 | 1.22 | 1.50 |
| 20:00 | 506 | ფრედრიკშტადი-ალესუნდი | 1.85 | 3.50 | 3.60 | 1.21 | 1.22 | 1.77 |
| 22:15 | 507 | სტარტი-ვალერენგა | 2.50 | 3.30 | 2.50 | 1.42 | 1.25 | 1.42 |
| 20:00 | 508 | ვიკინგი-ჰამარი | 1.55 | 3.70 | 5.00 | 1.09 | 1.18 | 2.12 |

**ნორვეგია. I დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 15:00 | 509 | ჰაუგი-ალტა | 1.45 | 4.20 | 5.50 | 1.07 | 1.14 | 2.38 |
| 18:00 | 510 | კრისტიანსუნი-ჰონეფოსი | 2.40 | 3.60 | 2.45 | 1.44 | 1.21 | 1.45 |
| 18:00 | 511 | მანდალი-სტავანგერი | 3.70 | 3.80 | 1.75 | 1.87 | 1.18 | 1.19 |
| 18:00 | 512 | სანდეფიორდი-ოდ გრენლანდი | 1.80 | 3.70 | 3.60 | 1.21 | 1.20 | 1.82 |
| 18:00 | 513 | სკეიდი-ბრინი | 2.85 | 4.00 | 2.00 | 1.66 | 1.17 | 1.33 |
| 18:00 | 514 | ტრომსდალენი-სტრომსგოდსეტი | 2.10 | 3.90 | 2.70 | 1.36 | 1.18 | 1.59 |
| 18:00 | 515 | ფოლო-ლინ ჰამი | 1.90 | 3.80 | 3.00 | 1.26 | 1.16 | 1.67 |
| 20:00 | 516 | სოგნდალი-მოსი | 2.20 | 3.70 | 2.60 | 1.37 | 1.19 | 1.52 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 522 | ჰალმსტადი-ჰელსინგბორგი | 2.30 | 3.30 | 2.65 | 1.35 | 1.23 | 1.46 |
| 19:00 | 523 | ჰეკენი-ორგრიტე | 3.20 | 3.30 | 2.00 | 1.62 | 1.23 | 1.24 |
| 19:00 | 524 | გეფლე-კალმარი | 2.50 | 3.20 | 2.40 | 1.40 | 1.22 | 1.37 |
| | | **26 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 525 | გეტებორგი-მალმე | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 21:00 | 526 | ჯურგარდენი-ასირიანსკა | 1.25 | 5.00 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.14 |
| 21:00 | 527 | ლანდსკრონა-ელფსბორგი | 2.20 | 3.10 | 2.80 | 1.28 | 1.23 | 1.47 |

**შვედეთი. სუპერეტა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 529 | ლიუნგსკილე-ნორჩეპინგი | 2.35 | 3.40 | 2.60 | 1.38 | 1.23 | 1.47 |
| 18:00 | 530 | ბრომაპოიკარნა-ენგელჰოლმი | 2.00 | 3.40 | 3.10 | 1.25 | 1.21 | 1.62 |
| 18:00 | 531 | ქვიდინგე-მიარბი | 2.10 | 3.40 | 2.90 | 1.29 | 1.21 | 1.56 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 532 | ტრელებორგი-ატვიდაბერგი | 2.20 | 3.40 | 2.65 | 1.33 | 1.20 | 1.48 |
| 18:00 | 533 | ფალკენბერგი-ფრიგელა | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 18:10 | 534 | აიკ-გაისი | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| 19:00 | 535 | ნორჩეპინგი-ბოდენი | 1.80 | 3.50 | 3.60 | 1.18 | 1.20 | 1.77 |

**სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **26 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 536 | [illegible] | 1.20 | 5.50 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.54 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 541 | მიპა-ლაჰტი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 542 | [illegible] | 1.35 | 4.10 | 7.20 | 1.01 | 1.13 | 2.61 |
| | | **26 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 543 | ინტერი-ტამპერე | 2.15 | 3.20 | 2.95 | 1.28 | 1.24 | 1.53 |
| | | **იაპონია** | | | | | | |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 10:00 | 552 | ურავა-[illegible] | 1.90 | 3.30 | 3.40 | 1.20 | 1.21 | 1.67 |
| 10:00 | 553 | კობე-ვერდი | 2.30 | 3.00 | 2.80 | 1.30 | 1.26 | 1.44 |
| 10:00 | 554 | [illegible] | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 10:30 | 555 | [illegible] | 1.60 | 3.40 | 4.70 | 1.08 | 1.19 | 1.97 |
| 13:30 | 556 | [illegible]-შიმიძუ | 1.70 | 3.30 | 4.10 | 1.12 | 1.20 | 1.82 |
| 14:00 | 557 | გამბა-კაშიმა | 2.10 | 3.10 | 3.00 | 1.25 | 1.23 | 1.52 |
| 14:00 | 558 | ნაგოია-სერეძო | 2.15 | 3.00 | 2.95 | 1.25 | 1.24 | 1.48 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 10:00 | 559 | ნიიგატა-ჰიროსიმა | 2.25 | 3.10 | 2.85 | 1.30 | 1.25 | 1.48 |
| 10:00 | 560 | ტოკიო-ოიტა | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 565 | ნიუ ინგლენდი-ნიუ იორკი | 1.70 | 3.20 | 4.10 | 1.11 | 1.20 | 1.79 |
| 23:45 | 566 | სოლტ ლეიკი-კოლამბუსი | 2.35 | 3.10 | 2.65 | 1.33 | 1.24 | 1.42 |
| 23:45 | 567 | სან ხოსე-დალასი | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 23:45 | 568 | ჩიკაგო-კოლორადო | 2.60 | 3.10 | 2.35 | 1.41 | 1.23 | 1.33 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 569 | ლოს ანჯელესი-კანზასი | 2.10 | 3.10 | 3.10 | 1.25 | 1.25 | 1.54 |
| | | **მექსიკა** | | | | | | |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 570 | კრუს ასული-დორადოსი | 1.20 | 5.20 | 9.00 | 1.00 | 1.05 | 3.29 |
| 23:45 | 571 | მონტერეი-ტიგრესი | 2.35 | 3.20 | 2.55 | 1.35 | 1.22 | 1.41 |
| 23:45 | 572 | მორელია-პუმასი | 1.70 | 3.20 | 4.20 | 1.11 | 1.21 | 1.81 |
| 23:45 | 573 | ვერაკრუსი-სანტოსი | 2.45 | 3.10 | 2.50 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| 23:45 | 574 | ატლასი-ხაგუარესი | 1.80 | 3.20 | 3.60 | 1.15 | 1.20 | 1.69 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 575 | სან ლუისი-ნეკასა | 1.90 | 3.30 | 3.30 | 1.20 | 1.20 | 1.64 |
| 23:00 | 576 | ტეკოსი-ტოლუკა | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 23:45 | 577 | ამერიკა-ნეკახა | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| 21:00 | 578 | პაჩუკა-ატლანტე | 1.40 | 3.90 | 6.20 | 1.03 | 1.14 | 2.39 |
| | | **არგენტინა** | | | | | | |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 583 | [illegible] | 1.20 | 5.30 | 9.50 | 1.00 | 1.06 | 3.40 |
| 23:45 | 587 | როსარიო-ხიმნასია ლპ | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 579 | არსენალი-ბანფილდი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 23:00 | 580 | ბოკა ხუნიორსი-რასინგი | 1.65 | 3.20 | 4.70 | 1.08 | 1.22 | 1.90 |
| 21:00 | 581 | ესტუდიანტესი-რივერ პლეიტი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 23:00 | 582 | ხიმნასია ჟ-კოლონი | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 23:45 | 584 | ინდეპენდიენტე-სან ლორენსო | 3.00 | 3.20 | 2.05 | 1.54 | 1.21 | 1.24 |
| 23:00 | 585 | ლანუსი-არგენტინოს ხუნიორსი | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 23:00 | 586 | ოლიმპო-კილმესი | 1.85 | 3.30 | 3.55 | 1.18 | 1.21 | 1.71 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 600 | სან პაულუ-პაისანდუ | 1.25 | 4.80 | 8.00 | 1.00 | 1.08 | 3.00 |
| 23:00 | 601 | ბრაზილიენსე-სან კაეტანო | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 23:45 | 602 | ფორტალეზა-პარანა | 1.75 | 3.20 | 4.30 | 1.13 | 1.24 | 1.83 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 603 | კორინტიანსი-ვასკუ და გამა | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 23:00 | 604 | ფიგეირენსე-ატლეტიკო პრ | 2.15 | 3.30 | 2.80 | 1.30 | 1.21 | 1.51 |
| 23:00 | 605 | ფლამენგო-კორინთიანსი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.40 |
| 23:00 | 606 | ჟუვენტუდე-ბოტაფოგო | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 23:00 | 607 | პონტე პრეტა-კრუზეირო | 1.80 | 3.20 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.70 |
| 23:45 | 608 | ატლეტიკო მინეირო-ინტერნაციონალი | 2.40 | 3.10 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 23:45 | 609 | პალმეირასი-გოიასი | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 23:45 | 610 | ფლუმინენსე-სანტოსი | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| | | **ჩილე** | | | | | | |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 621 | კობრელოა-უ.კონსეპსიონი | 1.45 | 3.80 | 5.80 | 1.04 | 1.15 | 2.25 |
| 23:00 | 623 | დ.კონსეპსიონი-კობრესალი | 1.75 | 3.30 | 3.90 | 1.11 | 1.26 | 1.78 |
| 23:00 | 625 | სერენა-ევერტონი | 2.10 | 3.20 | 2.90 | 1.26 | 1.21 | 1.52 |
| 23:00 | 627 | პალესტინო-უ.ჩილე | 8.00 | 4.50 | 1.25 | 2.88 | 1.08 | 1.00 |
| 23:00 | 629 | [illegible] | 1.85 | 3.30 | 3.55 | 1.18 | 1.21 | 1.71 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 622 | კოლო კოლო-უ.კატოლიკა | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.40 |
| 23:00 | 624 | [illegible] | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 23:00 | 626 | მელიპილა-ავდაქსი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.50 |
| 23:00 | 628 | რეინჯერსი-ტემუკო | 1.40 | 3.90 | 6.00 | 1.03 | 1.13 | 2.36 |
| 23:00 | 630 | სან ფელიპე-კოკიმბო | 1.80 | 3.30 | 3.75 | 1.16 | 1.21 | 1.75 |
| | | **ირლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 665 | დერი-შემროკი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.3[illegible] | 2.21 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 13:00 | 769 | [illegible] | 1.70 | 4.50 | 3.00 | 1.23 | [illegible] | 1.79 |
| 13:00 | 770 | [illegible] | 4.50 | 5.00 | 1.40 | 2.30 | [illegible] | [illegible] |
| 13:00 | 771 | [illegible] | 1.35 | 5.30 | 4.90 | 1.07 | 1.05 | 2.54 |
| 13:00 | 772 | [illegible] | 1.55 | 4.50 | 3.40 | 1.15 | 1.06 | 1.93 |
| 13:00 | 773 | [illegible] | 1.85 | 4.60 | 2.60 | 1.31 | [illegible] | [illegible] |
| 13:00 | 774 | [illegible] | 3.00 | 4.80 | 1.65 | 1.84 | [illegible] | 1.22 |
| 13:00 | 775 | [illegible] | 1.25 | 5.50 | 5.90 | 1.01 | [illegible] | 2.84 |
| 13:00 | 776 | [illegible] | 1.60 | 4.80 | 3.30 | 1.20 | 1.07 | 1.95 |

## ფრეს ბარეში (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16002 | ბირმინგემი-ლივერპული | 2.20 | 1.50 |
| 16003 | ვესტ ბრომვიჩი-ჩარლტონი | 1.85 | 1.65 |
| 16004 | ევერტონი-უიგანი | 1.30 | 2.70 |
| 16005 | მანჩესტერი-ბლეკბერნი | 1.03 | 6.00 |
| 16006 | ვესტ ჰემი-არსენალი | 2.80 | 1.30 |
| 16007 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1.03 | 6.00 |
| 16008 | ნიუკასლი-სიტი | 1.50 | 2.20 |
| 16009 | ბოლტონი-პორტსმუთი | 1.30 | 2.70 |
| 16010 | მიდლსბრო-სანდერლენდი | 1.20 | 3.20 |
| 16011 | ტოტენჰემი-ფულემი | 1.20 | 3.20 |
| 16101 | მაინცი-დორტმუნდი | 1.90 | 1.60 |
| 16102 | ჰამბურგი-ბაიერნი | 2.30 | 1.45 |
| 16103 | შალკე-ჰანოვერი | 1.15 | 3.50 |
| 16104 | ვერდერი-ლევერკუზენი | 1.30 | 2.90 |
| 16105 | ვოლფსბურგი-აინტრახტი | 1.25 | 3.20 |
| 16106 | დუისბურგი-ნიურნბერგი | 1.45 | 2.30 |
| 16107 | არმინია-მიონხენგლადბახი | 1.60 | 2.00 |
| 16108 | შტუტგარტი-კაიზერსლაუტერნი | 1.25 | 3.30 |
| 16109 | კიოლნი-ჰერტა | 1.90 | 1.60 |
| 16214 | რეჯინა-უდინეზე | 2.10 | 1.50 |
| 16215 | პარმა-იუვენტუსი | 2.40 | 1.40 |
| 16216 | სამპდორია-კიევო | 1.20 | 3.20 |
| 16217 | სიენა-მესინა | 1.45 | 2.20 |
| 16218 | ტრევიზო-მილანი | 4.70 | 1.10 |
| 16219 | ლივორნო-ასკოლი | 1.20 | 3.20 |
| 16220 | კალიარი-რომა | 2.40 | 1.40 |
| 16221 | ლაციო-პალერმო | 1.65 | 1.90 |
| 16222 | ემპოლი-ლეჩე | 1.40 | 2.40 |
| 16223 | ინტერი-ფიორენტინა | 1.20 | 3.20 |
| 16275 | სარაგოსა-დეპორტივო | 1.60 | 1.90 |
| 16276 | ვალენსია-სოსიედადი | 1.20 | 3.30 |
| 16277 | მალიორკა-მალაგა | 1.40 | 2.50 |
| 16278 | ოსასუნა-კადისი | 1.35 | 2.60 |
| 16279 | ბეტისი-ბარსელონა | 2.10 | 1.50 |
| 16280 | სელტა-სევილია | 1.50 | 2.20 |
| 16281 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 1.50 | 2.20 |
| 16282 | ალავესი-რეალი | 3.00 | 1.20 |
| 16283 | ბილბაო-რასინგი | 1.30 | 2.80 |
| 16284 | ატლეტიკო-ხეტაფე | 1.30 | 2.80 |

## გოლი:წყვილი-1ზე კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17002 | ბირმინგემი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17003 | ვესტ ბრომვიჩი-ჩარლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17004 | ევერტონი-უიგანი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | მანჩესტერი-ბლეკბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | ვესტ ჰემი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17008 | ნიუკასლი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | ბოლტონი-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | მიდლსბრო-სანდერლენდი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | ტოტენჰემი-ფულემი | 1.85 | 1.95 |
| 17101 | მაინცი-დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17102 | ჰამბურგი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17103 | შალკე-ჰანოვერი | 1.85 | 1.95 |
| 17104 | ვერდერი-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17105 | ვოლფსბურგი-აინტრახტი | 1.85 | 1.95 |
| 17106 | დუისბურგი-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17107 | არმინია-მიონხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |
| 17108 | შტუტგარტი-კაიზერსლაუტერნი | 1.85 | 1.95 |
| 17109 | კიოლნი-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 17214 | რეჯინა-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17215 | პარმა-იუვენტუსი | 1.85 | 1.95 |
| 17216 | სამპდორია-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 17217 | სიენა-მესინა | 1.85 | 1.95 |
| 17218 | ტრევიზო-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17219 | ლივორნო-ასკოლი | 1.85 | 1.95 |
| 17220 | კალიარი-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17221 | ლაციო-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17222 | ემპოლი-ლეჩე | 1.85 | 1.95 |
| 17223 | ინტერი-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17275 | სარაგოსა-დეპორტივო | 1.75 | 1.95 |
| 17276 | ვალენსია-სოსიედადი | 1.85 | 1.95 |
| 17277 | მალიორკა-მალაგა | 1.85 | 1.95 |
| 17278 | ოსასუნა-კადისი | 1.85 | 1.95 |
| 17279 | ბეტისი-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17280 | სელტა-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17281 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17282 | ალავესი-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17283 | ბილბაო-რასინგი | 1.85 | 1.95 |
| 17284 | ატლეტიკო-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10002 | ბირმინგემი-ლივერპული | 3.80 | 2.00 | 2.50 | 1.31 | 1.50 | 1.11 |
| 10003 | ვესტ ბრომვიჩი-ჩარლტონი | 3.20 | 2.00 | 2.80 | 1.23 | 1.49 | 1.16 |
| 10004 | ევერტონი-უიგანი | 2.15 | 2.10 | 4.50 | 1.06 | 1.45 | 1.43 |
| 10005 | მანჩესტერი-ბლეკბერნი | 1.40 | 2.90 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 2.05 |
| 10006 | ვესტ ჰემი-არსენალი | 4.80 | 2.00 | 2.10 | 1.41 | 1.46 | 1.02 |
| 10007 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1.40 | 2.90 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 2.05 |
| 10008 | ნიუკასლი-სიტი | 2.50 | 2.00 | 3.80 | 1.11 | 1.50 | 1.31 |
| 10009 | ბოლტონი-პორტსმუთი | 2.15 | 2.00 | 4.50 | 1.03 | 1.45 | 1.38 |
| 10010 | მიდლსბრო-სანდერლენდი | 1.80 | 2.20 | 5.50 | 1.00 | 1.35 | 1.57 |
| 10011 | ტოტენჰემი-ფულემი | 1.80 | 2.20 | 5.50 | 1.00 | 1.35 | 1.57 |
| 10101 | მაინცი-დორტმუნდი | 3.30 | 2.10 | 2.75 | 1.28 | 1.50 | 1.19 |
| 10102 | ჰამბურგი-ბაიერნი | 3.60 | 2.00 | 2.25 | 1.28 | 1.38 | 1.05 |
| 10103 | შალკე-ჰანოვერი | 1.85 | 2.20 | 5.80 | 1.00 | 1.40 | 1.59 |
| 10104 | ვერდერი-ლევერკუზენი | 2.20 | 2.00 | 4.40 | 1.04 | 1.46 | 1.37 |
| 10105 | ვოლფსბურგი-აინტრახტი | 2.00 | 2.10 | 5.20 | 1.02 | 1.44 | 1.49 |
| 10106 | დუისბურგი-ნიურნბერგი | 2.50 | 2.00 | 3.40 | 1.11 | 1.44 | 1.25 |
| 10107 | არმინია-მიონხენგლადბახი | 2.70 | 2.00 | 3.30 | 1.14 | 1.48 | 1.24 |
| 10108 | შტუტგარტი-კაიზერსლაუტერნი | 2.10 | 2.00 | 5.00 | 1.02 | 1.47 | 1.42 |
| 10109 | კიოლნი-ჰერტა | 3.10 | 2.00 | 2.85 | 1.21 | 1.48 | 1.17 |
| 10214 | რეჯინა-უდინეზე | 4.00 | 2.00 | 2.45 | 1.33 | 1.51 | 1.10 |
| 10215 | პარმა-იუვენტუსი | 5.30 | 2.20 | 1.80 | 1.55 | 1.34 | 1.00 |
| 10216 | სამპდორია-კიევო | 2.00 | 2.10 | 5.20 | 1.02 | 1.44 | 1.49 |
| 10217 | სიენა-მესინა | 2.60 | 2.00 | 3.60 | 1.13 | 1.50 | 1.28 |
| 10218 | ტრევიზო-მილანი | 6.20 | 2.50 | 1.60 | 1.78 | 1.27 | 1.00 |
| 10219 | ლივორნო-ასკოლი | 2.00 | 2.00 | 5.20 | 1.00 | 1.44 | 1.44 |
| 10220 | კალიარი-რომა | 4.20 | 2.00 | 2.30 | 1.35 | 1.48 | 1.06 |
| 10221 | ლაციო-პალერმო | 2.85 | 2.00 | 3.20 | 1.17 | 1.50 | 1.23 |
| 10222 | ემპოლი-ლეჩე | 2.30 | 2.00 | 4.30 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10223 | ინტერი-ფიორენტინა | 2.00 | 2.10 | 5.20 | 1.02 | 1.44 | 1.49 |
| 10275 | სარაგოსა-დეპორტივო | 2.75 | 2.00 | 3.20 | 1.15 | 1.47 | 1.23 |
| 10276 | ვალენსია-სოსიედადი | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10277 | მალიორკა-მალაგა | 2.40 | 2.00 | 3.70 | 1.09 | 1.45 | 1.29 |
| 10278 | ოსასუნა-კადისი | 2.30 | 2.00 | 4.10 | 1.06 | 1.47 | 1.34 |
| 10279 | ბეტისი-ბარსელონა | 3.60 | 2.00 | 2.45 | 1.28 | 1.45 | 1.10 |
| 10280 | სელტა-სევილია | 2.60 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.45 | 1.24 |
| 10281 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 2.60 | 2.00 | 3.20 | 1.13 | 1.43 | 1.23 |
| 10282 | ალავესი-რეალი | 5.20 | 2.10 | 2.00 | 1.49 | 1.44 | 1.02 |
| 10283 | ბილბაო-რასინგი | 2.15 | 2.00 | 4.80 | 1.03 | 1.48 | 1.41 |
| 10284 | ატლეტიკო-ხეტაფე | 2.15 | 2.00 | 4.80 | 1.03 | 1.48 | 1.41 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15002 | ბირმინგემი-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15003 | ვესტ ბრომვიჩი-ჩარლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | ევერტონი-უიგანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | ვესტ ჰემი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | ჩელსი-ასტონ ვილა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | ნიუკასლი-სიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | ბოლტონი-პორტსმუთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | მიდლსბრო-სანდერლენდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | ტოტენჰემი-ფულემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15101 | მაინცი-დორტმუნდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15102 | ჰამბურგი-ბაიერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15103 | შალკე-ჰანოვერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15104 | ვერდერი-ლევერკუზენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15105 | ვოლფსბურგი-აინტრახტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15106 | დუისბურგი-ნიურნბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15107 | არმინია-მიონხენგლადბახი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15108 | შტუტგარტი-კაიზერსლაუტერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15109 | კიოლნი-ჰერტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15214 | რეჯინა-უდინეზე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15215 | პარმა-იუვენტუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15216 | სამპდორია-კიევო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15217 | სიენა-მესინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15218 | ტრევიზო-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15219 | ლივორნო-ასკოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15220 | კალიარი-რომა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15221 | ლაციო-პალერმო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15222 | ემპოლი-ლეჩე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15223 | ინტერი-ფიორენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15275 | სარაგოსა-დეპორტივო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15276 | ვალენსია-სოსიედადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15277 | მალიორკა-მალაგა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15278 | ოსასუნა-კადისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15279 | ბეტისი-ბარსელონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15280 | სელტა-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15281 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15282 | ალავესი-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15283 | ბილბაო-რასინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15284 | ატლეტიკო-ხეტაფე | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11002 | ბირმინგემი-ლივერპული | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | [illegible] | [illegible] | 3.00 |
| 11003 | ვესტ ბრომვიჩი-ჩარლტონი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | [illegible] | [illegible] | 3.80 |
| 11004 | ევერტონი-უიგანი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11005 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1.50 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11006 | ვესტ ჰემი-არსენალი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11007 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1.50 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11008 | ნიუკასლი-სიტი | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11009 | ბოლტონი-პორტსმუთი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11010 | მიდლსბრო-სანდერლენდი | 2.05 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11011 | ტოტენჰემი-ფულემი | 2.05 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11101 | მაინცი-დორტმუნდი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11102 | ჰამბურგი-ბაიერნი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.10 |
| 11103 | შალკე-ჰანოვერი | 1.90 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11104 | ვერდერი-ლევერკუზენი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11105 | ვოლფსბურგი-აინტრახტი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11106 | დუისბურგი-ნიურნბერგი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11107 | არმინია-მიონხენგლადბახი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.50 |
| 11108 | შტუტგარტი-კაიზერსლაუტერნი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11109 | კიოლნი-ჰერტა | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.50 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11214 | რეჯინა-უდინეზე | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.50 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11215 | პარმა-იუვენტუსი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.30 |
| 11216 | სამპდორია-კიევო | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11217 | სიენა-მესინა | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11218 | ტრევიზო-მილანი | 10.00 | 10.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 30.00 | 12.00 | 1.90 |
| 11219 | ლივორნო-ასკოლი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11220 | კალიარი-რომა | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11221 | ლაციო-პალერმო | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.50 |
| 11222 | ემპოლი-ლეჩე | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11223 | ინტერი-ფიორენტინა | 1.90 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11275 | სარაგოსა-დეპორტივო | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11276 | ვალენსია-სოსიედადი | 2.00 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11277 | მალიორკა-მალაგა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11278 | ოსასუნა-კადისი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11279 | ბეტისი-ბარსელონა | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.10 |
| 11280 | სელტა-სევილია | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11281 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11282 | ალავესი-რეალი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11283 | ბილბაო-რასინგი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11284 | ატლეტიკო-ხეტაფე | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.00 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დასრულების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14002 | ბირმინგემი-ლივერპული | 2.20 | 1.70 |
| 14003 | ვესტ ბრომვიჩი-ჩარლტონი | 1.90 | 1.90 |
| 14004 | ევერტონი-უიგანი | 1.55 | 2.30 |
| 14005 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1.05 | 2.90 |
| 14006 | ვესტ ჰემი-არსენალი | 2.40 | 1.40 |
| 14007 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1.05 | 2.90 |
| 14008 | ნიუკასლი-სიტი | 1.65 | 2.20 |
| 14009 | ბოლტონი-პორტსმუთი | 1.45 | 2.40 |
| 14010 | მიდლსბრო-სანდერლენდი | 1.30 | 2.50 |
| 14011 | ტოტენჰემი-ფულემი | 1.30 | 2.50 |
| 14101 | მაინცი-დორტმუნდი | 2.00 | 1.80 |
| 14102 | ჰამბურგი-ბაიერნი | 2.10 | 1.70 |
| 14103 | შალკე-ჰანოვერი | 1.25 | 2.50 |
| 14104 | ვერდერი-ლევერკუზენი | 1.45 | 2.40 |
| 14105 | ვოლფსბურგი-აინტრახტი | 1.35 | 2.50 |
| 14106 | დუისბურგი-ნიურნბერგი | 1.70 | 2.10 |
| 14107 | არმინია-მიონხენგლადბახი | 1.80 | 2.00 |
| 14108 | შტუტგარტი-კაიზერსლაუტერნი | 1.40 | 2.40 |
| 14109 | კიოლნი-ჰერტა | 1.95 | 1.85 |
| 14214 | რეჯინა-უდინეზე | 2.10 | 1.75 |
| 14215 | პარმა-იუვენტუსი | 2.40 | 1.45 |
| 14216 | სამპდორია-კიევო | 1.45 | 2.40 |
| 14217 | სიენა-მესინა | 1.75 | 2.10 |
| 14218 | ტრევიზო-მილანი | 2.60 | 1.20 |
| 14219 | ლივორნო-ასკოლი | 1.40 | 2.40 |
| 14220 | კალიარი-რომა | 2.10 | 1.70 |
| 14221 | ლაციო-პალერმო | 1.80 | 2.00 |
| 14222 | ემპოლი-ლეჩე | 1.65 | 2.20 |
| 14223 | ინტერი-ფიორენტინა | 1.30 | 2.50 |
| 14275 | სარაგოსა-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 14276 | ვალენსია-სოსიედადი | 1.30 | 2.50 |
| 14277 | მალიორკა-მალაგა | 1.65 | 2.30 |
| 14278 | ოსასუნა-კადისი | 1.60 | 2.20 |
| 14279 | ბეტისი-ბარსელონა | 2.10 | 1.70 |
| 14280 | სელტა-სევილია | 1.75 | 2.00 |
| 14281 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 1.75 | 2,00 |
| 14282 | ალავესი-რეალი | 2.40 | 1.40 |
| 14283 | ბილბაო-რასინგი | 1.45 | 2.40 |
| 14284 | ატლეტიკო-ხეტაფე | 1.45 | 2.40 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13002 | ბირმინგემი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 13003 | ვესტ ბრომვიჩი-ჩარლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13004 | ევერტონი-უიგანი | 1.70 | 1.90 |
| 13005 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1.90 | 1.70 |
| 13006 | ვესტ ჰემი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | ჩელსი-ასტონ ვილა | 2.00 | 1.60 |
| 13008 | ნიუკასლი-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 13009 | ბოლტონი-პორტსმუთი | 1.70 | 1.90 |
| 13010 | მიდლსბრო-სანდერლენდი | 1.70 | 1.90 |
| 13011 | ტოტენჰემი-ფულემი | 1.70 | 1.90 |
| 13101 | მაინცი-დორტმუნდი | 1.70 | 1.90 |
| 13102 | ჰამბურგი-ბაიერნი | 1.70 | 1.90 |
| 13103 | შალკე-ჰანოვერი | 1.90 | 1.70 |
| 13104 | ვერდერი-ლევერკუზენი | 1.70 | 1.90 |
| 13105 | ვოლფსბურგი-აინტრახტი | 1.70 | 1.90 |
| 13106 | დუისბურგი-ნიურნბერგი | 1.70 | 1.90 |
| 13107 | არმინია-მიონხენგლადბახი | 1.70 | 1.90 |
| 13108 | შტუტგარტი-კაიზერსლაუტერნი | 1.70 | 1.90 |
| 13109 | კიოლნი-ჰერტა | 1.70 | 1.90 |
| 13214 | რეჯინა-უდინეზე | 1.70 | 1.90 |
| 13215 | პარმა-იუვენტუსი | 1.70 | 1.90 |
| 13216 | სამპდორია-კიევო | 1.70 | 1.90 |
| 13217 | სიენა-მესინა | 1.70 | 1.90 |
| 13218 | ტრევიზო-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 13219 | ლივორნო-ასკოლი | 1.70 | 1.90 |
| 13220 | კალიარი-რომა | 1.70 | 1.90 |
| 13221 | ლაციო-პალერმო | 1.70 | 1.90 |
| 13222 | ემპოლი-ლეჩე | 1.70 | 1.90 |
| 13223 | ინტერი-ფიორენტინა | 1.70 | 1.90 |
| 13275 | სარაგოსა-დეპორტივო | 1.70 | 1.90 |
| 13276 | ვალენსია-სოსიედადი | 1.70 | 1.90 |
| 13277 | მალიორკა-მალაგა | 1.70 | 1.90 |
| 13278 | ოსასუნა-კადისი | 1.70 | 1.90 |
| 13279 | ბეტისი-ბარსელონა | 1.70 | 1.90 |
| 13280 | სელტა-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 13281 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |
| 13282 | ალავესი-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 13283 | ბილბაო-რასინგი | 1.70 | 1.90 |
| 13284 | ატლეტიკო-ხეტაფე | 1.70 | 1.90 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12002 | ბირმინგემი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 12003 | ვესტ ბრომვიჩი-ჩარლტონი | 1.70 | 1.90 |
| 12004 | ევერტონი-უიგანი | 1.70 | 1.90 |
| 12005 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1.90 | 1.70 |
| 12006 | ვესტ ჰემი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 12007 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1.90 | 1.70 |
| 12008 | ნიუკასლი-სიტი | 1.90 | 1.70 |
| 12009 | ბოლტონი-პორტსმუთი | 1.70 | 1.90 |
| 12010 | მიდლსბრო-სანდერლენდი | 1.70 | 1.90 |
| 12011 | ტოტენჰემი-ფულემი | 1.70 | 1.90 |
| 12101 | მაინცი-დორტმუნდი | 2.00 | 1.65 |
| 12102 | ჰამბურგი-ბაიერნი | 2.00 | 1.65 |
| 12103 | შალკე-ჰანოვერი | 2.00 | 1.65 |
| 12104 | ვერდერი-ლევერკუზენი | 2.10 | 1.55 |
| 12105 | ვოლფსბურგი-აინტრახტი | 2.00 | 1.65 |
| 12106 | დუისბურგი-ნიურნბერგი | 2.00 | 1.65 |
| 12107 | არმინია-მიონხენგლადბახი | 2.00 | 1.65 |
| 12108 | შტუტგარტი-კაიზერსლაუტერნი | 2.00 | 1.65 |
| 12109 | კიოლნი-ჰერტა | 2.00 | 1.65 |
| 12214 | რეჯინა-უდინეზე | 1.70 | 1.90 |
| 12215 | პარმა-იუვენტუსი | 1.70 | 1.90 |
| 12216 | სამპდორია-კიევო | 1.70 | 1.90 |
| 12217 | სიენა-მესინა | 1.70 | 1.90 |
| 12218 | ტრევიზო-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 12219 | ლივორნო-ასკოლი | 1.70 | 1.90 |
| 12220 | კალიარი-რომა | 1.90 | 1.70 |
| 12221 | ლაციო-პალერმო | 1.70 | 1.90 |
| 12222 | ემპოლი-ლეჩე | 1.70 | 1.90 |
| 12223 | ინტერი-ფიორენტინა | 1.90 | 1.70 |
| 12275 | სარაგოსა-დეპორტივო | 1.70 | 1.90 |
| 12276 | ვალენსია-სოსიედადი | 1.70 | 1.90 |
| 12277 | მალიორკა-მალაგა | 1.70 | 1.90 |
| 12278 | ოსასუნა-კადისი | 1.70 | 1.90 |
| 12279 | ბეტისი-ბარსელონა | 1.70 | 1.90 |
| 12280 | სელტა-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 12281 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |
| 12282 | ალავესი-რეალი | 1.90 | 1.70 |
| 12283 | ბილბაო-რასინგი | 1.70 | 1.90 |
| 12284 | ატლეტიკო-ხეტაფე | 1.70 | 1.90 |

## საქართველოს XVI ჩემპიონატი
### თბილისი. ასკ-ს დარბაზი
### პირველი წრე. 23 სექტემბერი

**ქარიშხალა 25:22 სსსსუ-მამული**

**ქარიშხალა:** სამყურაშვილი, გიორგი ტორონჯაძე, მსხვილიძე (გაიტანა 7 გოლი), ჯორბენაძე (7), ბერძენიშვილი (6), მელქოშვილი (2), სიგუა (1), საჯაია (1), ამირანაშვილი (1), გიორგი ჩიქოვანი, ირაკლი ჩიქოვანი, გოგალაძე, ირაკლი ტორონჯაძე, ზაალიშვილი
**სსსსუ-მამული:** ხონელიძე, შათირიშვილი (7), მაისურაძე (5), ხუციშვილი (4), ზაქარიაშვილი (3), მამაცაშვილი (1), გობეჯიშვილი (1), სიხარულიძე (1), გიორგი არაბული, გელაშვილი, კიზირია, შონია, ყაველაშვილი
*მსაჯები:* ელენე არაბული, ზურაბ ქოქოსაძე

**სტუ-შევარდენი 26:23 ხ/კ თბილისი**

**სტუ-შევარდენი:** ანდრიაძე, კობახიძე (7), წივწივაძე (5), ჩუბინაშვილი (4), ამირან ყიფიანი (3), ტალახაძე (3), ნადირაძე (2), ცოტაძე (2), ქუთათელაძე, ჯიშკარიანი, ომარ ყიფიანი
**ხ/კ თბილისი:** სეთურიძე, გონზაროვი, ქირია (9), სამარლანიშვილი (6), ნატროშვილი (3), ფორაქიშვილი (3), ლალნიძე (2), გრიშიკაშვილი, მამასახლისი, გელა არაბული, ქარდავა, ულენტი, სულიკაშვილი
*მსაჯები:* ელენე არაბული, ზურაბ ქოქოსაძე

# ქარიშხალა ქარიშხალს გავს

**გუშინ** პირველი წრის დასკვნით ტურში ორი საჩემპიონო-სამედლო დაპირისპირება შედგა. მართალია, მარათონულ ჩემპიონატში გუნდები ექვსჯერ შეერკინებიან ერთმანეთს და „წიწილებსაც“ მაისში დაითვლიან, მაგრამ ყოველ მატჩს გადამწყვეტი თუ არა, დიდი სატურნირო მნიშვნელობა ხომ აქვს.

მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა ჯიმლ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის ოლიმპიური ცენტრის „ქარიშხალას“ თამაშმა. წინა სეზონის შემდეგ გუნდი ხუთმა მოთამაშემ დატოვა. ცხადია, დანაკლისი ძალიანაც მნიშვნელოვანია, თუმც ეს კატასტროფული არ გამხდარა, რადგან გუნდმა შევსება მიიღო თავისივე ჭაბუკთა ნაკრებიდან. გადაწყდა, რომ ცერცვაძელები მე-16 ეროვნულ პირველობაში ერთი გუნდით ჩაებმებოდნენ და ეს საქმისთვის ყოველმხრივ გამართლებული გადაწყვეტილება გახდა. „პატარებით“ განახლებულ-გაძლიერებულმა „ქარიშხალამ“ სოლიდური, გააზრებული და შედეგიანი თამაში აჩვენა და უკვე პირველი წრის შემდეგ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ წინა სეზონის მეოთხე საფეხურზე უკეთეს ადგილს დაიკავებს.

ქარიშხლელებს აშკარად წაადგათ სეზონისწინა ორი შეკრება ცემსა და ბათუმში, ბიჭებს ჯანიც მოემატათ და არც სისწრაფე აკლიათ. და მაინც, ცოდვა გამხელილი სჯობს, ოთხიდან სამი თამაშის მოგებას ალბათ თავადაც არ ელოდნენ.

გუშინ „ქარიშხალამ“ წინა პირველობის მესამეადგილოსანი „მამული“ დაამარცხა. ანგარიში პირველივე შეტევისას ზუსტი ტყორცნით მამულელმა ვეტერანმა ზვიად შათირიშვილმა გახსნა. იქვე დავით საჯაიამ ოსტატურად ჩამოიტოვა მცველი და საპასუხო გაიტანა. მერე ქარიშხლელები ლევან ბერძენიშვილმა დააწინაურა, ხოლო „უბერებელმა“ შათირიშვილმა მალე აღადგინა წონასწორობა — 2:2. და ასე თანაბარი ბრძოლა გაგრძელდა არა მხოლოდ შესვენებამდე, ლამის თამაშის ბოლომდეც. დაუჯერებელი კი ჩანს, მაგრამ ანგარიში 15-ჯერ გათანაბრდა. მამულელთა მხრიდან გამორჩეულად აქტიურობდა 35 წლის შათირიშვილი, თავისიანთა საწყისი ოთხი გოლიდან ოთხივე მის ანგარიშზეა. შესვენების შემდეგ შვიდი წუთი მამულელებს მიზანი მოეშალათ და ერთი გოლის გატანაც ვერ შეძლეს, რაშიც ცხადია, ორმეტრიან მეტოქეთა — რატი მსხვილიძის, ირაკლი სიგუასა და ირაკლი ჩიქოვანის ბლოკმა შეუშალა ხელი. ჩინებულად იცავდნენ კარს გიორგი სამყურაშვილი და გიორგი ტორონჯაძეც, ხოლო მეტოქეთა კარისკენ რეაქტიული ფორვარდების, ლევან ბერძენიშვილისა და ნიკოლოზ ჯორბენაძის ლამის ყოველი „ვაქცეკა“ გოლით მთავრდებოდა.

ჩემპიონ „სტუ-შევარდენისა“ და „თბილისის“ თამაში თავიდან თბილისელების იყო, შუა ტაიმში უმთავრესად მთავარმეგოლე ლაშა სამარლანიშვილის აქტიურობით სამი ბურთით დაწინაურდნენ — 6:3. მაგრამ თანდათან შევარდნებმა გაათანაბრეს ვითარება. მათი, თუ შეიძლება ითქვას, მობილური დაცვა საიმედოდ ამოქმედდა, ხოლო შეტევისას ფლანგიდან ფლანგზე უსწრაფესად განხორციელებულ იერიშებს მეტოქეები მოჰქონდა სასურველი შედეგი.

მატჩის მეორე ნახევარი დაძაბულ, სანტერესო ბრძოლას მოასწავებდა. მაგრამ, მოწმენდილ ახალსაჩემპიო-[illegible]

ნაცვლად [illegible] შეხვედრის [illegible] მეტოქეთა [illegible] შემდეგ „სტუ-შევარდენმა“ [illegible] [illegible] დაწინაურდა — [illegible] მომენტში [illegible] „თბილისის“ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]

[illegible] [illegible]

**გია ახალაძე**

**ვითარება I წრის შემდეგ**

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 4 | 0 | 0 | [illegible] | [illegible] |
| ქარიშხალა | 3 | 0 | 1 | [illegible] | [illegible] |
| სსსსუ-მამული | 2 | 0 | 2 | [illegible] | [illegible] |
| ხ/კ თბილისი | 1 | 0 | 3 | [illegible] | [illegible] |
| თელავი | 0 | 0 | 4 | [illegible] | [illegible] |



**ქართუს თასი. თიხნარი საპრიზო 25 000 $**

# ქართუ ფინიშს მიაუხლოვდა
## დღეს სერბულ-ჩეხური ფინალია



ანა ტიმოტიჩი

### ნახევარფინალი

**ანა ტიმოტიჩი** (სერბეთი) — **ტატიანა უვაროვა** (1, ბელარუსი) 6:0 7:6 (7:3);
**სანდრა ზაჰლავოვა** (2, ჩეხეთი) — **ეკატერინა ძეჰალევიჩი** (4, ბელარუსი) 2:6 6:3 6:4

**„ქართუს თასის“** ნახევარფინალში ორმა ბელარუსმა ითამაშა. ტატიანა უვაროვა პირველ ნომრად იყო განთესილი, ხოლო ეკატერინა ძეჰალევიჩი მეოთხედ. ამრიგად, სულ ადვილად შეიძლებოდა, ფინალი ბელარუსული გამოსულიყო, თუმც ამ ორი ჩოგბურთელისთვის გუშინ უიღბლო დღე გათენდა და ნაშუადღევს გაირკვა, რომ თასი ბელარუსში არ წავიდოდა.

უვაროვამ ჩვენგან ნაკებ სერბთან, ანა ტიმოტიჩთან დახარა ჩოგანი. განთესილების რისხვად მონათლულმა ტიმოტიჩმა ნახევარფინალშიც ისე გაილაღა, ტრიბუნაზე ტურნირის პირველი ნომრის საცქერად მოკალათებული მაყურებელი სახტად დატოვა.

პირველი სეტი სერბმა იციოდ წუთში მოამთავრა — 6:0. უვაროვა მხოლოდ მეორე სეტში გამოცოცხლდა და მალე 5:2 დაწინაურდა. მოსაწოდებლად თავად დაძგა და უკვე ყველა ანგარიშის გათანაბრებას ელოდა, მაგრამ...

ტიმოტიჩმა ჯერ სხვაობა შეამცირა, მერე მეტოქეს წამოეწია, გაუსწრო და ერთხანს ბელარუსს ტაიბრეიკიც კი სანატრელი გაუხდა. თამაშის ამ მონაკვეთში უვაროვამ ექვსი ორმაგი შეცდომა დაუშვა. ბოლოს თამაშის ბედი ტაიბრეიკში გადაწყდა ტიმოტიჩის სასარგებლოდ.

მეორე ნახევარფინალი ორსაათნახევარზე მეტხანს გაიწელა. თამაში ძეჰალევიჩის კარნახით დაიწყო. ეკატერინამ სეტი ისე ჩაითამაშა, ჩეხ სანდრა ზაჰლავოვას მხოლოდ ორი გეიმი დაუთმო. როგორც ჩანს, ფინალზე ფიქრიც ნაადრევად დაიწყო და დაისაჯა. მეორე სეტში უკვე თავად ვერ ასცდა ორ ქულას. გადამწყვეტში კი იბრძოლა, მაგრამ ხეირიანად ათამაშებულ ჩეხთან ვეღარას გახდა.

ფინალი მესხის აკადემიის კორტებზე დღეს დილით გაიმართება. ორშაბათიდან კი ჩოგბურთელები ბათუმის კორტებზე, 50 000 დოლარიანი საპრიზო ფონდის ტურნირზე გადაერთვებიან.

**ოთარ მაღლაკელიძე**



სანდრა ზაჰლავოვა



მარია შარაპოვა

# ბრძოლა პეკინური ნახევარი მილიონისთვის

**პეკინი. ჩინეთი**
**მაგარსაფარი**
**საპრიზო ფონდი: 500 000 $**
მეორე წრე:
**მარია შარაპოვა** (1) — **შაჰარ პირი** 6:0; 5:7; 6:2
**ვინუს უილიამსი** (2) — **ნურია ლაგოსტერა ვივესი** 6:3, 6:1
**შინობუ ასაგოე** — **ჯილ კრიბასი** 6:2; 6:4
**მარტა დომაჩოვსკა** — **ცენგ ჩი** 6:3; 6:1
**მარია კირილენკო** — **სუნ ტიანტიანი** 6:1; 7:6

**პეკინში** მიმდინარე WTA-ს ტურის მორიგ ტურნირზე საკმაოდ წარმომადგენლობითმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. ტურნირის ნახევარმილიონიანი ფონდისთვის სხვებთან ერთად ერთმანეთს შეეცილებიან თანამედროვე ქალთა ჩოგბურთის ლიდერები, მარია შარაპოვა და ვინუს უილიამსი. ისინი ტურნირზე შესაბამისად პირველ და მეორე ნომრებად არიან განთესილნი.

განთესილი ჩოგბურთელები გათამაშებაში მეორე წრიდან ჩაერთნენ. საკმაოდ გაუჭირდა გამარჯვება მარია შარაპოვას. პირველი სეტის იოლად მოგების შემდეგ (რუსს ამისთვის მხოლოდ 28 წუთი დასჭირდა), შარაპოვამ მოულოდნელად დათმო მეორე სეტი ისრაელის წარმომადგენელ შაჰარ პირთან. თუმცა რუსმა ძალების მობილიზება შეძლო და მესამე სეტში თითქმის უპრობლემოდ გაიმარჯვა.

— პრეს-კონფერენციაზე შარაპოვამ წაგებული სეტი [illegible] ახსნა, რამაც, მისივე სიტყვებით, [illegible] აგრესიულობა მოაკლო.

შარაპოვასგან განსხვავებით, არ გასჭირვებია მოგება ამერიკელ ვინუს უილიამსს. მან ესპანელ ნურია ლაგოსტერა ვივესს მხოლოდ ოთხი გეიმი აღებინა.

სამწუხაროდ, უილიამსს თამაშისას მუხლი დაუშავდა [illegible] მისი ძველი ტრავმის [illegible] უნდა იყოს.

სულ ბოლოს [illegible] საგზური მოიპოვა რუსმა [illegible] მარია კირილენკომ, [illegible] საკმაოდ იოლად, ორ სეტში დაამარცხა მასპინძელი [illegible].

**კახა ლომაძე[illegible]ილი**

# მოკრივის აღსასრული

**ბასულ** შაბათს მექსიკელ ხესუს ჩავესთან რინგზე ბრძოლის შემდეგ შავკანიანი ლევანდერ ჯონსონი, რომელიც IBF-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი იყო მსუბუქ წონაში, ლას ვეგასის საავადმყოფოში უმძიმეს მდგომარეობაში მიიყვანეს. რამდენიმე დღის შემდეგ ექიმებმა განაცხადეს, რომ დაშავებულის მდგომარეობა არაფრით გაუმჯობესდება და ჯონსონის ახლობლები დათანხმდნენ, მოკრივისთვის გამოერთოთ აპარატი, რომელიც მის ორგანიზმს სიცოცხლისუნარიანობას უნარჩუნებდა. გუშინწინ კი ექიმებმა მისი სიკვდილის თაობაზე განაცხადეს.

ამ ბრძოლაში ჯონსონმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული დათმო. ბრძოლის განმავლობაში მეტოქეებმა ერთმანეთს ძალზე ბევრი დარტყმა მიაყენეს, მაგრამ პაექრობის მიწურულს უპირატესობას ჩავესი დაეუფლა. მე-11 რაუნდში მსაჯებმა ბრძოლა შეწყვიტეს იმ დროს, როცა ჩავესმა მეტოქე ბაგირებთან მიიმწყვდია და, შეიძლება ითქვას, მისი უმოწყალო ცემა დაიწყო.

ბრძოლის შემდეგ ჯონსონი დაუყოვნებლივ სარეანიმაციოში გააქანეს „თავში სისხლის ჩაქცევის" დიაგნოზით.

სამწუხაროდ, ბოლო დროს კრივი სულ უფრო სახიფათო ხდება სპორტსმენების სიცოცხლისთვის. მხოლოდ ლას ვეგასში ბოლო თვრამეტი წლის განმავლობაში უკვე ექვსი სპორტსმენი შეეწირა კრივს. ბოლო ასეთი შემთხვევა ამას წინათ მოხდა. ამ ზაფხულს რუსმა რუსტამ ნუგაევმა მექსიკელ მარტინ სანჩეს სძლია, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ საავადმყოფოში გარდაიცვალა.




ხესუს ჩავესისა და ლევანდერ ჯონსონის საბედისწერო შეხვედრის მომენტი



## მსოფლიოს ჩემპიონატი
### 27 სექტემბერი — 16 ოქტომბერი, სან-ლუისი, არგენტინა

ჩემპიონატზე ითამაშებენ: ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი), პეტერ ლეკო (უნგრეთი), მაიკლ ადამსი (ინგლისი), პეტერ სვიდლერი (რუსეთი), იუდიტ პოლგარი (უნგრეთი), ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი), რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი)

# პოლგარს შვიდი კაცის არ ეშინია

*ჩემპიონატის ერთადერთი მანდილოსანი უნგრელი იუდიტ პოლგარი 1976 წლის 23 ივლისს დაიბადა ბუდაპეშტში. მის ოჯახში სპორტის ეს სახეობა საკმაოდ პოპულარული იყო და იუდიტმაც პატარაობიდანვე კარგად აითვისა. ჭადრაკის ისტორიაში იგი შევიდა როგორც ყველაზე ახალგაზრდა დიდოსტატი. მან ეს წოდება 15 წლისამ და 5 თვისამ მოიპოვა.*

*იუდიტი ყველაზე ძლიერი მოჭადრაკე ქალია. იგი საერთო რეიტინგსიაში მერვე ადგილზეა. ჩემპიონატზე მონაწილე შვიდი მეტოქე მამაკაცის მას საერთოდ არ ეშინია და ათ შეკითხვასაც თამამად პასუხობს:*



იუდიტ პოლგარი

**— რას ელოდებით ამ შეჯიბრისგან?**

— ჩემპიონატისთვის საუკეთესოდ მოვემზადე და კარგ შედეგს ველოდები.

**— როგორ შეფასებას აძლევთ შეჯიბრების დებულებას, რომ ყოველ მოწინააღმდეგესთან ორი პარტიის გამართვა მოგიწევთ?**

— ეს ძნელი, დამღლელი შეჯიბრი იქნება, რომელიც ბევრ ენეგრიას წაგვართმევს, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, ეს მსოფლიოს ჩემპიონატია და ყველა საუკეთესოდ იქნება მომზადებული.

**— თქვენი შვიდი მეტოქიდან ვინ მიგაჩნიათ ტურნირის ფავორიტად?**

— აქ ყველა მაღალი დონის მოთამაშე შეიკრიბა და რვავე გამარჯვებისთვის იბრძოლებს.

**— როგორ ემზადებით ტურნირისთვის?**

— ყველა მეტოქისთვის სპეციალურ მომზადებას გავდივარ. სპორტსმენისთვის როგორც გონებრივი, ასევე ფიზიკური მომზადებაც აუცილებელია და ვცდილობ სხვებს არ ჩამოვრჩე.

**— ფიქრობთ, რომ საუკეთესო შედეგს აჩვენებთ?**

— ეს ჩემი მიზანია, თანაც ახლა კარგ ფორმაში ვარ და გამარჯვებისთვის ძალებს არ დავიშურებ.

**— ვინ მოიგებს შეჯიბრს?**

— ყველაზე ჭკვიანი, სტაბილური, მებრძოლი სულის ადამიანი. იგი ენერგიას უნდა გაუფრთხილდეს და ძალები ბოლოსთვის, კრიტიკული მომენტებისთვის შეინახოს.

**— თქვენ ბევრ ძლიერ ტურნირში გითამაშიათ, ეს თუ განსხვავდება მათგან?**

— მათ შორის დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ, მაგრამ მეორეს მხრივ დაძაბულობა აქ მეტი იქნება.

**— მაყურებელი ბევრ სიახლეს ნახავს?**

— მონაწილეები ბევრ სიურპრიზს ვპირდებით გულშემატკივრებს და იმედია, ისინიც არ მოიწყენენ.

**— რას არ გამოტოვებს გულშემატკივარი?**

— ეს იტორიული შეჯიბრია. კასპაროვი და კრამნიკი ასპარეზზე ახლა აღარ ჩანან და მსოფლიო ახალ ჩემპიონს ელის.

**— არგენტინაში ჩასვლისას პირველად რა მოგივიდათ თავში?**

— ლეგენდარული მიგელ ნაიდორფი და მისი კეთილი ოჯახი.

## ევროპის საკლუბო ჩემპიონატი
### იტალია. სენტ-ვისენტი. 18-24 სექტემბერი

V ტური

ვაჟები

| | | |
|---|---|---|
| პსკ (ბელარუსი) | 2:4 | ია (საქართველო) |
| მიხეილ გურევიჩი (ბელგია) | 0,5:0,5 | ზურაბ აზმაიფარაშვილი (საქართველო) |
| არკადი ნაიდიჩი (გერმანია) | 0,5:0,5 | ზვიად იზორია (საქართველო) |
| ალექსანდრე გოლოშჩაპოვი (უკრაინა) | 0,5:0,5 | მიხეილ მჭედლიშვილი (საქართველო) |
| დანიელ ჰაუსრაჩი (გერმანია) | 0:1 | მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო) |
| დიმიტრი კომაროვი (უკრაინა) | 0:1 | ლევან ფანცულაია (საქართველო) |
| გერჰარდ შებლერი (გერმანია) | 0,5:0,5 | ვალერიან გაფრინდაშვილი (საქართველო) |

ქალები

| | | |
|---|---|---|
| პლანიტა (რუსეთი) | 0,5:3,5 | ნტნ (საქართველო) |
| ირინა ვასილევიჩი (რუსეთი) | 0:1 | ნანა ძაგნიძე (საქართველო) |
| ეკატერინა უბიენიკი (რუსეთი) | 0:1 | ლელა ჯავახიშვილი (საქართველო) |
| ტატიანა გრაბუზოვა (რუსეთი) | 0:1 | ანა მათნაძე (საქართველო) |
| მარია ფომინიკი (რუსეთი) | 0,5:0,5 | თამარ წერეთელი (საქართველო) |



მერაბ გაგუნაშვილი

# ნტნ-მა პლატინა დაადნო

**მერაბ გაგუნაშვილმა** და ლევან ფანცულაიამ მეხუთე ტურში, თავიანთ მეტოქეებს მოუგეს და ამით გუნდს მორიგი გამარჯვება მოუტანეს.

ფანცულაია მეხუთე დაფაზე შავი ფიგურებით გამოვიდა და მეტოქედ უკრაინელი დიმიტრი კომაროვი ჰყავდა. ფანცულაია თავიდანვე აქტიურად ჩაერთო თამაშში, მეტოქეს გაცვლები შესთავაზა და სტრატეგიის განვითარების საშუალება არ მისცა. 23-ე სვლაზე კომაროვმა ეტლით შეუტია ქართველს, თუმც ვერაფერი ავნო და სამ სვლაში დანებდა.

დაძაბულ ბრძოლაში იმარჯვა გაგუნაშვილმა. მერაბმა ფრთხილად დაიწყო პარტია, ცენტრში ჯარის მობილიზებას შეუდგა და მტრის დასახვედრად მოემზადა. მე-11 სვლაზე ჰაუსრაჩმა იერიშებს მიმართა. გაგუნაშვილმა ადვილად უკუაგდო მტერი, საპასუხოდ თვითონაც დაარტყა და 32-ე სვლაზე ქულა მიითვალა.

წარუმატებლად თამაშობს ჩემპიონატის ფავორიტი, რუსული „NAO CHESS CLUB". შეგახსენებთ, რომ ამ გუნდში კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი ვლადიმერ კრამნიკი და ფიდეს რეიტინგსიის მე-9 ნომერი ფრანგი ეტიენ ბაკრო გამოდიან. მიუხედავად ასეთი ძლიერი ნაკრებისა, გუნდი 8 ქულით მე-7 ადგილზეა.

მეხუთე ტურში ჩვენი მანდილოსნები რუსულ „პლატინას" დაუპირისპირდნენ და კვლავ დიდი ანგარიშით 3,5:0,5 იმარჯვეს. ახლა „ნტნ თბილისი" 9 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს ცხრილს.

**ლაშა გეგეჭკორი**

კაცები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ტომსკ-400 (რუსეთი) | 10 ქულა |
| 2 | ია თბილისი (საქართველო) | 9 |

ქალები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ნტნ თბილისი (საქართველო) | 9 |
| 2 | ავს (რუსეთი) | 7 |

# ჩვენ და მსოფლიოს სოფტბოლის უფროსობა

დღეს სოფტბოლი საქართველოში ისეთი პოპულარობით არ სარგებლობს, როგორც დასავლეთ ნახევარსფეროში, მაგრამ სპორტის ამ სახეობას ჩვენშიც ჰყავს ბლომად თაყვანისმცემელი და დღითი დღე სულ მეტ მიმდევარს იძენს. სოფტბოლით დაინტერესებულთათვის ამ შაბათს განსაკუთრებული დღეა — თბილისში სოფტბოლის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი დონ პორტერი გენერალურ მდივან ენდრიუ ლოხნერთან ერთად ჩამოდის



26 სექტემბერს თემქაზე სოფთბოლისა და ბეისბოლის სტადიონი გაიხსნება

**სტუმართა** მასპინძელი, რა თქმა უნდა, საქართველოს ბეისბოლისა და სოფტბოლის ფედერაციის პრეზიდენტი რამაზ გოგლიძე იქნება, რომელიც ამავდროულად სოფტბოლის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გახლავთ.

ასე რომ, შეიძლება ითქვას, საქართველოში მსოფლიოს სოფტბოლის მთელი უფროსობა იკრიბება.

მსოფლიო სოფტბოლის მმართველთა ვიზიტი ოთხდღიანი იქნება და მათი გრაფიკი საკმაოდ დატვირთულია. ბატონი პორტერი და ლოხნერი დღეს საღამოს ჩამოვლენ თბილისში და სასტუმრო „მერიოტში" დაბინავდებიან. მეორე დღეს სტუმრები მცხეთას, შემდეგ კი გორს ეწვევიან, სადაც სოფტბოლის სტადიონის მშენებლობის გახსნა, ეგრეთ წოდებული, მიწის გატეხვა იგეგმება და პირველ ბარსაც სტუმრები დაჰკრავენ. აქვე სტუმრები ვლომად საჩუქრებს ჩამოურიგებენ გორელ სოფთბოლისტებს სპორტული ამუნიციის სახით. აქვე აღვნიშნოთ, რომ პორტერმა საქართველოში საჩუქრად 50 ათასი დოლარის ღირებულების სასოფტბოლე ეკიპირება ჩამოიტანა.

პორტერს და ლოხნერს ზეგ უკვე შეხვედრებით ყველაზე დატვირთული დღე ექნებათ. დილის ცხრა საათზე ისინი ბეისბოლისა და სოფტბოლის სპეციალიზებული სტადიონს გახსნიან. ამ სტადიონის მშენებლობა რამდენიმე ხნის წინ დაიწყო თემქაზე 143-ე საშუალო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე და 26 სექტემბერს მას საზეიმოდ გახსნიან ბატონი პორტერი და ლოხერი — ცხადია, ქალაქისა და რაიონის თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენლებთან ერთად.

საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრ გიორგი გაბაშვილს სტუმრები 11 საათზე შეხვდებიან, მერე კი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ბადრი პატარკაციშვილსაც ეწვევიან.



რამაზ გოგლიძე, ენდრიუ ლოხნერი და დონ პორტერი

მსოფლიო სოფტბოლის მეთაურთა მომდევნო გაჩერება თბილისის მუნიციპალიტეტი იქნება, სადაც პორტერი და ლოხნერი ქალაქის მმართველთ შეხვდებიან.

27 სექტემბერს სტუმრები საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეს ესტუმრებიან, რის შემდეგაც პრესკონფერენციას მოაწყობენ. 28 სექტემბერს პორტერი და ლოხერი ჩვენს ქვეყანას დატოვებენ, იმედია, შესანიშნავი შთაბეჭდილებებით.

სოფტბოლის საერთაშორისო ფედერაციის მესვეურთა საქართველოში ჩამოსვლა დიდი სტიმული იქნება სპორტის ამ სახეობის მიმდევართათვის. როგორც ნახეთ, ბატონი პორტერი და ლოხნერი არაერთ თანამდებობის პირს ხვდებიან, რაც იმის საფუძველს გვაძლევს, რომ უახლოეს მომავალში საქართველოში სოფტბოლის მეტი პოპულარიზაცია და მასში ფართო მასების ჩაბმა ვივარაუდოთ.

**ირაკლი პერტაია**



## ევროპის ჩემპიონატი 2005

# ჩემპიონის აღსასრული

## პაპა ლუკასმა ბერძნებს აჩარა

**ლიტვა 47:63 საფრანგეთი**

6:14 10:18 20:12 11:19

**ლიტვა:** კ. ლავრინოვიჩი (11), დ. ლავრინოვიჩი (9)

**საფრანგეთი:** დიავი (18 ქულა, 11 მოხსნა), პარკერი (11 ქულა, 5 პასი)

**რუსეთი 61:66 საბერძნეთი**

13:6 20:20 7:18 21:22

**რუსეთი:** კირილენკო (20 ქულა, 16 მოხსნა), ჰოლდენი (15)

**საბერძნეთი:** პაპალუკასი (23), დიკუდისი (11)

**საჩემპიონო** გზიდან მასძინძელი სერბების ჩამომცილებელი ფრანგები კვლავ წინ მიიწევენ — მეოთხედფინალში მათ ევროპის მოქმედი ჩემპიონი ლიტვის ნაკრები დაამარცხეს და ახლა სულ რომ არაფერი გააკეთონ, მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური უკვე ჯიბეში აქვთ.

წინა ევროჩემპიონატის ნახევარფინალში სწორედ ლიტვამ დაჯაბნა საფრანგეთი, ამჯერად კი პირიქით მოხდა. დასავლეთ ევროპელებმა ბალტიელებზე შური იძიეს, თან ისე, რომ ლიტველებს შანსი არ დაუტოვეს.

საწყის მეოთხედში ჩემპიონებმა მხოლოდ 6 ქულა ჩააგდეს, რაც დიდი სირცხვილია ანტანას სირეიკას გუნდისთვის. ფრანგები თავს ისე იცავდნენ, რომ ლიტველები მათ ფარს კარგა ხანს სათოფეზეც ვერ გაეკარნენ.

14:6 მოგებული პირველი მეოთხედის შემდეგ ფრანგებმა არც მეორეში დააგდეს ტემპი და ნბა-ელ ლიდერ ბორის დიავის შემწეობით პირველი ტაიმი 16-ქულიანი უპირატესობით დაასრულეს.

ლიტველებმა მესამე ათწუთეულში ძალები მოიკრიბეს და დარიუს ლავრინოვიჩის მიჯრით მითვლილი ქულების წყალობით გადამწყვეტი მეოთხედის დაწყებამდე 8 ქულით მიუახლოვდნენ ფრანგებს — 36:44.

ბალტიელებს რომ ეგონათ, ეგაა და თამაში შემოვაბრუნეთო, სწორედ მაშინ აბობოქრდა ფრანგების სანანტონიოელი სუპერვარსკვლავი ტონი პარკერი. ამ ვერცხლისწყალივით სწრაფი გამთამაშებლის აქტიურობამ ფრანგებს მეოთხე ათწუთეულის საწყისი წუთები 7:0 მოაგებინა და ლიტველები კვლავ 15 ქულით ჩამორჩნენ. ეს იყო და ეს — ბალტიელები საბოლოოდ გატყდნენ და ახლა მეხუთე ადგილისთვის მოუწევთ ბრძოლა, რისი მოგების შემთხვევაშიც მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო, მეხუთე ვაკანტურ საგზურს ირგუნებენ.

მეორე მეოთხედფინალში ერთგვარი მოულოდნელობა დაფიქსირდა — საბერძნეთის ნაკრებმა რუსეთის გუნდი დაამარცხა. სიმართლე ითქვას, რუსეთი დიდი ვერაფერი გუნდია, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჯგუფში იტალია გაანადგურა, სპეციალისტებმა საჩემპიონო ამბიციები მიაკერეს. მერე აღმოჩნდა, რომ იტალია მართლაც უფერული იყო და შესაბამისად რუსეთის ძლევამოსილების მითიც დაიმსხვრა — უფრო სწორედ, საბერძნეთმა დაამსხვრია.

ბერძნებს გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავთ. აქამდე გამართულ მატჩებში ერთი ლაზაროს პაპადოპულოსი გამოირჩეოდა მეტ-ნაკლებად, რომელმაც რუსებთან ქულაც ვერ მოიხვეჭა. სამაგიეროდ, ბერძნებს სათადარიგო თეოდოროს პაპალუკასი გამოადგათ, რომელმაც არავინ რომ არ მოელოდა, აიღო და 23 ქულა უთავაზა რუსებს.

„ეს გუნდური წარმატებაა და არა ერთი კაცის — თავს იმდაბლებდა მატჩის გმირი პაპალუკასი — მე რომ 30 ქულა ჩამეგდო და საბერძნეთს წაეგო, ხომ იცოდნენ, გუნდმა წააგოო. ასეა ახლაც, [illegible]დირობის მიუხედავად, ვფიქრობ, რომ გამარჯვება თითოეული კალათბურთელის დამსახურებაა".

რუსებს ცუდად არ უთამაშიათ. თავიდან კარგა ხანს იგებდნენ კიდეც, მაგრამ ბოლოს ბერძნებმა იყოჩაღეს. რუსთა იუტელმა ვარსკვლავმა ანდრეი კირილენკომ მაქსიმუმი გაიღო, 20 ქულას 16 მოხსნაც მიაბა, მაგრამ ხელფუზიან პაპალუკასს მაინც ვერ აჯობა. მიზანი ვახსენეთ და აქვე დავძენთ, რომ ვერც რუსებმა და ვერც ბერძნებმა სამქულიანებით თავი ვერ ისახელეს. მაგრამ საშუალო დისტანციებიდან ელინთა უპირატესობა აშკარა იყო.

ბერძნები ნახევარფინალში ბოლოს 1997 წელს გავიდნენ, ხოლო ჩემპიონის გვირგვინი 1987 წლის შემდეგ არ დაუდგამთ. ტრიუმფამდე ორი მატჩის მოგებაღა გვაკლიაო, ამბობს რუსთა დამწიოკებელი პაპალუკასი და ფეხბურთით იქით იყოს და, ენამ არ უყივლოს.

**მეოთხედფინალი**

**სლოვენია 62:76 გერმანია**

**ესპანეთი 101:85 ხორვატია**

**ირაკლი პერტაია**




გუშინ გერმანიის ნაკრებმა სლოვენიელებზე გამარჯვებით გაიხარეს



# F1

**XVII ეტაპი ბრაზილიის დიდი პრიზი**

## ინტერლაგოში

*სან პაულუ, 25 სექტემბერი*



**ტრასის სიგრძე** ---------------------------------- **4.309 კმ**

**რბოლის დისტანცია** ------------------------ **71 წრე — 306.909 კმ**

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 21 საათზე*

**შარშან:** 1 მონტოია (უილიამსი); 2 რაიკონენი (მაკლარენი); 3 ბარიკელო (ფერარი), 4 ალონსო (რენო); 5 რ.შუმახერი (უილიამსი); 6 სატო (**B.A.R.**) 7 მ.შუმახერი (ფერარი); 8 მასა (ზაუბერი)

**წრის რეკორდი:** 2004 — მონტოია 1.11,473 (217,0კმ/სთ)

**თითქმის** ასპროცენტიანი ვარაუდით შეიძლება ითქვას, რომ ზეგ წლევანდელი საფორმულო სეზონის უმთავრესი ამბავი — ჩემპიონის ვინაობა გაირკვევა.

რენოელ ფერნანდო ალონსოს „სამეფო რბოლების" 56-წლიან ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა გვირგვინოსნად გასახდომად, ბრაზილიის დიდი პრიზის გათამაშებაში მესამე ადგილიც ეყოფა, თუმც იქნებ პოდიუმზე შედგომა არც გახდეს საჭირო, თუკი 24 წლის ესპანელის ერთადერთი კონკურენტი კიმი რაიკონენი მეხუთე ადგილს ვერ ასცდება.

ბრიტანელი ბუქმეიკერები გამარჯვებას სწორედ რაიკონენს უწინასწარმეტყველებენ. ფინელი „ყინულის კაცის" კოეფიციენტია 1,5. ალონსო და რაიკონენის თანამაკლარენელი ხუან-პაბლო მონტოია გაცილებით ნაკლებად „ფასობენ" — 5,0.





# პრეზიდენტის თასი

რობერტ ტრენტ ჯონსის სახელობის გოლფ კლუბში, ვირჯინიის ქალაქ გეინსვილის ახლოს რომაა, საზეიმოდ გაიხსნა პრეზიდენტის თასის ტურნირი. აქ იყვნენ ჯორჯ ბუში უფროსი და ბილ კლინტონი, ასევე ბარბარა ბუში და სხვა ათასი ცნობილი ვინმე. მოშეჯიბრეთა ცოლები ერთ რიგში ისხდნენ ერთნაირი შლაპებით, ტაიგერ ვუდსი კი სქოთი მესტვირს შორიახლოდან იღიმოდა.





# ამ ჩემს მობილურზე

რუბენს ბარიკელო თავის მობილურზე ანცობს, ხუან პაბლო მონტოია და მისი ცოლი კონი კი ანცობის გამო ხითხითებენ. ეს იმას შეგვახსენებს, რომ ამ უქმეებზე ბრაზილიის დიდი პრიზი გათამაშდება და ორივენი იქ იქნებიან. ფორმულა გრძელდება.



# ეტაპა




ველომრბოლთა მსოფლიო ჩემპიონატზე დრ-ის ეტაპი ავსტრალიელმა მაიკლ როჯერსმა მოიგო. მოიგო თუ არა და საცოლეც ეტაკა.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი ლარცხანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კიტორიაშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, თამარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხრიკიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ყრისიავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge